ეროვნული უნივერსიტეტი

16 ნოემბერი, ოთხშაბათი, 2011 წ. №13 ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

რა შეიძლება ჩაითვალოს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ ნაბიჯად?

გვ. 3

სტუდენტებთან პარტნიორულ დამოკიდებულებას ვარჩევ

გვ. 5

ქართველ მეცნიერთა ნოუ-ჰაუ — 5 სახის ანალიზი ერთ ბიოჩიპზე

გვ. 4

აჭიანურებს თუ არა ტენდერები სახელმძღვანელოების გამოცემის პროცესს?

უმაღლესმა სასწავლებელმა თავისი დანიშნულება რომ კარგად შეასრულოს, ამისათვის სტუდენტის ყველა ის მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს, რომელიც ხარისხიანი უმაღლესი განათლების მისაღებად არის საჭირო. ამ მოთხოვნებიდან ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სასწავლო სახელმძღვანელოებითა და დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურით სტუდენტთა უზრუნველყოფა. უდავოა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებლების მიერ არაერთი ნაშრომი იქმნება, რომელიც სასწავლო პროცესისთვის საჭიროა, თუმცა რამდენად ხერხდება მათი დაბეჭდვა და დროული გამოცემა, ეს საკამათო თემა გახლავთ.

მე-3 გვერდზე

თსუ-ის პანთეონს ნიკო ცხვედაძის ძეგლი შეემატა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, პედაგოგისა და პუბლიცისტის ნიკო ცხვედაძის ძეგლი გაიხსნა. ძეგლზე მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია თითქმის წელიწადნახევრის განმავლობაში მუშაობდა. ,,თავშეკავებული და ტრადიციული ხასიათის", — ასე შეაფასა საკუთარი ქმნილება მოქანდაკემ.

„უხერხულია საკუთარ ნამუშევარზე საუბარი. რაც სათქმელი მაქვს, ამ ძეგლით გამოიხატება. მინდოდა, რომ ეს ქანდაკება ყოფილიყო უბრალო, რადგან ე.წ. უბრალო ხელოვნების ნიმუშები უძლებენ დროს. ამიტომ არა მგონია 20 ან 30 წლის მერე ვინმეს მოუნდეს მისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონიდან სხვაგან გადატანა. მინდა გითხრათ, რომ ნიკო ცხვედაძის ძეგლის გაკეთება ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობა გახლდათ", — განაცხადა მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაიამ.

12 ნოემბერს ნიკო ცხვედაძის გარდაცვალებიდან 100 წელი და დიდუბის პანთეონიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში გადმოსვენების 2 წელი შესრულდა. სწორედ ამ თარიღის აღსანიშნად გადაწყდა ნიკო ცხვედაძის ძეგლის დადგმა მის საფლავზე. დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის ძეგლის შექმნის იდეა გიორგი შხვაცაბაიას თსუ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა მიაწოდეს.

„12 ნოემბერს შესრულდა 100 წელი ნიკო ცხვედაძის გარდაცვალებიდან. ამ ადამიანმა უზარმაზარი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტის დაარსებაში. მისი ძეგლის გახსნით ჩვენ პატივი მივაგეთ მის ხსოვნას, გარდა ამისა, დღესვე გაიმართება ახალი წიგნის პრეზენტაცია და გამოფენაც, რომლებიც უნივერსიტეტის ისტორიას ეძღვნება", — გვითხრა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

მე-2 გვერდზე

რა ევალება სტუდენტს სწავლის გარდა

უნივერსიტეტს სასწავლო ფუნქციის გარდა, გარკვეულწილად, აღმზრდელობითი დატვირთვაც აქვს. ფაქტობრივად მასზეა დამოკიდებული სამოქალაქო საზოგადოების შექმნა თუ გაძლიერებაც და ახალგაზრდებს ქვეყნის განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანა სწორედ რომ სტუდენტობის წლებში შეუძლიათ.

მე-6 გვერდზე

დავით იაკობიძე:

Ყოველთვის ვაფრთხილებდი საზოგადოებას, რომ საბაზრო ეკონომიკა არის ჭირხლი, რომელიც ფანჯარას ედება და უყურებ — რა ფიგურასაც გინდა, იმას დაინახავ ამ ჭირხლში. ეს ძალიან რთული ეკონომიკაა. მას მოჰყვება ფასების ზრდა, შიმშილი, ადამიანების გარკვეული ნაწილის გაღარიბება და ა.შ. ის ადამიანები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად აცხადებდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკა ყველასთვის კარგი იქნებოდა, მაშინ მეწინააღმდეგეებოდნენ, მაგრამ მერე, როცა თავადაც ბევრმა იწვნია საბაზრო ეკონომიკის მკაცრი ხელი, მიხვდნენ და მეუბნებოდნენ კიდეც — შენ იცოდი, რა მოხდებოდა.

გვ. 12

ქიმიის საამყარო

გვ. 7-10

როგორ სტურუასთან შეხვედრის შემდეგ იწყება ფიქრი...

გვ. 2

სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები

გვ. 11

ინსტიტუტი გაცოცხლდა

გვ. 14

ახალი სახელმძღვანელო იურისტებისთვის

გვ. 14

უნივერსიტეტში

თსუ-ის პანთეონს ნიკო ცხვედაძის ძეგლი შეემატა

პირველი გვერდიდან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პანთეონში უნივერსიტეტის ერთერთი დამაარსებლის, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის, პედაგოგისა და პუბლიცისტის ნიკო ცხვედაძის ძეგლი 14 ნოემბერს გაიხსნა. ამავე დღეს გაიმართა თსუ-ის პროფესორის ზურაბ გაიპარაშვილის წიგნის — „საუკუნის ნიშანსვეტის“ განახლებული გამოცემის პრეზენტაციაც. წიგნში საარქივო-ისტორიულ ფო-ტო-დოკუმენტებზე, ასევე, სხვადასხვა გამოკვლევაში, პრესაში, არქივებში, მუზეუმებსა და კერძო კოლექციებში მოპოვებულ ცნობებზე დაყრდნობით მოთხრობილია იმ ადამიანთა ღვაწლის შესახებ, რომელთა ძალისხმევითაც აშენდა თსუ-ის პირველი კორპუსი.

„წიგნი „საუკუნის ნიშანსვეტი“ თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის ინიციატივით ხელმეორედ გამოიცა და წარედგინა საუნივერსიტეტო საზოგადოებას. მასში მოცემულია ინფორმაცია ნიკო ცხვედაძისა და იმ დიდი ქართველების ღვაწლის შესახებ, რომელთა თავდაუზოგავი შრომის

შედეგად დაიწყო ქართული განათლების აღორძინების დიდი ეტაპი“, — აღნიშნა ზურაბ გაიპარაშვილმა.

* * *

ნიკო ცხვედაძე 1845 წლის 27 იანვარს სოფელ სოჭინში დაიბადა. მან განათლება ჯერ თბილისის სასულიერო სასწავლებელსა და თბილისის სასულიერო სემინარიაში მიიღო, შემდეგ კი მოსკოვის სასულიერო აკადემიაში განაგრძო სწავლა. სწორედ აქ დაიწყო მან თავისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა. ნიკო ცხვედაძე გახლდათ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთერთი დამფუძნებელიც იაკობ გოგებაშვილთან, ილია ჭავჭავაძესთან, დიმიტრი ყიფიანთან და სხვა ცნობილ მწერლებთან ერთად. ამ საზოგადოების ეგიდით იგი ბიბლიოთეკების გახსნასა და წიგნების გამოცემის საქმეს ხელმძღვანელობდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში დაარსდა არაერთი ბიბლიოთეკა თბილისში, ახალციხეში, ხონში, ყვირილასა და ხარაგოულში. 1897 წელს ნიკო ცხვედაძემ ქართული გიმნაზიისთვის საკუთარი შენობის აგების საკითხი წამოჭრა. ამ მიზნით, 1898 წელს ქალაქის განაპირას, ვარაზის ხევის გადაღმა, ვერაზე 6 ჰექტარი მიწა შეიძინეს. შენობის ასაგებად საჭირო თანხის შეგროვებას და მშენებლობასაც იგი უშუალოდ ხელმძღვანელობდა. ამ გრანდიოზულ შენობაში 1906 წელს ქართულმა სათავადაზნაურო გიმნაზიამ დაიწყო ფუნქციონირება, ხოლო 1918 წლის 26 იანვარს კი აქ პირველი

ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა. სამწუხაროდ, ნიკო ცხვედაძე ვერ მოესწრო მის მიერ აგებულ შენობაში პირველი ქართული უნივერსიტეტის გახსნას. იგი 1911 წელს გარდაიცვალა.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

უნივერსიტეტის სტუმარი

რობერტ სტურუასთან შეხვედრის შემდეგ იწყება ფიქრი...

ნატო ოგოლაძე

რობერტ სტურუა მსოფლიოში ცნობილია, როგორც შექსპირის თეატრის „პარადოქსული ინტერპრეტატორი“ რეჟისორი. ჯერ კიდევ 1970-იან წლებში გაჩნდა ცნება „რობერტ სტურუას თეატრი“. რეჟისორის სამყარო უზომოდ მრავალფეროვანია. მის სპექტაკლებში ჰარმონიულად თანაარსებობს ტრაგედია და კლოუნიადა, პოლიტიკური ფარსი და მელოდრამა. მისი შემოქმედება ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური შინაარსი-საა და ყველა ტიპის მაყურებელზეა გათვლილი. სწორედ ამიტომ არის რობერტ სტურუა და მისი სპექტაკლები ნებისმიერი პროფესიის, შეხედულებისა თუ ასაკის ადამიანისთვის საინტერესო, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისთვისაც რეჟისორის სპექტაკლების ნახვა და სიღრმისეულად განხილვა პროფესიული ზრდისთვის აუცილებელია. სწორედ ამ მიზნით, 5 ნოემბერს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე არსებული „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ წევრებმა რობერტ სტურუასთან შეხვედრა მოაწყვეს. მის შემოქმედებაზე საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა 2 საათის განმავლობაში გაგრძელდა. სტუდენტებმა კი იმაზე მეტი ინფორმაცია მიიღეს რეჟისორისგან, ვიდრე ამ მცირე დროის განმავლობაში მოელოდნენ.

რუსთაველის თეატრის სცენაზე და მსოფლიოს სხვადასხვა თეატრებში რობერტ სტურუას უილიამ შექსპირის 37 პიესიდან ნახევარზე მეტი აქვს დადგმული. 1986 წელს ლონდონის რივერსაიდ სტუდიაში დადგმული „ჰამლეტი“, სადაც მთავარი როლი მსახიობმა ალან რიკმანმა შეასრულა, შექსპირის საერთაშორისო საზოგადოებამ ბოლო 50 წლის მანძილზე შექმნილ 10 საუკეთესო სპექტაკლს შორის დაასახელა. „ჰამლეტის“ ორი ვერსია რეჟისორმა 2001 და 2006 წლებში რუსთაველის თეატრის სცენაზეც წარმოადგინა. სწორედ ჰამლეტი გახლდათ ერთერთი პერსონაჟი, რომლის შესახებაც სტუდენტებმა და რეჟისორმა ისაუბრეს.

რობერტ სტურუასთან შეხვედრისას ერთერთი აქტუალური თემა, რომელზეც იმსჯელეს, თანამედროვე მსოფლიოში თეატრის როლიც გახლდათ. როგორც „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ წევრებმა გვითხრეს, იმ შემთხვევაში, თუ ლიტერატურის ცოდნა შენი პროფესიაცაა, სპექტაკლების ნახვის შემდეგ გეძლევა შესაძლებლობა — გაიზარდო როგორც პროფესიონალი. მსოფლიოში აღიარებულ დიდ რეჟისორთან პირადად საუბარი კი კიდევ ერთხელ გარწმუნებს, რამდენად მნიშვნელოვანი როლი აკისრია საზოგადოებისთვის თეატრს.

„საინტერესო იყო მისი აზრი, თუ რას ფიქრობდა თავად თავის სპექტაკლებზე. ვისაუბრეთ თეატრის როლზეც. ჩემი ნაცნობი ახალგაზრდები თეატრში ხშირად დადიან, რადგან ეს ფიქრის საშუალების საუკეთესო გზაა. როდესაც სპექტაკლს ნახავ, ერთი ან ორი კვირის შემდეგ დგება მომენტი, როცა რომელიმე ცხოვრებისეული მოვლენა სპექტაკლის ერთერთ სცენას გახსენებს. იწყებ ფიქრს... ჩემთვის ეს ძალიან სასიამოვნო პროცესია“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრანტმა სალომე დავითურიანმა.

„დღეს თეატრის მიმართ ინტერესი ძალიან განელდა. ჩემი თაობიდან ერთეულები დადიან. ვფიქრობ, ის მცირე ნაწილი ახალგაზრდებისა, ვინც მიდის, მიდის ინტერესით, რომ რაღაც ახალს მიიღებს, დაფიქრდება. რობერტ სტურუამაც გვითხრა, რომ თეატრი არ არის მხოლოდ ერთი კატეგორიის ადამიანებისთვის. ზოგიერთი აღიქვამს მხოლოდ სპექტაკლის სიუჟეტს, ზოგიერთი იდეას, ზოგიც უფრო მეტს და ა.შ.“, — გვითხრა „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ წევრმა ოლღა მიქელაშვილმა.

„ნამდვილი ხელოვანიც ის არის, რომელიც სპექტაკლიდან ყველას მისცემს თავის სამყოფს. ეს არის დიდი ხელოვნება“, — აღნიშნა „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ ხელმძღვანელმა დავით მაზიაშვილმა.

2 საათი რობერტ სტურუას შემოქმედებაზე სასაუბროდ — ეს მართლაც საკმაოდ მცირე დროა. დიდი რეჟისორისა და „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ წევრების აზრი ერთმანეთს დაემთხვა და სწორედ ამიტომ, ისინი მეორე შეხვედრაზეც შეთანხმდნენ. სასაუბრო კიდევ ძალიან ბევრია: „ცისფერი ცხენები წითელ ბალახზე“, „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“, „დაკრძალვა კალიფორნიაში“, „კავკასიური ცარცის წრე“, „რიჩარდ III“, „მაკბეტი“, „შობის მეთორმეტე ღამე ანუ როგორც გენებოთ “, „ცხოვრება სიზმარია“, „სეჩუანელი კეთილი ადამიანი“, „იაკობის სახარება“, ახლახანს დადგმული შექსპირის „ქარიშხალი“ მოსკოვის „ეტცეტერას“ თეატრში და ა.შ.

5 ნოემბრის შეხვედრის დასასრულს რეჟისორმა „საკვირაო ლიტერატურული კლუბის“ წევრებს რამდენიმე რჩევაც მისცა: „ახალგაზრდობაში მიყვარდა ლიტერატურული კლუბები და „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში“ ერთერთი ლიტერატურული წრის წევრიც ვიყავი. ხშირად ვიწვევდით ცნობილ ადამიანებს, ვდგამდით სხვადასხვა სპექტაკლებს... ვფიქრობ, უკეთესი იქნება თქვენც დადგათ სპექტაკლები, მით უფრო, რომ შექსპირის შემოქმედებასთან შეხება გაქვთ.“

აჭიანურებს თუ არა ტენდერები სახელმძღვანელოების გამოცემის პროცესს?

პირველი გვერდიდან

არასაკმარისი დაფინანსება და წიგნების გამოსაცემად ტენდერების გამართვასთან დაკავშირებული დროში განელილი პროცედურები პროფესორ-მასწავლებლების მიერ შექმნილი სასწავლო სახელმძღვანელოების სტუდენტამდე მიწვდენას აფერხებს — სწორედ ამ პრობლემაზე საუბრობენ დღეს უნივერსიტეტის პროფესორები სტუდენტთა იმ მოთხოვნის პასუხად, რომ მათ საინტერესო სასწავლო ლიტერატურა ხარისხიანი ცოდნის მიღებისთვის უნდათ.

„ეს ძალიან აქტუალური საკითხია. ჩვენ, ავტორები, ძირითადად, ჩვენივე ხარჯებით გამოვცემთ წიგნებს. ახლახან წიგნი დავბეჭდე. ის რომ უნივერსიტეტში მომეტანა, ამ პროცესს სამი წელი დასჭირდებოდა. ამჟამად გამოსაცემად გამზადებული მაქვს ფაკულტეტის კონფერენციის მასალები, რომლის დაბეჭდვის ღირებულება შეადგენს 900 ლარს, რაც ყველაზე იაფია, მაგრამ ჯერ ტენდერი უნდა გამოაცხადო. ტენდერის გამოცხადება კი ნიშნავს იმას, რომ ეს პროცესი მინიმუმ 6 თვე ან 1 წელი გაგრძელდება, ანუ ოპერატიულად არ გაკეთდება. ამ წიგნის გამოსვლას კი ახლა აქვს აზრი და არა 2 წლის შემდეგ, რადგან ამასობაში მეორე კონფერენციაც გაიმართება და ეს უკვე მოძველებული მასალა იქნება. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ ის თანხა, რაც უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან წიგნების გამოსაცემად გამოიყოფა, მცირეა. მაგალითად, ახლახანს გვინდოდა, გრანტების მეშვეობით სოციოლოგიის სახელმძღვანელო გამოგვეცა, მაგრამ მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა, რადგან შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 30 000 ლარი. სტუდენტები კი ხშირად იმის გამო არიან უკმაყოფილონი, რომ მათ კარგად ნათარგმნი და დაბეჭდილი ლიტერატურა უნდათ და არა კონსპექტების სახით მიწოდებული ტექსტები“, — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ ამირან ბერძენიშვილმა.

მიღებული ინფორმაციის შედეგად ჩვენ დავინტერესდით, რა აჭიანურებს რეალურად სახელმძღვანელოების გამოცემის პროცესს. ამის პასუხი მრვალმხრივია.

ცნობისთვის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ნებისმიერი სახის პროდუქციის შესყიდვას, მათ შორის წიგნების გამოცემასაც 2010 წლის დეკემბრიდან აწარმოებს — „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის №9 ბრძანების საფუძველზე და შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობაში შესული ცვლილების შემდეგ, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მიხედვით. წინა წლებში თსუ შესყიდვებს, უპირატესად, ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე (გამარტივებული შესყიდვით) აწარმოებდა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მონეტარული ზღვრების გათვალისწინებით (50000 ლარის ფარგლებში). კანონმდებლობაში შესული ცვლილებების თანახმად კი გამარტივებული საშუალებით შესყიდვის განხორციელება შესაძლებელია 5000 ლარის ფარგლებში. ამდენად, შესყიდვის მოცულობიდან გამომდინარე, თითქმის ყველა სახის შესყიდვა ელექტრონული ან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ხორციელდება. როგორც თსუ-ის შესყიდვების განყოფილების უფროსმა სერგო სანაძემ გვითხრა, ტენდერების გზით შესყიდვა შედარებით მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე გამარტივებული საშუალებით, რადგანაც სატენდერო პროცედურების ვადები მკაცრად არის გაწერილი კანონით, რომლის დარღვევაც ადმინისტრაციულ სანქციებს ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, ელექტრონულ ტენდერებს მნიშვნელოვანი უპირატესობები გააჩნია.

„ჩვენს ვებ-გვერდზეც დევს ინსტრუქცია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლის მიხედვითაც შეიძლება იხელმძღვანელონ უნივერსიტეტის თანამშრომლებმა და ეს წესი საკანონმდებლო ბაზაში არ ეძებონ. სატენდერო პროცედურით შესყიდვა უდავოდ გამჭვირვალე და პროგრესულია. ადრე წიგნის ავტორი ან ფაკულტეტის ადმინისტრაცია ცდილობდა თვითონ შეერჩია სტამბა, სადაც დაიბეჭდებოდა ესა თუ ის წიგნი. ასეთ პირობებში ძნელი იყო დასაბუთება, რომ ის ღირებულება, რასაც წიგნის გამოსაცემად გვთავაზობდნენ, ოპტიმალური ვარიანტი გახლდათ. ახალი წესით ეს პროცესი მთლიანად გამჭვირვალეა. ვთავაზობთ ჩვენს წინადადებას სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვების ერთიან სისტემაში და მომსახურების მოწოდების ყველა მსურველი იღებს მასში მონაწილეობას. იმართება ვაჭრობა კონკურენტუნარიან გარემოში. გამარჯვებულად ითვლება დაბალი ფასის წარმომდგენი პრეტენდენტი.

შესყიდვების გეგმის შესადგენად ჩვენ ყოველთვის წინასწარ ვსწავლობთ ფაკულტეტების და საერთოდ სტრუქტურული ერთეულების მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებში ჩვენთვის პრიორიტეტული სწორედ სახელმძღვანელოების ბეჭდვა და მათი შესყიდვა გახლავთ. არ ყოფილა შემთხვევა, ფაკულტეტებს წინასწარ ჰქონოდეთ დაგეგმილი სახელმძღვანელოს დაბეჭდვა და ჩვენ ამაზე დროულად რეაგირება არ მოგვეხდინოს. უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ სახელმძღვანელოს დაწერის შემდეგ ხდება ცნობილი, რომ საჭიროა დაბეჭდვისთვის სახსრების და გამოცემის საშუალებების მოძიება. ფაკულტეტებს წინასწარ უნდა ჰქონდეთ დაგეგმილი — რის დაბეჭდვას აპირებენ და როდის, თუკი ფაკულტეტს არ ყოფნის ამისათვის ფინანსები, საუნივერსიტეტო სახსრებიდან ყოველთვის ხდება დამატებით თანხის გამოყოფა.

ასევე, მინდა გითხრათ, რომ შესყიდვის საშუალების შერჩევა ხდება საუნივერსიტეტო მოთხოვნის მოცულობიდან გამომდინარე. ამით არის განპირობებული, რომ უნივერსიტეტში სახელმძღვანელოს გამოსაცემად აუცილებელია სახელდობრ ელექტრონული ტენდერის გამოცხადება, რისთვისაც, დაახლოებით, 45 დღეა საჭირო. ხშირ შემთხვევაში ხდება ისე, რომ მომწოდებელი დროულად არ გვეხმიანება, ან მის მიერ დოკუმენტაციაა არასწორად წარმოდგენილი, ტექნიკური დავალებაა არასრულად ჩამოყალიბებული და ასე შემდეგ, რაც პროცესის მცირე დროით გაჭიანურებას იწვევს, მაგრამ 6 თვით გადავადების შემთხვევას ნამდვილად არ ქონია ადგილი“, — აღნიშნა სერგო სანაძემ.

ტენდერის ჩასატარებლად ერთერთი აუცილებელი კომპონენტი შემკვეთის მიერ ტექნიკური დავალების სრულყოფილად, ნათლად ჩამოყალიბება გახლავთ, რათა ტენდერში მონაწილეობის მსურველს არ გაუჩნდეს დამატებითი კითხვები მოსაწოდებელი მომსახურების მიმართ. როგორც საფინანსო დეპარტამენტში გვითხრეს, წიგნების გამოცემის შემაფერხებელი მიზეზი ხშირად დამკვეთის მიერ აღნიშნული დავალების არასრულყოფილად შესრულებაც ხდება.

რათა ჩვენც მზად ვიყოთ ამისათვის და რაციონალურად გავანაწილოთ ჩვენი განყოფილების ადამიანური და სხვა რესურსი. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ახლახან შემოვიდა ზეპირი განაცხადი საკონფერენციო მასალების დაბეჭდვის მოთხოვნით, რაც შესყიდვების გეგმაში არ იყო ასახული, მაგრამ მიუხედავად ამისა, ვეძებთ მისი ოპერატიულად გამოცემის შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ „ტენდერების წარმატებულად ჩატარება, პირველ რიგში, დამოკიდებულია ტექნიკური დავალების შედგენის სისრულეზე. რაც უფრო მეტი კითხვა უჩნდება მომწოდებელს ტექნიკურ დავალებასთან დაკავშირებით, მით უფრო დროში ჭიანურდება წიგნების გამოცემის პროცესი. ტექნიკურ დავალებაში ზუსტად უნდა იყოს ჩამოყალიბებული ბეჭდვის პარამეტრები, სახარჯი მასალების ხარისხი, ტირაჟი და სხვა აუცილებელი დეტალები. ხშირად ყოფილა შემთხვევები, რომ წიგნის ავტორს ან ფაკულტეტს არ ქონია ტექნიკური დავალება სწორად გაკეთებული და ტენდერის პროცესი შეფერხებულა“, — განაცხადა თსუ-ის შესყიდვების განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა გიორგი მაღლაფერიძემ.

თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლების საავტორო თუ ნათარგმნი სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის გაჭიანურების ერთერთი ძირითადი მიზეზი მაინც ფინანსური პრობლემები გახლავთ. წიგნების დაბეჭდვა ხშირად ხორციელდება სხვადასხვა გრანტის მეშვეობით, რიგ შემთხვევებში კი ავტორები საკუთარი ფინანსებით გამოსცემენ მათ. თითოეული ფაკულტეტის ბიუჯეტში აღნიშნული საკითხისთვის გამოყოფილია თანხებიც, თუმცა, როგორც პროფესორ-მასწავლებლები აცხადებენ, ეს თანხა არასაკმარისია.

ამ დროისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა მიმდინარეობს. ფაკულტეტებიდან მიღებული მოთხოვნების მიხედვით, როგორც საგეგმო-საფინანსო განყოფილების უფროსმა მარინა ჯოჯუამ ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, სახელმძღვანელოებისა და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის ხარჯები მომავალი წლისთვის მცირედით გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტების წარმომადგენლებმა პრიორიტეტულად სხვა საკითხები მიიჩნიეს, მათ შორის ერთერთია ხელფასების გაზრდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ წიგნების გამოცემის პრობლემის მოსახსნელად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია თითქმის ერთი წელია მუშაობს და შედეგად, უახლოეს მომავალში, თსუ თანამედროვე სასტამბო მოწყობილობას შეიძენს, რომელიც დაახლოებით 2012 წლის მეორე ნახევრიდან ამოქმედდება. შესაბამისად, სახელმძღვანელოებისა თუ სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის პრობლემაც მოიხსნება. თსუ-ის სტამბა შეძლებს მიიღოს უნივერსიტეტის ფარგლებს გარედან შემოსული შეკვეთებიც, რაც დამატებითი შემოსავლის წყაროც გახდება. ამავე დროს, მოსალოდნელია, რომ ახალი წლიდან შეიცვლება უნივერსიტეტის იურიდიული სტატუსი, რაც მოქმედი კანონმდებლობით უფლებას მიანიჭებს მას ლიტერატურა შეიძინოს სატენდერო პროცედურების გარეშე.

მოამზადა **ნატო ოგოლაძემ**

რა შეიძლება ჩაითვალოს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ ნაბიჯად?

***ვესაუბრებით თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრს, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელს, სრულ პროფესორს* მარიამ გერსამიას:**

? ***— თქვენი აზრით, რას მოიცავს ხარისხიანი განათლების მიღება და რამდენად უზრუნველყოფთ სტუდენტებს მაღალი დონის სწავლებით?***

— განათლების ხარისხის გაუმჯობესება ერთჯერადი პროცესი არ გახლავთ. ეს არის ის პროცესი, რომელიც მუდმივ ანალიზს, კორექტირებას და მონიტორინგს საჭიროებს. წელს პირველად, ამ ანალიზის შედეგად, გამოვკვეთეთ რიგი საჭიროებანი და უკვე მიმდინარეობს კიდეც მუშაობა ამ მიმართულებით: ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ბაკალავრიატის საფეხურზე დავამატეთ პრაქტიკული კურსები, შეიქმნა საგანთა კონცენტრაციები, რაც სწორედ პრაქტიკაზე და დარგობრივი ჟურნალისტიკის განვითარებაზეა მორგებული. ჩვენმა პროგრამებმა წელს პირველად გაიარეს წარმატებით პროგრამული აკრედიტაცია, რაც ასევე მნიშვნელოვანია. რაც შეეხება მაგისტრატურას, ამ მიმართულებითაც არის სიახლეები. უკვე მიმდინარეობს მოლაპარაკებები უცხოელ ლექტორებთან, რომლებიც სწავლების პროცესში ჩაერთვებიან. ასევე, ხარისხის გაუმჯობესებისკენ გადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ის მიდგომაც, რომ პროგრამაში დავუშვით 3 და 4-კრედიტიანი კურსები. ყოველი კრედიტის უკან მოიაზრება კონკრეტული ცოდნა, როგორც ლექციის, ისე ინდივიდუალური სამუშაოს ფარგლებში.

ხარისხიანი განათლება, ბუნებრივია, მიბმულია სასწავლო პროცესის ეფექტიან ადმინისტრირებასთანაც და ჩვენ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ ყოველდღიურად. ეს არ ნიშნავს ერთ წელიწადში სრულყოფილ მოდელამდე მისვლას, რადგან სწორედ ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრირება (ბოლონიის პროცესი) გულისხმობს შედეგზე და სტუდენტზე ორიენტირებულ პროცესში მუდმივ ჩართულობას.

? ***— რა შეიძლება კიდევ უკეთ ვასწავლოთ ჩვენს სტუდენტებს მათსავე მოთხოვნებიდან გამომდინარე? ინგლისური ენის კარგად შესასწავლად რა შეიძლება გაკეთდეს თქვენს მიმართულებაზე?***

— წელს პირველად, ინგლისური ენის კომპონენტი გაძლიერებულად ისწავლება. წელს უფრო მეტი ყურადღება დაეთმობა ბაკალავრიატის დონეზე ინგლისურის და, ზოგადად, უცხო ენების სწავლებას, რაც, თავისთავად, ძალიან კარგია. რაც შეეხება მაგისტრატურას, ჩვენი მიმართულების მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ წელს, პირველად, მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების მიმართულებით დაწესდა ბარიერი, რომელიც შესაბამის დონეზე უცხო ენის ცოდნას ითვალისწინებს. ესეც, გარკვეულწილად, არის ფილტრი და ჩვენი მხრიდან მზაობა იმის თაობაზე, რომ სტუდენტებს უკვე შევთავაზოთ ის აკადემიური რესურსი, რაც ინგლისურ ენაზე არსებობს და რომელზე ელექტრონული ხელმისაწვდომობაც უნივერსიტეტს უკვე აქვს. ვგულისხმობ კემბრიჯის უნივერსიტეტის ჟურნალებს, დიდი ბრიტანეთის ონლაინ ენციკლოპედიებს და სხვ.

? ***— გაქვთ თუ არა მიმართულებაზე სახელმძღვანელოების პრობლემა?***

— ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულებაზე, ბაკალავრიატის საფეხურზე თითქმის ყველა საგანში არის საბაზისო სახელმძღვანელო ქართულ ენაზე, სტუდენტები და ლექტორები ვიყენებთ სწავლების ელექტრონულ პორტალსაც — e-learning.tsu.ge. ამ პორტალზე განთავსებულია რიდერები, დავალებები, რომელსაც სტუდენტები იღებენ. ასევე, ამ თვეში შემოვიდა რამდენიმე ახალი სახელმძღვანელო ჩვენს ბიბლიოთეკაშიც: ერთი არის ლიტერატურა „ბავშვთა საკითხების გაშუქების შესახებ“ და მეორეა სახელმძღვანელო „საგამოძიებო ჟურნალისტიკაში“. ახლაც გვაქვს შერჩეული სახელმძღვანელოები, რომლებიც დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით ითარგმნება.

კომერციალიზაცია

ქართველ მეცნიერთა ნოუ-ჰაუ

5 სახის ანალიზი ერთ ბიოჩიპზე

ძალიან მალე, ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი ბიოჩიპის მეშვეობით, ხუთ სხვადასხვა ინფექციაზე ერთდროული ანალიზის გაკეთება იქნება შესაძლებელი. ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს ბიოჩიპის საპილოტე ნიმუში თითქმის მზად აქვთ და მისი გამოცდის შედეგებს ელიან.

მაია ტორაძე

ბიოჩიპი არის მინიატურული ტესტების კოლექცია, რომელიც განლაგებულია მყარ მატრიცაზე (პლატფორმაზე), იგი არის სწრაფი სკრინინგის საშუალება და იქმნება იმისთვის, რომ ერთდროულად ჩატარდეს ათობით ბიოქიმიური ტესტი. მისი გამოყენება შეიძლება როგორც სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული ამოცანების გადასაჭრელად (მაგალითად, ამა თუ იმ გენის ექსპრესიის შეფასებისთვის), ასევე, სხვადასხვა ტიპის ბაქტერიის და ვირუსის სწრაფი იდენტიფიკაციისთვის. ჩიპის გამოყენების სპექტრი ფართოა და მოიცავს მედიცინას, ვეტერინარიას, სოფლის მეურნეობას და სხვადასხვა ტიპის წარმოებას.

ჩიპის შექმნის იდეა რამდენიმე წლის წინ ინგლისში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე (ვორქშოფი) გაჩნდა. სწორედ იქ ითქვა, რომ შესაძლებელი იყო დაბალი სიმკვრივის ბიოჩიპების წარმოება პორტსმუტის (ინგლისი) უნივერსიტეტის მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიასთან კოლაბორაციის პირობებში. შერჩევის რამდენიმე ეტაპის გავლის შემდეგ დადგინდა, რომ პროექტს დიდი ბრიტანეთის მთავრობა (CNCP) დააფინანსებდა. წინასწარი კვლევებისა და მოსამზადებელი სამუშაოების შემდგომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტის ბიოლოგიური სისტემის ფიზიკის განყოფილების თანამშრომლებმა, მეცნიერებათა დოქტორების ნელი საპოჟნიკოვას (ხელმძღვანელი), ნინო ასათიანის, თამარ ქართველიშვილის, ევგენი კიზირიას და ინსტიტუტის თანამშრომლის ლალი ასანიშვილის შემადგენლობით, წარადგინეს სამეცნიერო პროექტი, რომელიც ბიოჩიპის დამზადებას ითვალისწინებდა. პროექტი 2010 წელს ბრიტანეთის მთავრობამ 10 000 დოლარით დააფინანსა.

ეს ჯგუფი მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებაში უკვე კარგადაა ცნობილი, რადგანაც მათ ბოლო 10 წლის განმავლობაში არაერთი საინტერესო იდეა განახორციელეს. ისინი მონაწილეობდნენ საერთაშორისო პროექტებში, რომლებიც დაფინანსებული იყო ისეთი კომიტეტების მიერ, როგორიცაა ISTC, CRDF, INTAS, WELLCOME TRUST. კვლევები დაკავშირებული იყო ტოქსიკური ნივთიერებების მცირე დოზების შედეგად უჯრედებისა და ბაქტერიების დამცავი მექანიზმების შესწავლასთან და ბაქტერიების გენეტიკურ იდენტიფიკაციასთან. ჯგუფის მიერ ბოლო 10 წლის განმავლობაში მაღალრეიტინგულ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებულია 24 სტატია. მათგან ერთერთი 2010 წელს იმ 10 სტატიის რიცხვში (ტოპ-სტატიები) შევიდა, რომლებიც მოცემული თემატიკის მიხედვით ყველაზე მეტადაა ციტირებული.

ტექნიკურად ბიოჩიპი არის მყარ მატრიცაზე განლაგებული მრავალრიცხოვანი წერტილოვანი მარკერები, რომელთაგან თითოეული შეიცავს დნმ-სენსორის (ოლიგონუკლეოტიდების) პიკორაოდენობას. ეს სენსორები შექმნილია კონკრეტული კვლევის ან დიაგნოსტიკური ამოცანის შესაბამისად.

ჯგუფის მიერ ჩატარებულმა მარკეტინგულმა ანალიზმა აჩვენა, რომ საქართველოში ასეთი ჩიპების გამოყენება შესაძლებელია სამედიცინო დიაგნოსტიკაში და ის კონკურენტუნარიანი პროდუქტია ფასის, მულტიკომპლექსური გამოყენებისა და მაღალი მგრძნობელობის გამო.

ნელი საპოჟნიკოვა: „პროექტი ითვალისწინებს ავადმყოფობის გამომწვევი რამდენიმე ბაქტერიისა და ვირუსის სწრაფ და ერთდროულ იდენტიფიკაციას. მასზე შეიძლება ჩატარდეს ტესტი ამა თუ იმ ავადმყოფობის შესახებ. პროცედურა მარტივია: სისხლის აღების შემდეგ გამოიყოფა დნმ-ი, რის შემდეგაც, ბიოჩიპზე მისი დატანისას მივიღებთ ანალიზის პასუხს. ამჯერად ჩიპი მომზადების ბოლო სტადიაზეა, რის შემდეგაც მოხდება საპილოტე ნიმუშის გამოცდა, რათა ვნახოთ, რამდენად შედეგიანია იგი. სამეცნიერო ცდები იწარმოებს ინგლისშიც და საქართველოშიც“.

როგორც მეცნიერებმა აგვიხსნეს, ამ ბიოჩიპით ანალიზის გაკეთება შესაძლებელია TORCH-ინფექციაზე (Toxoplasma Gondii, Rubrlla, CMV, Chlamidia trachomatis, Herpes virus) და წყლულოვან კოლიტზე. თღჩ-ინფექციაზე ანალიზების შემკვეთია საქართველო (კერძოდ, კლინიკა „კარაპსმედლაინი“), ხოლო წყლულოვან კოლიტზე — ინგლისი.

მსოფლიოში ამგვარი ბიოჩიპის ანალოგი არსებობს და მას იყენებენ მაღალგანვითარებული ქვეყნები, მაგრამ ქართველ მეცნიერთა მიერ შექმნილი პროდუქტის ნოუ-ჰაუ არის მისი დაბალი ღირებულება, მულტიკომპლექსურობა და დამზადების ტექნოლოგია.

ნინო ასათიანი: „ზოგადად არსებობს ორი ტიპის ანალიზები — იმუნოლოგიური, რომელიც მხოლოდ თითო დაავადებაზე შეიძლება გაკეთდეს და მულტიკომპლექსური, რომელიც მგრძნობიარე და მაღალი დატვირთვის მქონე ბიოჩიპებს მოითხოვს. ამგვარი ანალიზის გაკეთება ძალიან ძვირია. მაგალითად, ინგლისში ერთი ანალიზი მაღალი დატვირთვის მქონე ბიოჩიპის მეშვეობით 3000 ფუნტი ღირს და მოიცავს ასობით სხვადასხვა ბაქტერიისა და ვირუსის იდენტიფიკაციას. ჩვენი ჩიპი, არსებულისგან განსხვავებით, დაბალი სიმკვრივისაა და მასზე შეგიძლია გააკეთო ხუთი სახის ანალიზი. თუკი უკვე აპრობირებული მეთოდით ადამიანმა ხუთი ტიპის ანალიზზე ცალ-ცალკე უნდა აიღოს სისხლი, ამ ჩიპის მეშვეობით ერთხელ სისხლის აღებით მიიღებს პასუხს რამდენიმე სხვადასხვა ინფექციის არსებობის ან არარსებობის შესახებ. ამიტომ ჩვენი ჩიპი მისი გამოყენების შემთხვევაში საკმაოდ დიდ ეკონომიას იძლევა და ვფიქრობთ, რომ კონკურენტუნარიანია როგორც სამედიცინო სფეროში, ასევე სხვა მიმართულებითაც“.

პროექტის ავტორები მის დასრულებას 2012 წლის ივნისის დასაწყისისთვის ვარაუდობენ. სწორედ ამ დროისთვის გამოვლინდება ბიოჩიპზე ჩატარებული ცდების შედეგები, რის შემდეგაც უკვე მის კომერციალიზაციაზე დაიწყება ზრუნვა. პროექტის მიხედვით განსაზღვრულია, რომ მეცნიერული პროდუქტის შექმნის შემდგომი ეტაპი არის ტექნოლოგიური კომპანიის ჩამოყალიბება, რომელიც ბიოჩიპებს დაამზადებს და მეცნიერებს მის რეალიზაციაში დაეხმარება. უკვე გაკეთებულია ბიზნეს-გეგმა და დეტალური აღწერა — რა სეგმენტის დაკავება შეუძლია აღნიშნულ პროდუქტს. მეცნიერები იმედოვნებენ, რომ ამ ეტაპზე უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც ჩაერთვება და შესაძლებელი გახდება ბიოჩიპის სხვადასხვა სფეროში დანერგვა, მით უფრო, რომ ეს არის პროდუქცია, რომელსაც ამიერკავკასიის რეგიონში ანალოგი არ აქვს.



ბიოჩიპი

ლექცია

ფუროშიკის ხელოვნებას ნაზიარევი სტუდენტები

1-3 ნოემბერს საქართველოს მასშტაბით, იაპონიის საელჩოსა და იაპონური ფონდის ინიციატივით, იაპონური კულტურის გაცნობის მიზნით ფუროშიკის ასოციაციის სერტიფიცირებულმა ინსტრუქტორმა ქალბატონებმა: რიოკო ნიშიძავამ, ჩიძურუ ოიამადამ და ჯუნიკო ცუცუმიმ პროგრამა „შეფუთვის კულტურა — ფუროშიკი“ წარმოადგინეს. ერთერთი ასეთი საჩვენებელი ლექცია იაპონიიდან მოწვეულმა სტუმრებმა ივანე ჯავახიშვილს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც გამართეს. თავდაპირველად მათ სტუდენტებს ფუროშიკის ისტორია გააცნეს, რაც ვორქშოფით დასრულდა. საინტერესო იყო პროექტის ხელმძღვანელის ჩიძურუ ოიამადას მოხსენება, რომელმაც ვრცლად ისაუბრა იაპონური ტრადიციული ხელოვნების ამ დარგზე.

შურთხია ბეროშვილი

ფუროშიკი განსაკუთრებული ქსოვილის ნაჭერია, რომელიც სხვადასხვა საგნების შესაფუთად გამოიყენება. იაპონიაში ხელოვნების ეს მიმართულება დაახლოებით 1300 წლის წინ დაიწყო, თუმცა უძველესი ნიმუში IX საუკუნისაა. 1188 წლით დათარიღებულ მინიატურაზე ფუროშიკის ტექნიკით ნივთების შეფუთვის პროცესია გადმოცემული.

როგორც იაპონელმა სტუმრებმა განმარტეს, ფუროშიკი ბამბის ან აბრეშუმის ლამაზი ქსოვილის ნაჭერია, რომელიც უმეტეს შემთხვევაში გაფორმებულია დეკორატიული დიზაინით, როგორიცაა ყვავილები, ჩიტები და სხვა. ყველაზე ძვირფას ფუროშიკის ქსოვილად აბრეშუმი მიიჩნევა და მას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებენ, ხოლო ბამბისა და ხელოვნურ ქსოვილებს — უფრო ხშირად.

იაპონელმა სტუმრებმა ფუროშიკის ხელოვნებას ქართველი სტუდენტებიც აზიარეს და მათთან ერთად შეფუთეს სხვადასხვა საგანი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წარმოდგენილ ლექციას იაპონიის ელჩი საქართველოში ბატონი მასაიოში კამოჰარაც დაესწრო. მან მადლობა გადაუხადა ქართველ სტუდენტებს იაპონური კულტურისადმი ინტერესისთვის და აქტიურობისთვის.

„დღევანდელი ღონისძიება პირველია, რომელიც იაპონიის საელჩომ მარტში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ განახორციელა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლიერება გამოვხატო ქართველი ხალხის მიმართ, რომელმაც იაპონელი ხალხის მწუხარება გაიზიარა და თანაგრძნობა გამოგვიცხადა“, — განაცხადა იაპონიის ელჩმა საქართველოში მასაიოში კამოჰარამ.

ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲗᲐᲜ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲣᲚ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲕᲐᲠᲩᲔᲕ

აკადემიური კონკურსები სასწავლო დაწესებულებაში მუდმივი განახლების და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი ცოდნის შემოდინების საუკეთესო საშუალებაა. ცხადია, კარგია, როცა სტუდენტთან ლექტორი ახალი ენერგიითა და მიზნებით შედის, მაგრამ კიდევ უკეთესია, თუ ამ ლექტორს, თეორიულთან ერთად, დიდი პრაქტიკული გამოცდილებაც გააჩნია. ეს განსაკუთრებით საჭიროა ისეთ სპეციალობებში, რომლებსაც მხოლოდ თეორიით ვერ ისწავლი, რადგანაც შრომით ბაზარზე გასვლისას პირდაპირ აწყდები საჭირო უნარ-ჩვევების აუცილებლობას, მისი დეფიციტი კი უმუშევრობის წინაპირობაა.

2011 წლის შემოდგომაზე თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდა აკადემიური კონკურსი, რომლის შედეგადაც ჟურნალისტიკის მიმართულებამ რამდენიმე ახალი პროფესორი აირჩია. მათ შორისაა ასოცირებული პროფესორი რუსუდან ვაშაკიძე, რომელსაც საზოგადოება სხვადასხვა ტელეპროექტიდან და გადაცემიდან კარგად იცნობს. მიუხედავად მოკლე დროისა, მისი ლექციები სტუდენტებისთვის საინტერესო გახდა. ინტერაქტივი, დისკუსია, სიმულაციები და ჟურნალისტისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება — ესაა ის, რასაც **რუსუდან ვაშაკიძე** *სტუდენტებისთვის ყველა ლექციაზე მისაწვდომს ხდის.*

რა მიზნები აქვს ახლად არჩეულ პროფესორს და როგორ აპირებს იგი კონკურენტუნარიანი ჟურნალისტების გაზრდას? ამ საკითხებზე თავად ქალბატონი რუსუდანი გვესაუბრება.

მაია ტორაძე

— ქალბატონო რუსუდან, პირველ რიგში მოკლედ გაგვაცანით თქვენი პიროვნება — საიდან მოდიხართ, პრაქტიკული და სამეცნიერო მუშაობის რა გამოცდილება გაქვთ?

— 20 წელზე მეტია აქტიურ ჟურნალისტიკაში ვარ. ჩემი თაობის ჟურნალისტებისთვის ასპარეზზე გამოსვლა დაემთხვა ცივი ომის დასასრულს, ბერლინის კედლის დანგრევას და საბჭოთა კავშირის დემონტაჟს. ჩვენთვის ყველაზე საინტერესო „ჰოთ ნიუსი" ქუჩაში ხდებოდა გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, როცა უამრავი ადამიანი საბჭოთა დიქტატურას აპროტესტებდა და საქართველოს დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. ჩვენ პირველად გავიგეთ მაშინ განსხვავებული მოსაზრებები, პოლიტიკური დებატების არსი და დემოკრატიის მნიშვნელობა. დიდი პრაქტიკული გამოცდილება მივიღე, რადგან ამ ხნის მანძილზე ვმუშაობდი თითქმის ყველა წამყვან ტელევიზიაში, ვიყავი რეიტინგული გადაცემების ჟურნალისტი, სხვადასხვა გადაცემის აღმასრულებელი პროდიუსერი, ყველა ცნობილი ტელე-წამყვანის პროდიუსერი და ტელე-წამყვანი.

აღვნიშნავ იმასაც, რომ ჟურნალისტიკა არ არის ჩემთვის ერთადერთი პროფესია. ჩემი მეორე პროფესია გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობები. ვფიქრობ, როცა პოლიტიკურ ჟურნალისტიკაში ხარ, აუცილებელია პოლიტიკური მეცნიერების ცოდნა და ეს ყველა ჟურნალისტმა უნდა გაითვალისწინოს.

რაც შეეხება სამეცნიერო მუშაობას, პირველად ორი წლის წინ საქართველოს უნივერსიტეტში მიმიწვიეს. მას შემდეგ მომავალ ჟურნალისტებს ორ კურსს ვუკითხავ: „მედია და პოლიტიკა" და „პოლიტიკისა და არჩევნების გაშუქება". ძალიან მომზადებული თაობა მოდის და უზომოდ მიხარია. ამჟამად, ჩემს სამეცნიერო საქმიანობას სახელმწიფო უნივერსიტეტი დაემატა. ბედნიერი ვიყავი, როცა შევიტყვე კონკურსში გამარჯვების შესახებ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სტუდენტებს სამაუწყებლო მედიას ვასწავლი და ბევრი საინტერესო გეგმა გვაქვს.

ყველა მეკითხება, როგორ ვახერხებ ტელევიზიებში პროექტების განხორციელებას და პარალელურად სამეცნიერო საქმიანობას. როცა სადოქტორო დისერტაციაზე მუშაობა დავიწყე, არც მეგონა რომ ოდესმე დავასრულებდი, რადგან თავზესაყრელი საქმეები მქონდა. ოპტიმიზმი არ დამიკარგავს და თუმცა ცოტა გამიჭიანურდა, მაგრამ დისერტაცია ბოლოს მაინც დავიცავი. ჩემი თემა ჟურნალისტიკის ისტორიიდან იყო — „1917-1918 წლების პრესა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის შესახებ". ეს გახლავთ ქართული პრესის საოცარი პერიოდი და კვლევამ გამიტაცა, რადგანაც ნამდვილი პოლიტიკური დებატების და პლურალიზმის წინაშე აღმოვჩნდი.

შემდგომ წლებში გამოვეცი წიგნი ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის შესახებ ქართველი ჟურნალისტებისთვის, უკვე მეორე წელია ვატარებ საზაფხულო სკოლას თ-ს შესახებ. დღეს ბევრი საუბრობს ნატოსა და ევროკავშირის თაობაზე, ასევე საქართველოს ინტეგრაციაზე დასავლურ სტრუქტურებში და ჩემს კოლეგებს სჭირდებათ ცოდნა, რომ ეს პროცესი სწორად გააშუქონ. ისეთი განცდა მაქვს, რომ ქართველი ჟურნალისტებისთვის საინტერესო საქმეების კეთებით არასოდეს დავიღლები.

— თქვენი აზრით, რა უნდა იცოდეს დღეს ჟურნალისტიკის მიმართულების კურსდამთავრებულმა, რათა მედიადამფუძნებლების ან რედაქტორების მოთხოვნები დააკმაყოფილოს? რას ითხოვს ჟურნალისტებისგან შრომითი ბაზარი?

— პირველ რიგში საინტერესო იდეებს, მუდმივ ინფორმირებულობას, პროფესიონალიზმს, კომუნიკაბელურობას, საკითხისადმი ობიექტურ მიდგომას და თანამედროვე აზროვნებას. ჟურნალისტი აღჭურვილი უნდა იყოს ძლიერი ნერვებით და სწორი ხედვით, ღირებულებებით.

თემის რესპონდენტი
რუსუდან ვაშაკიძე

— პრაქტიკული გამოცდილება გაძლევთ იმის შეფასების საშუალებას, რომ იცოდეთ, როგორი თაობა მოდის უნივერსიტეტიდან ტელევიზიაში. აკმაყოფილებს თუ არა ამ მიმართულებაზე სწავლების ხარისხი მოთხოვნებს?

— ჯერ მეც ახალი ვარ, რომ შეფასება გავაკეთო. ვნახოთ როგორ ისწავლიან, როგორ დააკმაყოფილებენ პროფესორის მოთხოვნებს. მე სტუდენტებთან პარტნიორულ დამოკიდებულებას ვარჩევ, არ მინდა მკვეთრი ზღვარის გავლება. სულ რამდენიმე ლექცია ჩავატარე და უკვე კარგი შთაბეჭდილება მაქვს.

ჩვენ სალექციო მასალებთან ერთად სიმულაციებსაც ვაკეთებთ. სტუდენტებმა წინა კვირას კამერებს მოჰკიდეს ხელი და გადაღებები დავგეგმეთ. მთავარია, რომ სწავლის სურვილი აქვთ და არ ეზარებათ, არც მარტო მაღალი ქულებისთვის იბრძვიან. იციან, რომ კონკურენცია ძალიან მაღალია და თუ ცოდნა არ გაქვს, ვერაფერს მიაღწევ. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება, არის ის, რომ ბევრს ინგლისური ენა უჭირს. თანამედროვე პერიოდში ეს ხელისშემშლელი ფაქტორია და ყველამ უნდა მოახერხოს ინგლისურის სწავლა, უფრო მეტიც, უკვე საჭირო გახდა მეორე უცხო ენაც. თუ ენა არ იცი, დანარჩენ სამყაროსთან კომუნიკაციას ვერ მოახერხებ, ეს კი ჩაკეტილობის ტოლფასია. შენც უნდა მოახერხო გარღვევა და სხვამაც — შენამდე მოღწევა.

— რა სიახლის შემოტანას გეგმავთ თსუ-ის ჟურნალისტიკის მიმართულების სტუდენტთა სწავლებაში?

— სიახლე ამ ეტაპზე შეიძლება იყოს სწავლების მეთოდიკაში. მე ინტერაქტიული ლექციების მომხრე ვარ. არ მიყვარს მონოლოგი, სტუდენტის ჩართულობა ჩემთვის უპირველესია. არ ვიცი, ეს რამდენად სიახლეა, მაგრამ ვფიქრობ, რომ სტუდენტი თუკი იტყვის, რომ მან ჩემი ლექციიდან ბევრი რამ ისწავლა, უზომოდ ბედნიერი ვიქნები.

— რა მეთოდით ასწავლით, რაზე ამახვილებთ ყურადღებას? ლექციაზე, გარდა მოსმენისა, რით არიან დაკავებული სტუდენტები? რა პრაქტიკულ გამოცდილებას აძლევს მათ თქვენი საგანი და რას მისცემს ის მათ მაღალი ხარისხის განათლების მიღებისათვის?

— ლექციაზე ისინი მხოლოდ მოსმენით ნამდვილად არ არიან დაკავებულნი. ვცდილობ, რომ ლექცია იყოს მაქსიმალურად ინტერაქტიული, სტუდენტი იყოს თანამონაწილე როგორც დავალების გამოკითხვის დროს, ასევე, ლექციის ახსნის დროსაც. მათ პრაქტიკულ გამოცდილებას აძლევს ის სიმულაციები, რომელსაც ვთავაზობ ხოლმე ლექციაზე. დაგეგმილი გვაქვს რეალური გადაცემების მომზადება და ჩაწერა ტელესტუდიაში.

ჟურნალისტისთვის აუცილებელია ფლობდეს კითხვის დასმის კულტურას. მან ასევე დაახლოებით უნდა იცოდეს, რა პასუხი შეიძლება მიიღოს რესპონდენტისგან, რომ მისი გააზრება მოასწროს. ვასწავლი ამა თუ იმ საკითხის გარშემო კვლევის ჩატარებას, როგორ მოიპოვოს საინტერესო მასალა, როგორ მიიღოს ექსპრესია და სატელევიზიო კადრით როგორ მიიზიდოს მაყურებელი. მოკლედ, ჩემი სტუდენტები მზად უნდა იყვნენ, რომ თუკი ერთ მშვენიერ დღეს მათ ეტყვიან — თქვენ ხვალ მიდიხართ პრეზიდენტ ობამასთან ინტერვიუზე ან ქაბულში ნატო-ს სამშვიდობო მისიის შესახებ რეპორტაჟის მოსამზადებლადო, მათ უნდა შეძლონ მაღალხარისხიანი გადაცემის მომზადება. მიხარია, როცა ვხედავ მათ ინტერესსა და სურვილს — რაც შეიძლება ბევრი მიიღონ ლექციებისგან. ეს პროფესორის მუდმივ ფორმაში ყოფნასაც გულისხმობს. თუ სტუდენტს ლექტორის მიმართ ინტერესი გაუქრა, იმ ლექტორის საქმე ცუდადაა. მეც მყოლია წარმატებული და წარუმატებელი ლექტორები. ყველა კარგად მახსოვს. ამიტომაც ვცდილობ, რომ ჩემმა სტუდენტებმა ჩემი ლექციები ყველა დროში კარგად გაიხსენონ და საჭირო ცოდნა მიიღონ. სხვანაირად ჟურნალისტურ კარიერას ვერ შეუდგებიან. კვირაში ორჯერ ლექცია არ არის საკმარისი და ამიტომ ფეისბუქზე დახურული ჯგუფი შევქმენით, მუდმივად ვკონტაქტობთ სოციალურ ქსელში. მინდა იგრძნონ, რომ ნებისმიერ დროს ნებისმიერ საკითხზე შეუძლიათ მომმართონ.

წარმატებული

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲛᲥᲝᲜᲓᲔᲡ

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის დაწყების წინ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი იმ 10 გამორჩეულ სტუდენტს შეხვდა, რომლებმაც წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი შეფასება მიიღეს და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტებზე ჩაირიცხნენ. „ჩვენ გვჭირდება სპეციალისტები. ის ფაქტი, რომ 10-მა საუკეთესო სტუდენტმა ტექნიკური პროფესიები აირჩია, იმის მანიშნებელია, რომ სწორი მიმართულებით დავიწყეთ მოძრაობა", — განაცხადა პრეზიდენტმა.

გამორჩეულ სტუდენტთა შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი სანდრო ყიფიანიც მოხვდა. მან ერთიან ეროვნულ გამოცდებზე თითქმის ყველა საგანში მაღალი შეფასება დაიმსახურა. რამ განაპირობა მისი არჩევანი და რას გეგმავს მომავალში? — ამაზე **სანდრო ყიფიანი** *გულახდილად საუბრობს.*

შურთხია ბერეშვილი

— სანდრო, შენ გადაწყვეტილებაზე გავლენა პრეზიდენტის ადრინდელმა მოწოდებებმა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების პრიორიტეტად გამოცხადებამაც ხომ არ იმოქმედა?

— თავდაპირველად მინდა ვთქვა, ბედნიერი ვარ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი. რაც შეეხება არჩევანს — კომპიუტერული მეცნიერებები ყოველთვის მაინტერესებდა, თუმცა, სკოლაში კარგად ვსწავლობდი და დიდხანს ვიფიქრე, რომელი პროფესია ამერჩია, რაზეც, გარკვეულწილად, იმ ფაქტმაც იმოქმედა, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები სახელმწიფომ პრიორიტეტულად გამოაცხადა. ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე მრავალი საინტერესო მიმართულებაა, მაგრამ ამ ეტაპზე არჩევანი საინფორმაციო ტექნოლოგიებზე შევაჩერე. ვფიქრობ, დღეს ეს დარგი ძალიან პერსპექტიულია, თუმცა, ამ ეტაპზე არც ისე განვითარებული.

— როგორი გარემო დაგხვდა უნივერსიტეტში, კმაყოფილი ხარ თუ არა სწავლების ხარისხით?

— სწავლა არც ისე დიდი ხანია დაიწყო, მაგრამ კმაყოფილების მიზეზი ნამდვილად მაქვს. პედაგოგები ძალიან მომწონს, ვთვლი რომ ამ მხრივ გამიმართლა, თუმცა ჯერჯერობით ვერავის გამოვარჩევ.

— განსაკუთრებულად რომელი საგნებით დაინტერესდი?

— მათემატიკა ყოველთვის მიყვარდა, ახლა კი ბიოლოგიამ გამიტაცა იმდენად, რომ შეიძლება მომავალში უფრო ღრმად შევისწავლო.

— პროფესიის შეცვლას ხომ არ აპირებ?

— სულიად შესაძლებელია. აქამდე არ მეგონა, თუ ბიოლოგია ასე გამიტაცებდა. უნივერსიტეტში სხვა შესაძლებლობები გადაიშალა. მომავალში არ არის გამორიცხული, რომ სამეცნიერო ასპარეზზე ვცადო ბედი. ჩემი აზრით, საბუნებისმეტყველო დარგები მომავალში ძალიან პერსპექტიული გახდება და დასაქმების მხრივაც პრობლემა არ მექნება.

სანდრო ყიფიანი

— შენ მიერ არჩეული პროფესიის გარდა, კიდევ რითი ხარ გატაცებული?

— სკოლის პერიოდში აქტიურად ვიყავი დაკავებული სპორტით. სხვადასხვა დროს გატაცებული ვიყავი ფეხბურთით, ცურვით, კალათბურთით. აქტიურად დავდიოდი ლაშქრობებში... ამ მხრივ, ამჟამად, ცოტა არ იყოს, პასიური გავხდი, რადგან სწავლას დიდ დროს ვანდომებ, თავისუფალ დროს კი კითხვას ან მუსიკის მოსმენას ვამჯობინებ, ან მეგობრებთან ვერთობი. მომავალში ვაპირებ აქტიურად ჩავერთო სტუდენტურ ცხოვრებაში.

— ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საკმაოდ მაღალი შედეგები გაქვს, განსაკუთრებით წარმატებით გერმანულის გამოცდა ჩააბარე, რომელშიც 100 ქულა დაიმსახურე. კიდევ რა ენებს ფლობ?

— დღეს უცხო ენების ცოდნას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სერიოზული კარიერული წინსვლა ამის გარეშე წარმოუდგენელია. გერმანულის გარდა კარგად ვფლობ ინგლისურს და რუსულს. ამ კუთხით ცოდნის გაღრმავება არ შემიწყვეტია. უცხოეთში სწავლის გაგრძელებაზეც ვფიქრობ, ჯერ ბევრი უნდა ვისწავლო, მჯერა, რომ ცხოვრებისეულ სირთულეებს დავძლევ და გარკვეულ წარმატებას მივაღწევ.

რა ევალება სტუდენტს სწავლის გარდა

პირველი გვერდიდან

მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ 1978 წლის 14 აპრილს ქართული ენის დასაცავად გაერთიანებულ სტუდენტთა გამოსვლები და აქტიურობა, რომელთაც დიდი ამაგი მიუძღვით მშობლიური ენის დაცვის მხრივ. თუმცა, დროის მსვლელობასთან ერთად იცვლება დაკვეთაც და მოთხოვნებიც. დღეს ახალგაზრდებს საკუთარი ქვეყნის წინაშე უკვე სხვა ვალდებულებები აკისრიათ და მათ, გარდა სწავლისა, სხვა მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გამოვლინებაც მართებთ. უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სტუდენტები ამ მხრივ არც თუ ადეკვატური აქტიურობით გამოირჩევიან, არადა ქვეყანაში ბევრი ისეთი პრობლემაა გადასაწყვეტი, რაც ახალგაზრდების ინიციატივას მოითხოვს. მათი ინდიფერენტულობის მიზეზად ექსპერტები ახალი თაობის აღზრდის პრობლემასა და ახალგაზრდების გართობისადმი ზედმეტ მიდრეკილებას მიაწერენ. მაგრამ, დროა, სტუდენტობამ მეტი პასუხისმგებლობა იტვირთოს და საკუთარი მისია უკეთ გააცნობიეროს. ამ თემაზე სასუბროდ ჩვენ თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელს **იაგო კაჭკაჭიშვილს** *მივმართეთ.*

„სტუდენტის უპირველესი ფუნქცია, მისი სტატუსიდან გამომდინარე, არის ის, რომ ჩამოყალიბდეს პროფესიონალად, მაგრამ ეს მისი ერთადერთი ვალდებულება არაა. აუცილებელია, სტუდენტი შედგეს როგორც საზოგადოების აქტიური მოქალაქე, რომელსაც უნდა ჩამოუყალიბდეს სამოქალაქო ცნობიერება. სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებაში კი მხოლოდ პედაგოგები არ უნდა მონაწილეობდნენ, თავად სტუდენტმაც უნდა გამოიჩინოს ინიციატივა. მან სწავლის გარდა, სხვა სოციალური ტიპის აქტივობებიც უნდა განახორციელოს. თუ გარკვეული ფინანსური უზრუნველყოფაც ექნება, ცუდი არ არის, მაგრამ მას მხოლოდ ფინანსური სარგებლის მიღების მოლოდინი არ უნდა ჰქონდეს. ანუ სტუდენტმა ეს უნდა გააკეთოს საკუთარი ინიციატივით, საკუთარი მოქალაქეობრივი ზრდისთვის. რა ტიპის აქტივობები უნდა განახორციელოს მან, პირველ რიგში, მოხალისეობის საფუძველზე? — ეს არის ნებისმიერი რამ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში უფლებადაცვით საქმიანობას. მაგალითად, სტუდენტი აქტიურად უნდა იყოს ჩართული სოციალურად დაუცველი ჯგუფების სარეაბილიტაციო პროგრამებში. მან მონაწილეობა უნდა მიიღოს გონებრივად ჩამორჩენილი, მარტოხელა მოხუცების, ქუჩის ბავშვების, სხვა სოციალურად დაუცველი ჯგუფების ადაპტაციისა და დახმარების პროცესში. ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტის აქტიურობა თავად სტუდენტური ცხოვრების იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ სწავლას არ ეხება და დაკავშირებულია სხვადასხვა აქტივობებთან, როგორიცაა ეკოლოგიურ პროგრამებში მონაწილეობა (ბუნებითდაცვითი საქმიანობა), ისტორიული მეხსიერების გაფრთხილების და ისტორიული მემკვიდრეობის დაცვა (მაგალითად, ისტორიული ძეგლთა რეაბილიტაცია), სახელოვნებო აქტივობები და ასე შემდეგ. ეს ყველაფერი არის სტუდენტის დამატებითი საქმიანობა, რომელმაც არ უნდა ჩაანაცვლოს სწავლა“, — გვითხრა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელმა, პროფესორმა იაგო კაჭკაჭიშვილმა.

თუ რამდენად მონაწილეობენ სტუდენტები სხვადასხვა უფლებადაცვით თუ საქველმოქმედო ღონისძიებებში, ამის გასარკვევლად ჩვენ გამოკითხვა ჩავატარეთ. პასუხები სხვადასხვაგვარია: ახალგაზრდების ნაწილს სწავლის პროცესშივე ევალება მსგავსი სახის აქტივობებში ჩართვა, ნაწილი მოხალისეობის საფუძველზე იღებს მონაწილეობას, არსებობს სტუდენტთა კატეგორიაც, რომლებიც მხოლოდ სწავლით არიან დაკავებულნი.

„ჯერ ასეთ სერიოზულ ღონისძიებაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ ჩემი მომავალი პროფესია მოითხოვს მქონდეს შეხება სოციალურად დაუცველ ჯგუფებთან და ამიტომ აუცილებლად ჩავართ-

ვები სხვადასხვა უფლებადაცვით ღონისძიებებში. მაინტერესებს მზრუნველობას მოკლებული ბავშვების პრობლემები და მომავალშიც, ვფიქრობ, ამ კუთხით განვაგრძობ მუშაობას,“ — განაცხადა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის სტუდენტმა თამთა გურჩიანმა.

„ჩემმა მეგობარმა მითხრა ერთერთი აქციის შესახებ, რომელიც უნარშეზღუდული ადამიანის დასახმარებლად ხორციელდებოდა, რაშიც აქტიურად ჩავერთე. მოქალაქეებს ვურიგებდი ფლაერებს. ვფიქრობ, რომ ყველა სტუდენტი უნდა იღებდეს მსგავსი სახის ღონისძიებებში მონაწილეობას“, — აღნიშნა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა თამთა დანელიამ.

„რა თქმა უნდა, სტუდენტის სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის მნიშვნელოვანია საქველმოქმედო, უფლებადაცვით ღონისძიებებში მონაწილეობა, მაგრამ, მე, სწავლის გარდა დრო არაფრისთვის მრჩება, ამიტომ არ მაქვს საშუალება ჩავერთო მსგავს საქმიანობაში“, — გვითხრა პოლიტოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტმა მარიამ ზარქუამ.

გამოკითხვის შედეგად, ასევე, გაირკვა, რომ ახალგაზრდების ნაწილი საქველმოქმედო ღონისძიებებსა თუ უფლებადაცვით საქმიანობაში მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერთვება, თუ ფინანსურ სარგებელს მიიღებს ან სხვა კუთხით იქნება მომგებიანი. ეს შეიძლება ქვეყანაში არსებული მძიმე სოციალური ფონითაც აიხსნას, თუმცა საკითხის ასე დასმა რამდენად მართებულია, საკამათოა.

„ჩემი აზრით, ნებისმიერი ადამიანის მოვალეობაა, რომ იზრუნოს თუნდაც უნარშეზღუდულ ადამიანებზე. თუკი ამ მხრივ აქტიურია სტუდენტი, ძალიან კარგია და ამას მისი აღზრდა, შეგნება განაპირობებს. ახალგაზრდების უმრავლესობა, ვისაც კი ვიცნობ, ასეთი სახის საქმიანობაში იმ შემთხვევაში ჩაერთვებიან, თუ ფინანსურად იქნება მომგებიანი და საზოგადოებაშიც გამოჩნდებიან“, — განაცხადა პოლიტოლოგიის მიმართულების III კურსის სტუდენტმა ქრისტინა ქორიძემ.

ისეთ განვითარებად ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, სტუდენტების სამოქალაქო აქტივობას მნიშვნელოვანი დატვირთვა გააჩნია. ეს ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებასაც, რომელიც საქართველოში დღეს მეტად პრობლემატური და აქტუალური თემაა. თუმცა, როგორც თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები მიიჩნევენ, სტუდენტის უპირველესი მოვალეობა ცოდნის გაღრმავებაა და სხვადასხვა სოციალური ტიპის აქტივობებში მონაწილეობამ სასწავლო პროცესში მის ჩართულობას ხელი არ უნდა შეუშალოს.

***მოამზადა* ნატო ოგოლაძემ**

შთაგეჭდილება

დაუვიწყარი საზაფხულო პრაქტიკა კლაუს ჰიპის საწარმოში

მსოფლიოში ცნობილი გერმანელი მეწარმე, საქართველოს დიდი მეგობარი, საქართველოს საპატიო კონსული მიუნხენში და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი კლაუს ჰიპი (რომლის ბრენდიც არის მსოფლიოში ბავშვთა კვებისა და მოვლის პროდუქტების ერთერთი პირველი მწარმოებელი) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გერმანულენოვანი სტუდენტებისათვის პერიოდულად კითხულობს ლექციებს ბიზნეს ეთიკის მიმართულებით. ბატონ ჰიპს დაგეგმილი აქვს ყოველწლიურად შეარჩიოს 2 სტუდენტი და დაპატიჟოს გერმანიაში, საკუთარ საწარმოში 4-კვირიანი პრაქტიკის გასავლელად. წელს მან პირველი შერჩევა ჩაატარა და ჩვენ აგვირჩია: თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტები – ნათია ჩიქოვანი და გვანცა გოგუაძე.

ბატონი ჰიპის მთავარი საწარმო მდებარეობს გერმანიაში, ქალაქ ფაფენჰოფენში (ბაიერნი), სადაც ჩვენ ზაფხულის ერთი თვე გავატარეთ. ფირმის ტერიტორიაზე განლაგებულია საწარმო, ადმინისტრაციული ბიუროები, ლაბორატორია, ფირმის კერძო ბანკი, რესტორანი და ა.შ. ვცხოვრობდით საწარმოს მფლობელობაში მყოფ ბინაში, რომელიც ფირმიდან 200 მეტრის დაშორებით მდებარეობდა. ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკა იწყებოდა დილის 8:00 საათზე და მთავრდებოდა საღამოს 16.00 საათზე.

პრაქტიკები ძალიან საინტერესო და მრავალფეროვანი იყო. გაგვანაწილეს ლოგისტიკისა და მარკეტინგის განყოფილებებში. (მარკეტინგი — ნათია ჩიქოვანი, ლოგისტიკა — გვანცა გოგუაძე). მარკეტინგი იყოფა: პირდაპირ მარკეტინგად, სავაჭრო მარკეტინგად, კლასიკურ მარკეტინგად და ა.შ. თითოეული ნაწილი თავის საქმეს ასრულებს: უზრუნველყოფს პრესასა და ტელევიზიაში რეკლამის განთავსებას, სუპერმარკეტებსა და სავაჭრო ცენტრებში პროდუქტის სწორად მიწოდებას და მის ადგილზე რეკლამირებას, უშუალო კონტაქტს მომხმარებლებთან, მიზნობრივი ჯგუფის სწორად შერჩევას და მის ამომწურავად ინფორმირებას. არსებობს ჰიპის ე.წ. ბავშვთა კლუბი (Hipp baby club), სადაც შეუძლია ნებისმიერ მშობელს დარეგისტრირდეს ინტერნეტით, რომელიც ცხოვრობს გერმანიაში ან ავსტრიაში და მიიღოს ყოველკვირეული რჩევები პროფესიონალი პედიატრებისგან და ყოველთვიური საჩუქარი ჰიპის ფირმისგან: ნაკრები იმ აუცილებელი პროდუქტებისა, რომელიც ჩვილ ბავშვს ესაჭიროება მოცემულ მომენტში იმის შესაბამისად, თუ რამდენი დღის, კვირის თუ თვის არის იგი. ფირმას აქვს, ასევე, სპეციალური ცხელი ხაზი, სადაც ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება დარეკოს და დასვას ნებისმიერი კითხვა როგორც კონკრეტულად პროდუქტზე, ასევე, ზოგადად, ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, რადგან ჰიპის ფირმას ემსახურება პედიატრთა ჯგუფი, რომელიც მზად არის დაეხმაროს მშობლებს და უზრუნველყოს ისინი ნებისმიერი ინფორმაციით. მარკეტინგის განყოფილებას მჭიდრო კავშირები აქვს იმ ქვეყნებთან, რომლებშიც ის თავის პროდუქციას გზავნის. ტარდება მრავალი კონფერენცია უცხოელ პარტნიორებთან, რათა კონკრეტულ ქვეყნებში სწორი მარკეტინგული გათვლებით იქნას მიწოდებული პროდუქცია. მსგავსს შეხვედრებზე დასწრების საშუალება ჩვენც გვქონდა.

ლოგისტიკის განყოფილების მთავარი ამოცანა იყო პროდუქციის დაგეგმვა და ურთიერთობები საექსპორტო ქვეყნებთან. ყოველ დღე ვიყავით ლოგისტიკის გუნდის სხვადასხვა წევრთან, რომლებიც გვიხსნიდა თავის სამუშაოსა და მოვალეობებს ფირმაში და გვაძლევდა კონკრეტულ დავალებებს. ყოველი ახალი დღე იწყებოდა ახალი ადამიანის გაცნობითა და მისი ცოდნის გაზიარებით. პრაქტიკის განმავლობაში მივიღეთ ბევრი ინფორმაცია ფირმაში ლოგისტიკის მნიშვნელობისა და საქმიანობის, ასევე, ბატონი ჰიპის საწარმოების შესახებ. მას მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში აქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმოები, სადაც მზადდება პროდუქცია უმაღლესი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულით. ფირმა თავისი პროდუქციის ექსპორტს ეწევა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ფირმის თანამშრომლები და კურატორები, რომლებიც ჩვენს პრაქტიკებს ხელმძღვანელობდნენ, ძალიან სასიამოვნო ადამიანები არიან. შევისწავლეთ თეორიული მხარეც და შევასრულეთ პრაქტიკული სამუშაოებიც, ვიყავით ასევე ფირმის ექსკურსიაზე, სადაც დაწვრილებით გვიამბეს საწარმოს დაარსების ისტორია და გვაჩვენეს, თუ როგორ მზადდება ჰიპის პროდუქტი, რომელიც არის ბიო-ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა და გემრიელი ბავშვებისათვის. საწარმოს აქვს საკუთარი ლაბორატორია, რომელიც ნომერ პირველი ლაბორატორიაა ევროპაში, სადაც უამრავ შემოწმებას გადის თითოეული პროდუქტი, სანამ წარმოებაში გავა. ფირმის მფლობელობაშია, ასევე, მიწები ცხოველების მოსაშენებლად, რომელიც მდებარეობს სპეციალურად სავალი გზიდან შორს, რათა თავიდან აიცილონ გამონაბოლქვის მავნე ნივთიერებები. საწარმოს ხილისა და ბოსტნეულის პლანტაციების მოვლა მხოლოდ ბუნებრივი ნივთიერებების საშუალებით ხდება, რაც ბიო-ხარისხს უზრუნველყოფს, ხოლო ჰიპის ბავშვის მოვლის პროდუქტები, როგორებიცაა სახის კრემი თუ ბავშვის შამპუნი, მხოლოდ აუცილებელ ქიმიურ დანამატებს შეიცავს და აბსოლუტურად უსაფრთხოა ბავშვის ნაზი კანისათვის. ჰიპის ფირმას აქვს უნიკალური საკუთარი ბიო-ხარისხის დამადასტურებელი ლოგო. ჰიპის პროდუქცია მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში იგზავნება, მათ შორის საქართველოშიც.

ბატონი ჰიპი ახალ სასწავლო წელს უკვე ესტუმრა ჩვენს უნივერსიტეტს. იგი წლის განმავლობაში პერიოდულად წაიკითხავს ლექციებს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის გერმანულენოვანი სტუდენტებისათვის, ხოლო წლის ბოლოს მათგან კვლავაც შეარჩევს 2 სტუდენტს ზაფხულში პრაქტიკების გასავლელად.

გვსურს, დიდი მადლობა გადავუხადოთ ბატონ კლაუს ჰიპს, რომ მოგვცა საშუალება გაგვეღრმავებინა ჩვენი ცოდნა, მიგვეღო პრაქტიკული გამოცდილება და გაგვეტარებინა სასიამოვნო და დაუვიწყარი დღეები.

ნათია ჩიქოვანი
გვანცა გოგუაძე
თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტები



International Year of
CHEMISTRY
2011

ქიმიის სამყარო

საზაფხულო სამეცნიერო აკადემია და ქიმიის საერთაშორისო წელი



უკვე მესამე ზაფხულია, რაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სკოლის მოსწავლეებისათვის საზაფხულო სამეცნიერო აკადემია ეწყობა. მოსწავლეებში ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისადმი ინტერესის გაღვიძების, შესაძლო კარიერის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, უნივერსიტეტის გარემოს გაცნობის და სხარტი თაობის მოზიდვის მიზნით ზაფხულის ცხელი დღეების გატარება ბავშვებს უნივერსიტეტში შევთავაზეთ. მონაწილე მოსწავლეებიც მაშინვე გამოჩნდნენ და გადაწყვიტეს თავისუფალი დროის სწორი ინვესტიცია გაეკეთებინათ. ათდღიანი პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ უნივერსიტეტის აუდიტორიებში მოესმინათ ლექცია-სემინარები, დაკვირვებოდნენ ექსპერიმენტებს, პროექტის ფარგლებში მოემზადებინათ და წარმოედგინათ საკუთარი ხედვა. ერთმანეთისაგან განსხვავებული, ორიგინალური და ფანტაზით სავსე გახლდათ მონაწილე მოსწავლეთა წლევანდელი ინდივიდუალური პროექტი „ქიმიის გარეშე“, რომელშიც წარმოჩნდა ქიმიის როლი. წელს იუნესკო და იუპაკი ქიმიის საერთაშორისო წელს აღნიშნავს და ჩვენი საზაფხულო აკადემია ქიმიის საერთაშორისო წლის (IYC 2011) ოფიციალური ღონისძიება გახლდათ. მონაწილეობა მივიღეთ მასშტაბების მიხედვით გლობალურ წყლის ექსპერიმენტში „წყალი: ქიმიური ხსნარი“. მოსწავლეებმა უნივერსიტეტში ჩატარებულ ერთერთ ექსპერიმენტში, რომელიც ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტარდებოდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბუნებრივი წყლის მჟავიანობის ხარისხი განსაზღვრეს. მიღებული შედეგები კი გლობალურ მონაცემთა რუკაზე განთავსდა (http://water.chemistry2011.org).

პროექტი კარგი საშუალებაა, რათა მომავალმა თაობამ აღმოაჩინოს საკუთარი თავი, საკუთარი ინტერესი, შეხვდეს ადამიანებს, რომლებიც კვალიფიციურ რჩევას მისცემენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში აკადემიური თუ სამეცნიერო და სხვა ტიპის საქმიანობის შესახებ. დაინტერესების შემთხვევაში კი მოსწავლეთა კვლევით სამუშაოში ჩართვის შესაძლებლობებიც არსებობს. მინდა აღვნიშნო, პროგრამაში ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტების, პროფესორების და მეცნიერების, სტუმრების – თსუ-ის კურსდამთავრებულების და ევროპის ბირთვული კვლევების ცენტრში (CERN) მოღვაწე მეცნიერების, სტუდენტების (Princeton University), გერმანული პროექტის „ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება კარიერების აღდგენის გზით“ ექსპერტების (Heidelberg Cement, GIZ) წარმატებული მონაწილეობა საზაფხულო პროგრამაში.

მოსწავლეთა პროექტის „ქიმიისგარეშე“ პრეზენტაცია

გვიხარია, რომ ყოველ წელს მოტივირებული და ცნობისმოყვარე ბავშვები მოდიან უნივერსიტეტში. ვფიქრობ, მოსწავლეები პროგრამის გავლის შემდეგ საკუთარ თავში უფრო მეტად დარწმუნებულები ტოვებენ უნივერსიტეტს, რადგან მათ კარგად აქვთ გააზრებული, რომ ქვეყნის მომავალი სწორედ მომავალ თაობაზეა დამოკიდებული და გარკვეული პასუხისმგებლობით ეკიდებიან დროს, რომელიც მათ მოცემულ მომენტში გააჩნიათ. როცა ამგვარი განწყობით მოტივირებულ, ნაცნობ სახეებს ვხედავთ ტელევიზიის, სოციალური მედიის საშუალებით და უნივერსიტეტში, ვფიქრობთ, გარკვეული კვალი დავტოვეთ მათ ცხოვრებაში.

ხათუნა კახიანი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევების და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში

საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში საქართველოში მეორედ გაიმართა.

პირველი სიმპოზიუმი ორგანულ ქიმიაში ქალაქ სიღნაღში 2009 წლის 16 ოქტომბერს ჩატარდა. სიმპოზიუმი მიეძღვნა პროფესორ გიორგი ჭირაქაძის დაბადებიდან 75-ე წლისთავს. სიმპოზიუმზე გადაწყდა, რომ ორი წლის შემდეგ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გამართულიყო საერთაშორისო კონფერენციები ორგანულ ქიმიაში.

II საერთაშორისო კონფერენცია ორგანულ ქიმიაში — „ჰეტეროციკლური ქიმიის მიღწევები" გაიმართა 25-27 სექტემბერს თბილისში, სასტუმროში „დიდუბე-პლაზა".

კონფერენცია 4 სექციაში მიმდინარეობდა, რომელებშიც განიხილეს ჰეტეროციკლების და ორგანული ქიმიის სხვა სფეროებში მიღებული სამეცნიერო კვლევის უახლესი შედეგები.

კონფერენციის ორგანიზატორები გახლდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია.

თანამონაწილე ორგანიზაციები იყვნენ საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაცია, სასტუმროები „დიდუბე-პლაზა“ და „პრესტიჟი“. ხოლო საინფორმაციო მხარდამჭერები — „World scientific publishing", საერთაშორისო ჟურნალი „Chemistry of Heterocyclic Compounds" და ციფრული ბეჭდვის ცენტრი „ESPO".

კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებების თეზისებიდან მიიღეს 151 მოხსენება მსოფლიოს 19 ქვეყნიდან: აზერბაიჯანიდან, აშშ-დან, ბელორუსიიდან, გერმანიიდან, თურქეთიდან, ინდოეთიდან, ირანიდან, იტალიიდან, ლატვიიდან, პაკისტანიდან, რუსეთიდან საბერძნეთიდან, სასომხეთიდან, საქართველოდან, სინგაპურიდან, უკრაინიდან, უზბეკეთიდან, შვეიცარიიდან და ჩინეთიდან.

პლენარული მოხსენებების გასაკეთებლად საორგანიზაციო კომიტეტმა მოიწვია ბოლონიის უნივერსიტეტის პროფესორი დომენიკო სპინელი (იტალია), თესალონიკის უნივერსიტეტის პროფესორი ათინა გერონიკაკი (საბერძნეთი), ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი აბელ მაჰარამოვი და პროფესორი რამაზანოვი (აზერბაიჯანი), სომხეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გევორგ დანაგულიანი (სომხეთი) და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა სამსონია.

კონფერენციის გახსნის ცერემონიალში მონაწილეობა მიიღეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალურმა დირექტორმა სულხან სისაურმა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა ნუგზარ ჩიტაიამ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის მოადგილემ, პროფესორმა ზურაბ გასიატაშვილმა, კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ შოთა სამსონიამ, სამეცნიერო კომიტეტის წევრებმა — აკადემიკოსმა გივი ცინცაძემ და აკადემიკოსმა თეიმურაზ ანდრონიკაშვილმა.

მოხსენებები წაიკითხეს სამეცნიერო კომიტეტის მიერ წინასწარ შერჩეულმა მონაწილეებმა: ნ. აზიზიმ (ირანი), რ. კუმარიმ (ინდოეთი), მ. ღანბარიმ (ირანი), ფ. ტალიბოვმა (აზერბაიჯანი), ვ. ვაჩნაძემ (საქართველო), შ. შელკემ (ინდოეთი), ფ. ჩირაგოვმა (აზერბაიჯანი) და სხვ.

ჟიურიმ პროფესორების დომინიგო სპინელის, ათინა გერონიკაკისა და შოთა სამსონიას შემადგენლობით საუკეთესო პოსტერული მოხსენებისათვის გამოავლინა სამ–სამი გამარჯვებული. საქართველოდან — ე. კაცაძე, მ. ლომიძე, გ. ფანცულაია და უცხოელი მეცნიერებიდან — საჰაკიანი (სომხეთი), კუტანი (თურქეთი), ღაზარიანი (სომხეთი). მათ გადაეცათ შესაბამისი სერტიფიკატები, ხოლო პირველ ადგილებზე გასულ მომხსენებლებს სპეციალური პრიზები.

პროფესორმა ელიზბარ ელიზბარაშვილმა საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის საპატიო წევრის სიგელები გადასცა პროფესორებს დომენიკო სპინელის, ათინა გერონიკაკს, მ. რამაზანოვს, გ. ტალიბოვს, გ. დანაგულიანს, დოქტორებს ალა სკოროვასა და სამველ სირაკანიანს. სამველ სირაკანიანმა კონფერენციის სახელით პროფესორ შოთა სამსონიას მიულოცა 70 წლის იუბილე და მას სპეციალური პრიზი გადასცა.

პროფესორებთან დ. სპინელთან და ა. გერონიკაკთან განხილულ იქნა იტალიასა და საბერძნეთში სწავლების საკითხები, ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელების შესაძლებლობები და ა.შ., რაც საფუძველს ჩაუყრის ქიმიის სწავლების დონის ამაღლებას.

ქიმიურ ელემენტთა ქართული სახელწოდებები

დღევანდელ კულტურულ-ეკონომიკურად დაწინაურებულ ერთა შორის საქართველო და ქართველი ერი ერთერთი უძველესია. ჩვენი წინაპართა საცხოვრისი მარტო იმ ტერიტორიით არ შემოიფარგლებოდა, სადაც ახლანდელი საქართველოა განფენილი. ქართველი ერი არის შთამომავლობა ხალხთა დიდი მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში პროტოიბერებს უწოდებენ.

ძვ. წ. V – IV საუკუნეების ვერცხლის ჭურჭელი

მეცნიერ-მკვლევართა უმეტესი ნაწილის მტკიცებით, დღევანდელი კაცობრიობა დიდად არის დავალებული ქართველი ტომებისაგან მეტალთა წარმოების ხელოვნების აღმოჩენა-სრულყოფით. მოიძია და საფუძვლიანად შეისწავლა რა ქიმიისა და მეტალურგიის ისტორიის გამოჩენილი მკვლევარების გასული საუკუნის 80-იან წლებამდე გამოქვეყნებული ნაშრომები თუ მონოგრაფიები, ისტორიკოსი გ. კვირკველია ასკვნის: „უცხოელ მეცნიერთა შორის დღესაც დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ შავიზღვისპირეთი, კერძოდ კი პონტოს რაიონი, წარმოადგენს ზოგიერთი ფერადი და შავი ლითონების დამუშავების ეპიცენტრს, ხოლო ქართველური მოდგმის ტომები ხალიბები, მოსინიკები და თუბალები ამ მეტალების პირველმწარმოებლები არიან მთელ მსოფლიოში“.

თითქმის ყველა ელემენტს, რომელთა აღმოჩენის თარიღი დღეისათვის უცნობია, „წმინდა ქართული“ სახელწოდებები აქვთ. ასეთებია:

ოქრო – ეტიმოლოგიურად იშიფრება, როგორც „უქრობი“, „მარადჟამს ბზინვარე“. ის ერთერთი ელემენტია, რომელიც არავითარ პირობებში თავის ფერსა და ბზინვარებას არ იცვლის – აქედანაა მისი სახელწოდებაც!

ვერცხლი – ვერცხლი ძველ ქართულში ცნობილი იყო „ვერცხილი“-ს სახელწოდებით, ახალ ქართულში კი „ვერცხლი“-თ; მეგრულად მას „ვარჩხილი“ ჰქვია, სვანურად – „ვარჩხილ“. ერთი სიტყვით, ამ ელემენტის სახელწოდება ქართულია და „ნასესხები“ არ ჩანს რომელიმე უცხო ენიდან.

სპილენძის ნაკეთობა

სპილენძი – ელემენტის ეს სახელწოდება მომდინარეობს სპირენებისაგან – ერთ-ერთი ქართული ტომისაგან, რომელიც უძველეს დროში ცხოვრობდა დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე და მისდევდა ამ ლითონის წარმოებას. მეგრულად სპილენძს ჰქვია „ლინჯ“, ხოლო სვანურად – „სპილენძ“. ამ ელემენტის საწარმოო მადნები „სპირენძის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

სურმა – მ. ჭაბაშვილის უცხო სიტყვათა ლექსიკონში სურმა სპარსულ სიტყვად მოიხსენიება (სპარს–სურმე), რომელიც მომდინარეობს თურქული სიტყვისაგან „სურმე“, რაც „წასმას“ ნიშნავს, ხოლო სულხან-საბა ორბელიანი მოიხსენიებს მას, როგორც სხვათა (რომელიღაც) ენიდან მომდინარეს. როგორც ირკვევა, დღეისათვის არ არის ერთიანი აზრი ელემენტ სურმის ეტიმოლოგიის შესახებ. მისი ბუნებრივი ნაერთი – სურმის (III) სულფიდი იმთავითვე გამოიყენებოდა წარბებისა და წამწამების შესაღებად.

დარიშხანი – თანამედროვე გამოკვლევებით, „დარიშხანი“-ს სახელწოდება ეტიმოლოგიურად იშიფრება როგორც „დარი შხამისა“ ანუ „შხამის შესადარი“, „შხამის მსგავსი“.

რკინა – ლაზური სიტყვაა და ცას ნიშნავს. ჩვენი წინაპრების წარმოდგენით, ცა რკინისგან იყო გადახურულ-მოჭედილი.

ვერცხლისწყალი – სხვა მეტალებისაგან განსხვავებით, მხოლოდ ისაა ოთახის ტემპერატურაზე თხევად მდგომარეობაში, წყალივით. გარეგნულად ფერით, იგი ვერცხლს მოგვაგონებს. აქედან გარმოსდგა სახელწოდებაც – ვერცხლისწყალი!

თუთია – მეგრულად „თუთა“ მთვარეს ნიშნავს. როგორც ჩანს, ეს მეტალი, მარტივი ნივთიერების სახით, ჩვენმა წინაპარმა მთვარეს მიამსგავსა. თუთია – ასეთი სახელწოდების გავრცელება ქართულ ქიმიურ ლიტერატურაში შედარებით დიდი ინტენსივობით ამ სამი ათეული წლის წინათ დაიწყო. მანამდე კი ამ ელემენტს უფრო საერთაშორისო სახელწოდებით – „ცინკად“ მოიხსენიებდნენ.

თითბერი – სპილენძისა და თუთიის შენადნობია. ამ შენადნობის ფერი მკვეთრად იცვლება წითლიდან – სპილენძის ფერიდან თეთრამდე (ამ ელემენტების შემცველობის მიხედვით). „თითბერი“, როგორც ირკვევა, მეგრული „თუთა-ფერის“ შეკვეცილი ფორმა უნდა იყოს.

ტყვია – მას ძველქართულად „ტყვივსაც“ უწოდებენ. ტყვიას სხვანაირად, „ბრჰენის“ ან პრპენის“ სახელითაც მოიხსენიებენ.

გოგირდი – ეს სახელწოდება რომ ქართული წარმოშობისაა, ცალსახად მტკიცდება თუნდაც იმით, რომ არც ერთ უცხო ენაში ეს ელემენტი ამ სახელწოდებით არ მოიხსენიება (სულფურუმ –ლათინურად).

კალა – ერთადერთი ელემენტია, რომლის სახელწოდების შემოღებაგადმოტანას ქართულ მეტყველებაში „ნახევარკუნძულ მალაკას ქალაქის კალაჰიდან“ ვარაუდობენ. თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე სვანეთში არის სოფელი – „კალა“, რაც აჩენს საფუძვლიან ეჭვს „კალის“ უცხო ენიდან შემოტანა-ნასესხობის შესახებ.

თრიალეთის ოქროს თასი

მეტალთაგან ადამიანმა სულ პირველად სამი ელემენტი აითვისა და გამოიყენა: ოქრო, ვერცხლი და სპილენძი. ეს უკანასკნელი გაცილებით მეტი რაოდენობითაა გავრცელებული ბუნებაში. სპილენძს ის დადებითი თვისება აქვს, რომ ადვილად ექვემდებარება დამუშავებას, მაგრამ გამოყენებისას მეტისმეტად რბილია. ამიტომ ხალასი სპილენძისაგან დამზადებული საგნები ადვილად დეფორმირდებიან. ამ უდაოდ დიდი ნაკლის გამოსწორებას ძველი ქართველი ტომები სპილენძისადმი ისეთი ელემენტების დამატება-შელღობით შეეცადნენ, რომელიც საგანს მეტ სიმაგრეს მიანიჭებდა. თავდაპირველად ასეთი აღმოჩნდა დარიშხანი, რომელმაც სპილენძს რამდენიმე დადებითი თვისება შესძინა. ასე იქნა დაწყებულ-აღმოჩენილი ბრინჯაოს წარმოება ამ ექვსი ათასი წლის წინათ ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე.

ამ მეტალის ქართული სახელწოდება „ლინჯ“ ანუ „ბლინჯ“ საფუძვლად დაედო ბრინჯაოს საერთაშორისო სახელწოდებას: ირანულად ჰქვია „ბირინჯ“, ხოლო ევროპულ ენებზე – **Bronse**. ეს შენადნობი ასეთივე სახელწოდებითაა ცნობილი რუსულ ენაშიც – **Бронза**.

ეს ყველაფერი ამტკიცებს იმას, რომ ძველმა ქართველმა ტომებმა პირველებმა შეიმუშავეს ბრინჯაოს წარმოების ტექნოლოგია მთელ მსოფლიოში და რომ ეს სახელწოდება გავრცელდა შემდეგ როგორც მეზობელ ქვეყნებში (ირანი), ისე შორეულ ევროპაშიც.

რ. დიუსის დასკვნის მიხედვით, ძველმა ბერძნებმა რკინისა და ფოლადის წარმოება ქართველი ტომებისაგან - ხალიბებისგან ისწავლეს. აქედან გამომდინარე, ფოლადს ბერძნებმა ხალიბების სახელწოდების მიხედვით „ხალვფს – ხალვდიკოს“ დაარქვეს. ასეთ დასკვნას აკეთებს გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილიც. არა მხოლოდ საბერძნეთში, არამედ ძველ მესოპოტამიასა და ეგვიპტეში მეტალებსა და შენადნობებს, ძირითადად, ქართული წარმომავლობის სახელწოდებები ჰქონდათ. ამის შესახებ ე. ბიბრა ჯერ კიდევ ამ 140 წლის წინათ წერდა: „მიუხედავად იმისა, რომ ბერძნები წარმოადგენდნენ ყველაზე მეტად განვითარებულ არიელებს, სპილენძის



საომარი იარაღი

შესახებ მათ არაფერი იცოდნენ. ეს ლითონი მათ სხვა ხალხისაგან შეითვისეს“. ასეთი დასკვნა მრავლისმეტყველია.

მეტალურგიის ჩასახვა-განვითარების საქმეში ძველ ქართველ ტომთა პრიორიტეტზე ისიც მიანიშნებს, რომ ქართული ტომის – მოსინიკების სახელწოდებიდან წარმოქმნილია „თითბერის“ სახელწოდებაც. ძველ მეტალურგ ქართველებს ბრინჯაოსი და თითბერის ნაწარმები – საგნები არა მხოლოდ საკუთარ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ესაჭიროებოდათ, არამედ უცხო ქვეყნებში გაჰქონდათ საექსპორტოდ.

ნიკო მარის ეტიმოლოგიური ძიებითაც მტკიცდება, რომ თითბერის სახელწოდება ქართველი ტომებისგან აქვთ გადაღებულ-ათვისებული სხვა ხალხებს. რაც შეეხება სხვა ელემენტებს – ტყვიასა და ვერცხლს, საზღვარგარეთელი მეცნიერები მათ შესახებ უფრო საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამდნენ. რ. ფორბსი თვლის, რომ პირინეის ნახევარკუნძულზე მცხოვრები ხალიბები, რომლებიც მოიაზრებოდნენ პროტოიბერებად, თავდაპირველად ვერცხლს იღებდნენ უაღრესად პრიმიტიულად, ბუნებრივი ნედლეულისაგან. ისინი ტყეს წვავდნენ, რის შედეგადაც ტყვიის და ვერცხლის შემცველი ქანების ტემპერატურა მაღლა იწევდა და გამდნარი მეტალები იწყებდნენ ნაღვარევის სახით ჩამოდინებას. გაცივების შემდეგ ასეთნაირად მიღებული მყარი მასა წარმოადგენდა ვერცხლისა და ტყვიის შენადნობს.

სრულიად განსხვავებული ტექნოლოგია ჰქონდათ შემუშავებული რკინის საწარმოებლად ინდოელებს. ასე რომ, ძველქართული და ინდოეთში მიღებული რკინა-ფოლადი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებოდა შედგენილობა-თვისებებით.

ამრიგად, ენეოლითისა და ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლების ქიმიური შემადგენლობის შესწავლამ ცალსახად ნათელყო, რომ ძველმა ქართველმა ტომებმა პირველებმა შეიმუშავეს მეტალების წარმოების ხელოვნება-ტექნოლოგია ადგილობრივი წიაღისეული რესურსების ბაზაზე. ქართული ბრინჯაოსა და რკინა-ფოლადისაგან დამზადებული საგნები ოდითგანვე გაჰქონდათ საექსპორტოდ მეზობელ და შორეულ ქვეყნებში. ასე გავიდა ქართული სახელწოდებები და წარმოების ტექნოლოგიები უცხო ერებში.

რ. გიგაური, მ. რუსია, კ. რუხაია

კაუჩუკი და რეზინა

თანამედროვე მრეწველობასა და ყოფაცხოვრებაში სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ სინთეზური მასალები. ქიმიკოსებმა შეძლეს სახალხო მეურნეობისათვის უმნიშვნელოვანესი პროდუქტების — ხელოვნური ბოჭკოს, პლასტიკური მასების, ფისების, საღებავების, სამკურნალო და სურნელოვანი ნივთიერებების, ტყავის შემცვლელების, კაუჩუკის და სხვა პროდუქტების სინთეზი. უძველესი დროიდან, როცა ქიმია ჯერ კიდევ არ იყო ძლიერი, ადამიანები თავიანთი საჭიროებისათვის მხოლოდ მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ბუნებრივ მასალებს იყენებდნენ.

XIX საუკუნეში ბევრი მნიშვნელოვანი მასალა, მათ შორის კაუჩუკიც, მიიღებოდა მხოლოდ იმ მცენარეებისგან, რომლებიც უმთავრესად ტროპიკულ ქვეყნებში ხარობდნენ. ამჟამად კი სინთეზის გზით შესაძლებელია ქიმიურ ქარხნებში ხელოვნურად მივიღოთ მნიშვნელოვანი ქიმიური პროდუქტები. მეცნიერებისა და ტექნიკის მნიშვნელოვანი მიღწევაა ხელოვნური კაუჩუკის მიღების სამრეწველო ხერხების შემუშავება.

ადამიანთა უმრავლესობა იცნობს არა კაუჩუკს, არამედ რეზინს, რომელიც მზადდება კაუჩუკისგან. რეზინის თანამედროვე მრეწველობა 30000-ზე მეტი სახეობის ნაკეთობას ითვლის, კერძოდ, ავტომობილებისა და საავიაციო სალტეები, ფეხსაცმელი, ლაბადები, სანიტარიის, ჰიგიენისა და სპორტული დანიშნულების საგნები, ელექტრული სადენების იზოლაცია და სხვა მრავალი საოჯახო თუ ტექნიკური ნაკეთობა.

ისტორია რეზინისა და კაუჩუკის მრეწველობის წარმოშობის შესახებ მეტად საინტერესოა და სასურველია მისი მოკლე მიმოხილვა: ნატურალური ანუ ბუნებრივი კაუჩუკი, ისევე, როგორც მისი მსგავსი ნივთიერებები — ბალატა და გუტაფისი — მიიღება სხვადასხვა ტროპიკული და სუბტროპიკული ხეების რძისებრი წვენიდან. ,,კაუჩუკი" ინდური სიტყვაა და ქართულად ნიშნავს ხის ცრემლებს (კაა — ხე, ო-ჩუ — ტირილი). ამ „ცრემლებს", ე.ი. თეთრ, სქელ რძისებრ წვენს (ესპანურად ლატექსი) სამხრეთ ამერიკის ამაზონის სანაპიროთა მაცხოვრებლები აგროვებენ ტროპიკული კაუჩუკოვანი ხის — ბრაზილიის ჰევეიას — ქერქის ნარჩენებიდან.

ჰევეია — დიდი ხეა, მისი სიმაღლე 30 მეტრამდე აღწევს, ხოლო დიამეტრი 3 მეტრია. რძისებრი წვენი — ლატექსი, რომელიც კაუჩუკს შეიცავს, იმყოფება ხის ქერქის ქვეშ მოთავსებულ სარძევე კაპილარებში. მცენარეს უკეთებენ „ნასერებს" ანუ ხის ქერქზე გარკვეული წესით აკეთებენ ჩანაჭრებს და ჩანაჭერი კაპილარებიდან მოედინება ლატექსი, რომელსაც ჩვეულებრივ მოყვითალო ფერი აქვს.

ოკეანის გაღმიდან სხვა იშვიათ ნივთებს შორის კოლუმბმა შემოიტანა მისთვის საინტერესო კაუჩუკიც, მაგრამ ეგზოტიკური მასალით არავის უსარგებლია და კაუჩუკის ნიმუშები, როგორც იშვიათობა, დიდხანს ინახებოდა მუზეუმებში.

იმ ინტერესს, რომელსაც იწვევდა ახალი არაჩვეულებრივი პროდუქტი — კაუჩუკი, მოწმობს შემდეგი კომიკური ფაქტი: ესპანეთის ერთერთმა მეფემ მოინდომა თავისი ფეხსაცმელი ულპობი გაეხადა. ამისათვის მან ფეხსაცმელი ბრაზილიაში გაგზავნა, სადაც იგი ლატექსით გაჟღინთეს.

1791 წელს ინგლისში აღიარეს პირველი პატენტი ულპობი, რეზინგარეული ქსოვილებისა და სხვა მასალებისათვის, რომელთათვისაც გამოიყენება კაუჩუკი.

კაუჩუკის ათვისების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქიმიკოს მაკინტოშს. მან 1819 წელს წინადადება შეიტანა — კაუჩუკი გაეხსნათ ქვანახშირის გამოხდით მიღებულ მსუბუქ ნარჩენში — სალვენტ-ნაფტენში. ეს ხსნარი, ისევე, როგორც ლატექსი, შეიძლებოდა გადაგვევლო ქსოვილზე და ის წყალგაუმტარი გაგვეხადა. კაუჩუკით გაჟღენთილი ქსოვილებიდან მზადდებოდა საწვიმარი ლაბადები, რომლებიც სწრაფად ვრცელდებოდა. დღემდე მათ ზოგჯერ კვლავ მაკინტოშებს უწოდებენ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში მრავალი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ნატურალური კაუჩუკი შედგება ნახშირბადისა და წყალბადის ატომებისაგან. პირველი მეცნიერი, რომელმაც მიუთითა კაუჩუკის ნახშირწყალბადოვან ბუნებაზე, იყო ფარადეი. თუმცა, დიდხანს დარჩა გაურკვეველი, სახელდობრ რომელი ნახშირწყალბადი შედიოდა მასში.

მრავალწლიანი მუშაობის შედეგად გამოირკვა, რომ შესაძლებელია კაუჩუკის მიღება ხელოვნური გზითაც.

ხელოვნური კაუჩუკის წარმოება გერმანიაში 1937 წელს დაიწყო, რუსეთში — 1931 წელს, ხოლო ამერიკაში — 1942 წელს.

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან თანდათან გამოიკვეთა სინთეზური კაუჩუკის მთელი რიგი უპირატესობა ნატურალურ კაუჩუკთან შედარებით: კაუჩუკის სინთეზისას შეიძლება პოლიმერიზაციის პროცესის მიზანდასახულად წარმართვა სპეციფიკური თვისებების მქონე კაუჩუკის და შემდეგ მის ბაზაზე რეზინ-ტექნიკური ნაკეთობების მისაღებად.

მე-9 გვერდზე

„ციცაძის ნაზავები, ციცაძის რეაქტივი“...

გამოჩენილმა ქართველმა ქიმიკოსმა, პროფესორმა შალვა ციცაძემ თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე უდიდესი წვლილი შეიტანა მეცნიერების განვითარებაში და დაგვიტოვა რიგი გამოკვლევები, რომელთა აქტუალობა განვლილმა ექვსმა ათეულმა წელმა ვერ შეამცირა. ისინი დღეს აღიარებულია კლასიკურად.

შალვა ციცაძე დაიბადა 1900 წელს დაბა ლანჩხუთში. 1923 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი და იქვე განაგრძო მეცნიერული მუშაობა პროფესორ პეტრე მელიქიშვილის ხელმძღვანელობით. შემდეგ, პ. მელიქიშვილის ინიციატივით და ხელშეწყობით ნიჭიერი ახალგაზრდა მიავლინეს მოსკოვის კლ. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიის აგრონომიული ქიმიისა და მცენარეთა ფიზიოლოგიის ლაბორატორიაში აკადემიკოს დ. პრიანიშნიკოვთან. პარალელურად შ. ციცაძე მეცნიერულ კვლევას აწარმოებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიური და ორგანული ქიმიის ლაბორატორიაში აკადემიკოს ნ. ზელინსკის ხელმძღვანელობით. ამ ლაბორატორიებში ჩამოყალიბდა შალვა ციცაძის მეცნიერული ინტერესები და კვლევის მიმართულება.

1927-1930 წლებში შ. ციცაძე მუშაობს გერმანიაში ბერლინის და ბრესლაუს უნივერსიტეტებში. 1929 წელს ბრესლაუს უნივერსიტეტში მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ანალიზურ ქიმიაში თემაზე: „ფოსფორისა და დარიშხანის მჟავების კოლორიმეტრიული განსაზღვრის მეთოდი“.

1930-1933 წლებში შ. ციცაძე საფრანგეთშია და მუშაობს მეცნიერ-თანამშრომლად პარიზის სასოფლო-სამეურნეო კვლევათა ნაციონალური ინსტიტუტის (ვერსალი) აგრონომიისა და ბიოლოგიის ლაბორატორიაში პროფესორ ა. დემოლონთან. 1932 წელს პარიზის უნივერსიტეტში იგი იცავს მეორე სადოქტორო დისერტაციას, უკვე აგრონომიულ ქიმიაში თემაზე: „ახალი ნიტრატული ხსნარები წყალბადიონების (pH) უცვლელი კონცენტრაციით“.

1933-1934 წლებში პროფესორი შ. ციცაძე მუშაობს ინგლისში, ლონდონის უნივერსიტეტის კოლეჯის სტატისტიკურ ლაბორატორიაში და როტამსტედის ექსპერიმენტულ სადგურში (ჰერპენდენ-ჰერსტში).

1934-1935 წლებში იგი კვლევას აწარმოებს ამერიკის შეერთებული შტატების რიგ სამეცნიერო ცენტრებში: როტჯერსის უნივერსიტეტში, ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში, კალიფორნიის უნივერსიტეტში.

1935 წელს შ. ციცაძე ბრუნდება სამშობლოში. მას იწვევენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის დეკანად და ანალიზური ქიმიის კათედრის პროფესორად. პარალელურად ინიშნება პ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიის ინსტიტუტში ანალიზური ქიმიის განყოფილების გამგედ, ასევე, მიიწვიეს ბოტანიკის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ კონსულტანტად. 1936 წ. პროფესორმა შ. ციცაძემ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ჩამოაყალიბა აგროქიმიის კათედრა, რომლის პირველ გამგედ დაინიშნა. 1936 წელს აკადემიკოსების ნ. ზელინსკისა და დ. პრიანიშნიკოვის ინიციატივით სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ბატონ შ. ციცაძეს სსრკ დოქტორის ხარისხი მიანიჭა.

პროფესორი შ. ციცაძე 1937 წლის რეპრესიებს შეეწირა. იგი დახვრიტეს 1937 წლის 14 სექტემბერს. 1957 წელს სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის მიერ მიღებული დადგენილებით კი შალვა ციცაძე რეაბილიტირებულია.

მსოფლიო ქიმიურ ლიტერატურაში ცნობილია „ციცაძის ნაზავები", რომლებიც ფართოდ გამოიყენება მცენარეთა კვების დარგში. „ციცაძის რეაქტივი" მზადდება ბევრ ქვეყანაში და სულ უფრო ფართო გამოყენებას პოულობს. თბილისში გამოვიდა შ. ციცაძის „რჩეული შრომები" რუსულ ენაზე (1986 წ.). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აპ. ავალიანის წიგნი „შ. ციცაძე - მეცნიერი და მკვლევარი" (1982 წ.).

2000 წლის დეკემბერში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე გაიმართა საიუბილეო სხდომა — მიძღვნილი პროფესორ შალვა ციცაძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი.

კაუჩუკი და რეზინა

მერვე გვერდიდან

ყოველივე აღნიშნულის გამო აშშ-ში, რუსეთში, გერმანიაში, იაპონიაში, საფრანგეთში, იტალიაში, კანადასა და სხვაგან, დიდი მასშტაბითა და სწრაფი ტემპით ვითარდება სხვადასხვა შედგენილობისა და აღნაგობის სინთეზური კაუჩუკის წარმოება.

სილოქსანური რეზინის ფირფიტისა და დაკრონის ბადისაგან მიღებული პლასტიკა წარმატებით გამოიყენება ოფთალმოლოგიაში.

თხევადი სილოქსანური რეზინიდან მზადდება სპეციალური პლომბები, რომლებიც ხელოვნურად შექმნილ თვალის ბადურაში იდგმება თვალის ვაშლის ფიქსაციისთვის, გლაუკომის შემთხვევაში გამოიყენება მინიატურული დრენაჟის მილები. გამოიყენება აგრეთვე კონტაქტური ლინზების დასამზადებლად, სადაც წარმატებით რეალიზდება მისი გამჭვირვალობა და სილოქსანის საკმაოდ მაღალი შეღწევადობა ჟანგბადის მიმართ. აირშეღწევად სილოქსანურ ლინზებს უშვებს მთელი რიგი მსხვილი ფირმები ამერიკაში, მათ შორის ფირმა Corring Ophtalmics. სერიულად იწარმოება მსუბუქი კონტაქტური ლინზები — Silsoft, რომელიც უზრუნველყოფს ჟანგბადის კარგ გამტარებლობას და ამასთან, შესაძლებელია მათი მუდმივად ტარება.

ბოლო დროს გაჩნდა ცნობები სილოქსანური მასალისაგან დამზადებული ინტრაკულიარული ლინზების წარმატებული იმპლანტაციის შესახებ.

ელიზა მარძარაშვილი
მაკრომოლეკულების ქიმიის ლაბორატორიის გამგე, ქიმიის დოქტორი

დიდი ქიმიკოსები

თვალი გადავავლოთ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გადმოცემულ რამდენიმე ბიოგრაფიას იმ დიდი მეცნიერ-ქიმიკოსებისა, რომელთა გამოკვლევებმა და აღმოჩენებმა საფუძველი ჩაუყარა ჩვენს ცივილიზაციასა და კულტურას.

გეორგიუს აგრიკოლა (1494-1555 წწ.)

ეს დიდი მეცნიერი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ჩავთვალოთ გამოყენებითი ქიმიის, ანუ თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, ქიმიური ტექნოლოგიისა და მინერალოგიის მამამთავრად.

ნაშრომი, რომელსაც მან სიცოცხლე შეალია, არის მეტალურგიისა და სამთო საქმისადმი მიძღვნილი 12 ტომეული. იმ დროისათვის იგი იქცა პირველ ენციკლოპედიად, პირველ სახელმძღვანელოდ იმათთვის, ვინც ამ დარგებში მუშაობდა. მრავალრიცხოვანი გრავიურებით სავსე თხზულებაში აგრიკოლა განმარტავს, როგორ უნდა მოიძებნოს საბადოები, როგორ უნდა გაირკვეს მადნის მარაგი და, ბოლოს, როგორ უნდა აიგოს შახტები. იგი დიდ ადგილს უთმობს მადნის მოპოვებას, მისი გამდიდრების მეთოდებს და ამისათვის საჭირო აპარატურას. შიგადაშიგ იგი მოგვითხრობს ლითონების დნობაზე და გვაძლევს მნიშვნელოვან მითითებებს.

მაგრამ მეცნიერს მარტო ლითონები როდი აინტერესებს. იგი დაწვრილებით და გასაგებად განმარტავს, მაგალითად, როგორ უნდა ჩატარდეს გოგირდის დისტილირება ან მინის გამოდნობა.

ლათინურად დაწერილი აგრიკოლას ნაშრომი ძალიან მალე ითარგმნა ბევრ ენაზე და თითქმის 200 წლის განმავლობაში ითვლებოდა ერთადერთ ღრმა წყაროდ ამ დარგში.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ აგრიკოლა მინერალოგიაშიც მოღვაწეობდა. იგი აგროვებდა, იკვლევდა, აღწერდა მინერალებს, შემდეგ კი ახდენდა მათ კლასიფიკაციას. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ამ მეცნიერებას. მიუხედავად საყოველთაო აღიარებისა და ავტორიტეტისა, რითაც იგი თანამედროვეთა შორის სარგებლობდა, აგრიკოლა მეტისმეტად მორიდებული, წინდახედული იყო და ყოველთვის ფრთხილობდა, რათა ნაჩქარევი, მოუფიქრებელი მოსაზრებები არ გამოეთქვა.

საჭიროა გვახსოვდეს, რომ XVI საუკუნის ამ გამოჩენილი სწავლულის ნამდვილი სახელია გეორგ ბაუერი, ხოლო გეორგიუს აგრიკოლა მხოლოდ ლათინური ფსევდონიმია. იგი დაიბადა საქსონიის ძველ სლავურ დასახლებაში, დაბა გლუხოვოში, რომელიც მდინარე მულდაზე მდებარეობს. გეორგ ბაუერის მამა მეცნიერების უზომო პატივისმცემელი იყო და ამიტომაც დიდად ზრუნავდა თავისი შვილების განათლებაზე. საშუალო განათლების მიღების შემდეგ, ახალგაზრდა ბაუერი ლაიფციგის უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას.

იგი თავდაპირველად ეუფლებოდა ფილოსოფიასა და ფილოლოგიას, ბერძნულსა და ძველ ებრაულ ენებს. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მან დაწერა პირველი ნაშრომი ,,სწავლების მეთოდების შესახებ", სადაც ნათქვამი იყო, რომ ბავშვის მეხსიერება არ უნდა გადავტვირთოთ ზედმეტი ცოდნით, რეკომენდაციას აძლევდა მასწავლებლებს, გაკვეთილი გასაგებად და გონებამახვილურად ჩაეტარებინათ. ამ საინტერესო ნაშრომმა მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მიიღო ჯეროვანი შეფასება.

აგრიკოლამ რამდენიმე ხანი იტალიაში დაჰყო, სადაც სწავლობდა მედიცინას და ბუნებისმეტყველებას, ანუ მეცნიერებას ბუნების შესახებ. იტალიიდან დაბრუნების შემდეგ იგი დასახლდა სამთო საქმის მაშინდელ ყველაზე დიდ ცენტრში — იოახიმოვში (ჩეხოსლოვაკია). აქ მან დაწერა წიგნი „საუბრები სამთო საქმის შესახებ“, რომელიც გეოლოგიის და მინერალოგიის ქვაკუთხედად ითვლება.

მოგვიანებით აგრიკოლა ქალაქ ჰემნიცში (ახლანდელი კარლ-მარქს-შტადტი) გადავიდა საცხოვრებლად. იგი მუშაობდა ექიმად, ასრულებდა ჯერ მრჩევლის, შემდეგ კი ქალაქის ბურგომისტრის მოვალეობას, ამავე დროს ატარებდა მინერალოგიურ გამოკვლევებს და წერდა ნაწარმოებებს...

რობერტ ბოილი (1627-1691 წწ.)

როდესაც საუბარი აირების ძირითადი კანონების შესახებ იწყება, რობერტ ბოილის გვარი ჩვეულებრივ მარიოტის გვერდით გვხვდება. ერთი ამ კანონთაგანი — ბოილ-მარიოტის კანონად წოდებული — გვაუწყებს, რომ მუდმივი ტემპერატურის პირობებში აირის მოცემული მასის მოცულობა წნევის უკუპროპორციულია. ჩვეულებრივად ამით მთავრდება ჩვენი ცნობები რობერტ ბოილის შესახებ.

მაგრამ მაინც, როგორ დადგინდა ეს კანონი ინგლისში განთქმულ სამეცნიერო ცენტრში? ოქსფორდში დასახლებული ბოილი, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკურ გამოკვლევებს შეუდგა. თავის ლაბორატორიაში მან გაიმეორა ტორიჩელისა და პასკალის სახელგანთქმული ცდები და სწორედ მაშინ მოახერხა წნევისა და აირის მოცულობას შორის არსებული დამოკიდებულების დადგენა.

ბოილს ყველაფერი აინტერესებდა. ჰაერზე ჩატარებული ცდების შემდეგ იგი მაშინვე შეუდგა წყლის, მერქნის, რკინის და სხვა მისი გარემომცველი სხეულების შესწავლას.

მის თანამედროვეთ — პროფესორებსა და მეცნიერებს, არისტოტელეს შეხედულებების თანახმად, ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ სამყარო ოთხი სტიქიისგან — მიწის, ცეცხლის, ჰაერისა და წყლისგან იყო აგებული. ბოილი კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა ამ მოსაზრებას. ჩატარებული ცდების საფუძველზე იგი ამტკიცებდა, რომ ყველაფერი ჩვენს ირგვლივ მარტივი სხეულებისგანაა აგებული. ამ მარტივ სხეულებს, ანუ სუბსტანციებს, რომელთა დაშლა უფრო მარტივ სხეულებად უკვე შეუძლებელია, ბოილმა ელემენტები უწოდა. ამრიგად, ქიმიური ელემენტის პირველი მეცნიერული განსაზღვრა სწორედ მას ეკუთვნის.

თანამედროვეები აღშფოთებულნი შეხვდნენ დასკვნებსა და მოსაზრებებს, რომლებსაც მეცნიერი ქადაგებდა. ამ ახალგაზრდა ქიმიკოსმა გაბედა და უარყო საუკუნეების მანძილზე გაბატონებული არისტოტელეს თეორია! ბოილი უკან არ იხევდა. იგი ამტკიცებდა, რომ თითოეულ ადამიანს შეუძლია დაინახოს, აწონოს ან გაზომოს მარტივი სხეულები, სამაგიეროდ ჯერ არავის დაუნახავს და ვერც ვერავინ დაინახავს ვერავითარ სტიქიას — ვთქვათ, სიმშრალეს ან სიცივეს.

უფრო მეტიც, ბოილი ცდილობდა ამოეხსნა საიდუმლო, რომელსაც ადრე ელემენტების გარდაქმნა ეწოდებოდა. ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემოა, ამბობდა იგი, აგებულია პაწაწკინა უხილავი ნაწილაკებისაგან (ატომებისაგან). მარტივი სხეულები (ელემენტები) ერთგვაროვანი ნაწილაკებისგან შედგება, სამაგიეროდ რთული სხეულები (ნაერთები) — ორი ან უფრო მეტი სხვადასხვა ნაწილაკისაგან. მან მრავალგზის დაამტკიცა, რომ შედგენილი სხეულების მარტივ სხეულებად დაშლა არ არის რთული. ბოილს, თამამად შეიძლება, ქიმიური ანალიზის მამამთავარი ვუწოდოთ.

ბოილი ექსპერიმენტის ოსტატი იყო. იგი თვითონ ქმნიდა აპარატურას, ატარებდა შრომატევად, რთულ ცდებს და შეუმოწმებლად არაფერს იჯერებდა. ყველაფერი აწონილი, გაზომილი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ ცდის შედეგებს და არა უნაყოფო გონებაჭვრეტით მსჯელობას ჰქონდა მისთვის ნამდვილი სამეცნიერო მნიშვნელობა.

თარგმნა
მერი გაბუნიამ



International Year of
CHEMISTRY
2011

ქიმიის საამყარო

აკადემიკოს პეტრე ქომეთიანს დაბადებიდან 110 წელი უსრულდება

დიდი და ფასდაუდებელია გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს პეტრე ქომეთიანის მოღვაწეობა მეცნიერებისა და განათლების სფეროში. მისი შემოქმედება ფართო სფეროს მოიცავს: 1924-1934 წლებში იგი წარმატებით სწავლობდა აგრონომიასა და ზოოტექნიკაში არსებულ პრობლემებს ბიოქიმიის მიმართულებით. 1934-1983 წლები აკადემიკოს ი.ბერიტაშვილთან მისი თანამშრომლობის უაღრესად ნაყოფიერი და წარმატებული წლები იყო. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, ბატონმა პეტრემ საფუძველი ჩაუყარა ნეიროქიმიას და დააფუძნა სრულიად ახალი მიმართულება — დინამიკური ბიოქიმია.

ფუნდამენტური გამოკვლევების საფუძველზე ბატონმა პეტრემ პირველად აჩვენა ბიოქიმიურად აქტიური ნეირომედიატორის, აცეტილქოლინის, სინთეზის გზა. მან დაადგინა, რომ აცეტილქოლინის სინთეზის პირველ ეტაპზე ხდება აცეტილქოლინის აზოტოვანი ფუძის — ქოლინის ფოსფორილირება ადენოზინტრიფოსფატის საშუალებით და მისი შემდგომი აცეტილირება, რაც მალე უცხოელი მკვლევრების მიერ იქნა დამტკიცებული. პ. ქომეთიანის მიერ მიღებული ექსპერიმენტული შედეგები ფოსფორილქოლინის მეტაბოლიზმისა და სხვა ბიოორგანულ ნივთიერებებში მისი ჩართვის შესახებ მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე განიხილავდნენ.

ბატონმა პეტრემ, როგორც განათლებით ქიმიკოსმა, ფუნდამენტური კვლევები მიუძღვნა ნერვული ქსოვილის მემბრანების პოლარიზაციის საკითხებს. პირველი, რამაც განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო, იყო ბატონ პეტრეს მიერ გამოთქმული ჰიპოთეზა მემბრანის პოლარიზაციაში ჟანგვა-აღდგენითი პოტენციალის წამყვანი როლის შესახებ, რაც მალე მრავალ მოდელურ ცდაში ექსპერიმენტულად დადასტურდა, როგორც ბიოქიმიკოსების, ისე ბიოფიზიკოსების (ზ. ქომეთიანი) მიერ.

პეტრე ქომეთიანმა დიდი სამუშაოები ჩაატარა ნერვულ ქსოვილში ამონოგენეზის პრობლემასთან დაკავშირებით. მან პირველმა აჩვენა, რომ ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობს ასპარაგინისა და გლუტამინის მჟავები, ამიდები და ადენილის სისტემა. ბატონი პეტრეს მიერ მოწოდებულმა ბიოქიმიურმა სქემამ ამონოგენეზისა და რეამინირების პროცესების შესახებ მსოფლიო აღიარება ჰპოვა და იგი ამ მიმართულების ფუძემდებლადაც აღიარეს.

მეცნიერმა უყურადღებოდ არც კუნთოვანი ქსოვილი დატოვა. მან პირველმა აღმოაჩინა ნერვული დაბოლოებების ტროფიკული ფუნქცია, დაადგინა, რომ კუნთოვანი ქსოვილის ნერვ-კუნთოვანი უბანი გამოირჩევა მეტაბოლური პროცესების მაღალი აქტივობით. მან პირველმა აჩვენა კუნთოვან ქსოვილში ამონოგენეზსა და რეამინირების პროცესებში ასპარაგინისა და გლუტამინის მჟავების გარდა ცილების ამიდური და თავისუფალი კარბოქსილის ჯგუფების აქტიური მონაწილეობა. ორიგინალური ხელსაწყოს გამოყენებით დაამტკიცა, რომ კუნთოვანი ქსოვილის დაღლის დროს, იცვლება ცილების ფიზიკურ-ქიმიური მდგომარეობა და ხდება მათი დეჰიდრატაცია, მოსვენებისას კი აღინიშნება ჰიდრატაცია და ცილების მდგომარეობა ნორმას უბრუნდება, რაც კუნთოვანი ქსოვილის შეკუმშვისას ცილების აქტიურ მონაწილეობაზე მიგვანიშნებდა.

საყურადღებოა აგრეთვე ბატონი პეტრეს მიერ აღმოჩენილი შემჟავებულ ორგანულ გამხსნელებში ხსნადი ცილის ფრაქცია, რომლის რაოდენობა მნიშვნელოვნად მატულობს ცხოველის დაღლისას. მოგვიანებით გაირკვა, რომ აღნიშნული ცილის ფრაქცია ფოსფოპეპტიდებია, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ძილისა და მეხსიერების პროცესებში. ამ აღმოჩენამ პრაქტიკულად განსაზღვრა მისი სამეცნიერო კვლევის ახალი მიმართულება — მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლები (1965 წ.). რა თქმა უნდა, ერთი წლის განმავლობაში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა პეტრემ დიდი თეორიული სამუშაო ჩაატარა და მალე, 1966 წელს ნ. ალექსიძესთან თანაავტორობით გამოაქვეყნა მონოგრაფია „მეხსიერების ბიოქიმური საფუძვლები“. ყოფილ საბჭოთა კავშირში ეს იყო ერთერთი პირველი მონოგრაფია, სადაც უცხოელი მკვლევრებისგან განსხვავებით ახლებურად იყო განსჯილი თეორიული მოსაზრებები მეხსიერებაში ცილებისა და ნუკლეინის მჟავების მონაწილეობისა და ფუნქციური როლის შესახებ. მიკრომანიპულაციური ტექნიკის გამოყენებით ერთეული ნეირონების დონეზე ნაჩვენები იქნა ცხოველთა სწავლებისა და ტრენირების შედეგად მემბრანული ენზიმის — აცეტილქოლინესთერაზასა და ნეიროსპეციფიკური ცილის S-100-ის ინდუქციური სინთეზი თავის ტვინის ქერქის სპეციფიკურ უბნებსა და ჰიპოკამპის CA3-4 უბანში. მან დაამტკიცა, რომ აცეტილქოლინის დამშლელი ენზიმის აცეტილქოლინესთერაზას ინდუქციური სინთეზი წარმოებს ადენილატ- ციკლაზური სისტემის მონაწილეობით. ფიზიოლოგების ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ დასწავლის შემდეგ მემბრანული აცეტილქოლინესთერაზას აქტივობა კვლავ მაღალ დონეზე რჩებოდა ქერქში, ხოლო ჰიპოკამპის ჩ3-4 უბანში კი ენზიმის აქტივობა ნორმას უბრუნდებოდა. აქედან გაკეთდა დასკვნა, რომ მეხსიერების კვალი ინახება ახალ ქერქში, ჰიპოკამპი კი მონაწილეობს ინფორმაციის მიღების პროცესებში, რაც სრულ შესაბამისობაში აღმოჩნდა ფიზიოლოგების წარმოდგენებთან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უცხოელი ავტორებისაგან განსხვავებით, ბატონმა პეტრემ დაასკვნა, რომ დეზოქსირიბონუკლეინის მჟავა (დნმ) არ არის მეხსიერების ინფორმაციული სუბსტრატი, ის თავის ძირითად ფუნქციას ასრულებს და უზრუნველყოფს სპეციფიკური ცილებითა და ენზიმებით ცხოველთა სწავლებისა და ტრენირების დროს დროებითი კავშირის ფორმირებას ნეირონული ანსამბლების დონეზე.

მართალია, ახლაც ქვეყნდება სხვადასხვა სახის ცილების სინთეზი ტრენირებისა და სწავლების დროს, მაგრამ პეტრე ქომეთიანის ფუნდამენტური დასკვნის იქით ჯერ სერიოზული ნაბიჯი არ გადადგმულა, შეინიშნება მხოლოდ სხვადასხვა სახის კორელატების გამოვლენა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მიღებული შედეგები, რომლებიც ეხებოდა მეხსიერების მექანიზმებში ბიოგენური ამინების მონაწილეობის საკითხებს. პეტრე ქომეთიანის მონაცემით მტკიცდება, რომ ინფორმაციის მიღების პროცესებში უმთავრესი როლი ენიჭება არა თავის ტვინში ცალკეული ბიოგენური ამინების რაოდენობრივ განაწილებას, არამედ სეროტონინისა და ნორადრენალინის რაოდენობრივი შეფარდების მაჩვენებელს. რა თქმა უნდა, ბატონი პეტრეს სამეცნიერო შედეგები მხოლოდ ამით არ ამოიწურება, მაგრამ საგაზეთო წერილში მხოლოდ წარმოდგენილი მასალით შემოვიფარგლებით.

პეტრე ქომეთიანის სამეცნიერო კვლევების შედეგები შეჯამებულია მრავალ მონოგრაფიასა და სამეცნიერო ნაშრომში. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებისა და ყრილობების მუშაობაში. მან აღზარდა მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მისი მოწაფეები დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ბატონი პეტრე გამოირჩეოდა საოცარი შრომის უნარით და ამას უნერგავდა ახალგაზრდებსაც. იყო მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოების წევრი, სსრ კავშირისა და საერთაშორისო ჟურნალების სარედაქციო კოლეგიის წევრი, საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების უცვლელი და საპატიო პრეზიდენტი.

უნდა აღინიშნოს ბატონი პეტრეს პედაგოგიური მოღვაწეობაც. ძალზე ემოციური იყო მისი ლექციები, გვაოცებდა ურთიერთობა აუდიტორიასთან, მის ხელში არასოდეს დაგვინახავს ე.წ. „შპარგალკა“ უზარმაზარი ფორმულებისა და რეაქციების წერისას. მისი ლექცია ყოველთვის იწყებოდა წინა ლექციის შინაარსის მოკლე მიმოხილვით, მიმდინარე ლექცია კი მთავრდებოდა შემაჯამებელი დასკვნით.

1966 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის ფიზიოლოგიის კათედრასთან (კათედრის გამგე აკადემიკოსი ი. ბერიტაშვილი) გაიხსნა ბიოქიმიის ლაბორატორია, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა პროფესორი პეტრე ქომეთიანი. მისი ხელმძღვანელობით ლაბორატორია მალე აღიჭურვა სამეცნიერო კვლევებისა და პრაქტიკული მეცადინეობებისათვის საჭირო ავეჯითა და ხელსაწყო-იარაღებით. მანვე ქართულ ენაზე შექმნა პირველი სახელმძღვანელო ბიოქიმიაში სტუდენტებისათვის, რომელიც რამდენჯერმე გამოიცა. ბატონი პეტრე უშუალოდ ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებსა და სემინარებს სტუდენტებთან.

1968 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაიხსნა ბიოქიმიის კათედრა, რომლის პირველი კათედრის გამგე პეტრე ქომეთიანი იყო. უკვე იმავე წელს სადიპლომო შრომა ბიოქიმიაში წარმატებით დაიცვა 10-მა კურსდამთავრებულმა.

გამოცდაზე მას ხშირად ვუწევდი ასისტენტობას. ერთი საყურადღებო ფაქტი მენიშნა, ვფიქრობ, გამოცდის დროს ბატონი პეტრე უფრო ნერვიულობდა, ვიდრე სტუდენტი და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, იგი სტუდენტში ეძებდა არა იმას, რაც მან არ იცოდა, არამედ, პირიქით, რაც იცოდა და ნიშანსაც ამის მიხედვით წერდა.

ბატონი პეტრე არაჩვეულებრივად კეთილგანწყობილი იყო თანამშრომლების მიმართ. ყოველ ახალ წელს ვიკრიბებოდით ბატონი პეტრეს ოჯახში და შესანიშნავად ვატარებდით დროს მისი მეუღლის, ქალბატონ თამარის მიერ გაწყობილი ულამაზესი სუფრის ირგვლივ.

ხელოვნების დარგის სპეციალისტების მუსიკალური თუ მხატვრული ნაწარმოებები ხელშეუხებელი რჩება საუკუნეების მანძილზე. მეცნიერებს ასეთი ფუფუნება არ აქვთ — მათი აღმოჩენები შეიძლება მისსავე მოწაფეებმა უარყონ. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ბატონი პეტრეს ყველა აღმოჩენა და სამეცნიერო შედეგი დღესაც ხელშეუხებელი რჩება.

დღეს კიდევ ერთხელ ვიხსენებთ ბატონ პეტრეს როგორც მსოფლიოში

აღიარებულ მეცნიერს, უდიდეს შემოქმედს, საქართველოში ნეიროქიმიისა და დინამიკური ბიოქიმიის ფუძემდებელს, რომლის აღმოჩენებისა და ნაშრომების ციტირება კვლავ წარმატებით გრძელდება სამეცნიერო ლიტერატურაში.

ნუგზარ ალექსიძე
საქართველოს ბიოქიმიკოსთა საზოგადოების პრეზიდენტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი

რედკოლეგიის წევრები:
ნინო ქოქიაშვილი, მანანა კეკენაძე, რუსუდან ვარდიაშვილი, ლალი გეგუჩაძე

მისამართი: ილია ჭავჭავაძის გამზ. 3 (თსუ-ის მე-2 კორპუსი)
5 93 24 52 12

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ

საკვებ პროდუქტებზე შექმნილი დეფიციტის გამო მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ მიმართულებად დაასახელა და აგრარული სექტორის მაქსიმალურად განვითარების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. მათ შორისაა საქართველოც, რომელსაც დიდი აგრარული პოტენციალი გააჩნია. ეკონომიკური კრიზისისა და მზარდი ინფლაციის ფონზე ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ სოფლის მეურნეობის განვითარება და ადგილობრივი სურსათით ქვეყნის უზრუნველყოფა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ძირითადი კომპონენტია, რადგან საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობების სათანადოდ გამოყენება და სოფლის მეურნეობის აღორძინება ეკონომიკის განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის განვითარებაზე იმსჯელეს 28-29 ოქტომბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ორგანიზებით გამართულ I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე: ,,სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პრიორიტეტები“. კონფერენცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ციურიხის (შვეიცარია) ტექნოლოგიური ინსტიტუტისა და კომპანია „ინგლისური წიგნი საქართველოში“ მხარდაჭერით გაიმართა, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობდნენ შვეიცარიის, ინგლისის, უკრაინის, სომხეთის, აზერბაიჯანის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, საქართველოს პარლამენტისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებების, ასევე, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანას“, საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტისა და სტუდენტური საერთაშორისო ორგანიზაცია „Oikos Tbilisi“-ს წარმომადგენლები და ფერმერები.

პლენარული სხდომის შემდეგ კონფერენცია 13 თემატურ სექციად დაიყო: სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ასპექტები; კონკურენცია და კონკურენტუნარიანობა აგროსასურსათო სექტორში; აგრობიზნესი და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება; რისკები, განუსაზღვრელობა და დაზღვევა აგროსასურსათო სექტორში; სოფლის მეურნეობა და მაკროეკონომიკა; სოფლის მოსახლეობა: დემოგრაფიული პრობლემები, დასაქმება, სოციალური განვითარება; აგრობიზნესის მარკეტინგი და მიწოდების სტრატეგიები; სასურსათო უსაფრთხოება; აგრობიზნესის მენეჯმენტი და აგროტურიზმი.

„სოფლის მეურნეობის განვითარება ქვეყნის განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია. სწორად შემუშავებული და განხორციელებული აგრარული პოლიტიკა იქნება ერთგვარი გარანტი ქვეყნის საწარმოო-ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთი სისტემის შექმნისა, რომელიც უზრუნველყოფს მის ეკონომიკურ განვითარებასა და პროგრესს. ამიტომ ძალზედ მნიშვნელოვანია ასეთ ფუნდამენტურ საკითხებზე მეცნიერთა და სპეციალისტთა დისკუსია, თუ როგორი გზით უნდა წარიმართოს აგრარული პოლიტიკა და სოფლის მეურნეობის განვითარება. იმედი მაქვს, რომ მასშტაბური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება აგრარული სექტორის განვითარების თვალსაზრისით“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა, პროფესორმა ელენე ხარაბაძემ.

I საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, პროფესორმა ეთერ ხარაიშვილმა მადლობა გადაუხადა კონფერენციის მონაწილეებს აქტიური მხარდაჭერისათვის. „მეცნიერებს მრავალ საუკეთესო თვისებასთან ერთად ერთი დამახასიათებელი ნიშანიც აქვთ — ისინი სწრაფად გრძნობენ აქტუალურ პრობლემებს და იწყებენ საკითხისა თუ პრობლემის თეორიულ და პრაქტიკულ გამოკვლევას. მოგეხსენებათ, დღეს საქართველოში სასურსათო კრიზისია და 2008-2010 წლებში ფასები სურსათზე საშუალოდ 5% არის გაზრდილი. სამთავრობო სტრუქტურები და სამთავრობო ორგანიზაციები ამ პრობლემის მოგვარების ძიებაში არიან ჩართულნი. საქართველოში აგროსამრეწველო პროდუქტებზე ფასების ზრდამ პიკს მიაღწია. საქართველოში სურსათზე ფასების ინფლაცია ორჯერ და უფრო მეტად აღემატება ჯამურ მაჩვენებელს. ეს კანონზომიერება, ზოგადად, მსოფლიოსთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოში შედარებით მნიშვნელოვნად მაღალია. ვიმედოვნებ, რომ კონფერენციაზე დასმული პრობლემური საკითხების გადასაწყვეტად რეკომენდაციები და გადაჭრის გზები შემუშავდება“, — განაცხადა ეთერ ხარაიშვილმა.

კონფერენციას მიესალმა საქართველოს პარლამენტის წევრი, საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი, რომელმაც სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში საქართველოს მთავრობის როლზე ისაუბრა: „საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარება ერთერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, რომელსაც მხარში დგომა და სწორი განვითარების პერსპექტივების შექმნა სჭირდება. სამწუხაროდ, ქვეყნის ხელისუფლებამ ამაზე ფიქრი სულ ცოტა ხნის წინ დაიწყო, ქვეყნის ბიუჯეტში არ ხდება იმ რეალური თანხების აკუმულირება, რომელიც სოფლის მეურნეობის რეალურ განვითარებას მოხმარდება. შარშან სოფლის მეურნეობა 80 მილიონი ლარით ფინანსდებოდა, წელს კი მისი დაფინანსება 10 მილიონით შემცირდა. თუმცა, ვიმედოვნებთ, რომ ეს პარამეტრები სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით აუცილებლად გაიზრდება. ფაქტი ერთია, რაც არ უნდა მოინდომოს მთავრობამ, თუ არ იქნება სერიოზული რეკომენდაციები — საკითხის მეცნიერული ხედვა, სერიოზული მხარდაჭერა და შემოთავაზებები სამეცნიერო წრეებისგან, მაშინ სოფლის მეურნეობას განვითარების პერსპექტივა არ ექნება. იმედი მაქვს, რომ ეს კონფერენცია ამ მხრივ ერთერთი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება“.

ციურიხის (შვეიცარია) ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორმა დომინიკ ბარჯოლემ შვეიცარიის სოფლის მეურნეობის პოლიტიკასა და ამ სფეროში მიღწეული წარმატებების სხვადასხვა ფაქტორებზე წაიკითხა მოხსენება და ხაზი გაუსვა ამ სექტორში განვითარების სწორი პოლიტიკის დანერგვის მნიშვნელობასა და აუცილებლობას, მეცნიერული კვლევებზე დაყრდნობილი სტრატეგიის შემუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას.

საქართველოს აგრარული პოლიტიკის სტრატეგიის განსაზღვრასა და განხორციელებაზე ისაუბრა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, პროფესორმა პაატა კოღუაშვილმა, რომელმაც აღნიშნა რომ: „საქართველოს აგრარულ სექტორში შექმნილი უმწვავესი კრიზისის დაძლევის აუცილებლობა მოითხოვს საგანგებო ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც მთავრობამ, პირველ რიგში, უნდა შეიმუშაოს და განახორციელოს ქვეყნის სოფლის მეურნეობის სტრატეგია. სწორად შემუშავებული და განხორციელებული აგრარული პოლიტიკა იქნება ერთგვარი გარანტი ქვეყნის სასურსათო უშიშროების მიღწევისა და საწარმოო-ეკონომიკური და სოციალური ინფრასტრუქტურის ისეთი სისტემის შექმნისა, რომელიც აგრომწარმოებლებს უზრუნველყოფს საჭირო შემოსავლებით, ცხოვრების მისაღები დონით და პროდუქციის გაფართოებული წარმოებისათვის საჭირო რესურსით“.

პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე ბიოლოგიურ მეცნიერებათა ასოციაცია „ელკანა“-ს დირექტორი ელენე შატბერაშვილი, რომელმაც ორგანული სოფლის მეურნეობის პერსპექტივებზე გაამახვილა ყურადღება.

მდგრადი ეკონომიკისა და მენეჯმენტის საკითხებში სტუდენტობის ჩართულობაზე ისაუბრეს ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა: სტუდენტური საერთაშორისო ორგანიზაცია „Oikos Tbilisi“-ს პრეზიდენტმა ლევან ფანგანმა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ახალგაზრდული ფრთის თბილისის ორგანიზაციის თავმჯდომარემ თორნიკე რევიშვილმა და საქართველოს ახალგაზრდული პარლამენტის თავმჯდომარემ თეონა ლავრელაშვილმა.

საინტერესო და საყურადღებო იყო სექციებშიც წარმოდგენილი მოხსენებებიც, რომლებიც სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს, სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და განსაზღვრულ პრიორიტეტებს ეხებოდა.

კონფერენციის შემაჯამებელი სხდომის შემდეგ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გაიმართა ყველის ფესტივალი, სადაც ქართული ყველის ფართო ასორტიმენტი წარმოადგინეს და მისი დამზადების უნიკალურ მეთოდებსა და ტრადიციებზე ისაუბრეს.

29 ოქტომბერსკონფერენციის პრაქტიკული ნაწილი „ღვინის ტური“ ნაფარეულში, „ტყუპების ძველ მარანში“ გაგრძელდა. ღვინის ტურმა კონფერენციის მონაწილეებს და უცხოელ სტუმრებს საშუალება მისცა გასცნობოდნენ კახეთში მდებარე ერთერთი ღვინის კომპანიის მუშაობის სპეციფიკას, ძმები გამტკიცულაშვილების საოჯახო ბიზნესის წარმატების საიდუმლოს, რომელიც კახური ღვინის დამზადების უძველესი ტექნოლოგიის ერთგულებაში „იმალება“. „ტყუპების ძველი მარანი“-ს მეპატრონემ, გელა გამტკიცულაშვილმა კონფერენციის მონაწილეებსა და უცხოელ სტუმრებს კახური ღვინის დაყენების ტრადიციულ მეთოდებსა და თანამედროვე ტექნოლოგიებზე მოუთხრო და წარმოადგინა პრეზენტაცია თემაზე: „კახური ქვევრის ღვინო“, სადაც ხაზგასმით აღნიშნა იმ უნიკალური ტექნოლოგიის თავისებურებანი, რომლის მიხედვითაც ხდება კახური ღვინის ქვევრში დაყენება.

ქართული ღვინის შესახებ საინტერესო პრეზენტაცია გამართეს აგრეთვე ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტებმა: ავთანდილ აბაშიშვილმა, მარიამ იაკობიძემ, ლევან ქვარიანმა და ნათია ჯაოშვილმა (თემის ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო ფარესაშვილი).

პრეზენტაციების შემდეგ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა პროფესორმა ელენე ხარაბაძემ კონფერენციის უცხოელ სტუმრებს და მეცნიერებს სამახსოვრო საჩუქრები გადასცა და მადლობა გადაუხადა კონფერენციაში მონაწილეობისა და აქტიური მხარდაჭერისთვის.

კონფერენციის მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაეგემოვნებინათ ოჯახში დაწურული კახური ღვინო და ქართული სამზარეულო, დაეთვალიერებინათ ქართული ტრადიციული მარანი, სადაც კახური ღვინოს დავარგება ხდება, დამტკბარიყვნენ ტრადიციული სტუმარ-მასპინძლობით, რომელმაც აღფრთოვანებაში მოიყვანა კონფერენციის თითოეული მონაწილე.

ᲥᲘᲠᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘ

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტთან (გერმანია). რამდენი ხნის წინ, ამ უნივერსიტეტის დელეგაცია სტუმრობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მიუნხენის უნივერსიტეტის ქირურგიული კლინიკის ხელმძღვანელები: პროფესორები კარლ იაუხი და ჰაინრიხ შტიგლერი. ვიზიტის ფარგლებში მათ თსუ-ის სტუდენტებს საინტერესო ლექციები წაუკითხეს თანამედროვე მკურნალობის მეთოდებსა და მიმართულებებზე, ასევე, დაათვალიერეს ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრის ბაზაზე არსებული თსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკა, შეხვდნენ თსუ-ის რექტორს ალექსანდრე კვიტაშვილს და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. დაიგეგმა, რომ თსუ-ში გამართულიყო ქართულ-გერმანული ოთხ დღიანი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია.

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

სწორედ ამ კონფერენციას მასპინძლობდა 28-31 ოქტომბერს თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული მედიცინის მიმართულება. კონფერენციის თემა იყო „ქირურგიული ტექნოლოგიები და მენეჯმენტი“. მის ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტი (გერმანია), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ღუდუშაურის ეროვნული სამედიცინო ცენტრი, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ქირურგიის საერთაშორისო კოლეჯი (ქართული სექცია) და საქართველოს გადაუდებელი ქირურგიის ასოციაცია.

კონფერენციაში მიუნხენის ლუდვიგ მაქსიმილიანის უნივერსიტეტიდან მონაწილეობდნენ ქირურგები, რადიოლოგები, ენდოსქოპისტები, სხვა მიმართულების მეცნიერები. კონფერენცია თსუ-ისა და მიუნხენის უნივერსიტეტის ეგიდით, 28-29 ოქტომბერს, თსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკაში — ღუდუშაურის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში გაიმართა, ხოლო 30-31 ოქტომბერს — შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკასა და კერძო კლინიკა „მედინაში“ გაგრძელდა.

კონფერენციაზე ისაუბრეს თანამედროვე მკურნალობის და დიაგნოსტიკის მეთოდებზე ქირურგიაში, ასევე პოლიტრამვებსა და სტიქიური უბედურებებით გამოწვეულ ტრავმებზე. მოხსენებების შემდეგ იმართებოდა დისკუსიები, ლექციასემინარები და პრაქტიკული კურსები სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის, სადაც ხდებოდა სამედიცინო უნარ-ჩვევების შეძენა-გაზიარება, ქირურგიული მკურნალობისა და ტე-

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲒᲕ-13 ᲖᲔᲠᲓᲖᲔ

ПРОФИЛИ

კათარზისი ქართულ ეკონომიკაში

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ეტაპების შეფასებისას სპეციალისტები გვერდს ვერ აუვლიან 1995-1998 წლებს, როცა ქვეყნის ეკონომიკური მართვის სათავესთან იდგა ერთი მანამდე არსებულისგან გამორჩეული გუნდი: დავით იაკობიძე (ფინანსთა მინისტრი), ლადო პაპავა (ეკონომიკური განვითარების მინისტრი), ნოდარ ჯავახიშვილი (ეროვნული ბანკის მმართველი). მათ შეძლეს საქართველოს საფინანსო-ეკონომიკური პოლიტიკის დასავლურ სტანდარტებთან დაახლოება, ქვეყნის პირველი ბიუჯეტის შექმნა, ეროვნული ვალუტის — ლარის შემოღება. ამ გუნდმა მოახერხა ჯერ საბჭოთა სისტემის ნანგრევებში მოყოლილი ქართული ეკონომიკის სტაგნაციის შეჩერება, შემდეგ კი მისი ზრდის ნიშნულის ორნიშნა ციფრზე აყვანა. მათი მთავრობაში ყოფნის პერიოდს ემთხვევა აგრეთვე პირველი ბირჟებისა და აქციონერთა საზოგადოებების ჩამოყალიბება.

თუმცა ეს ყველაფერი გუშინ იყო. დღეს, შესაძლოა, ვინმე შემოგვედავოს — რა წინსვლაზეა საუბარი გასული წლის 90-იან წლებში, როცა ქვეყნის განვითარება ფაქტობრივად არ ხდებოდაო, მაგრამ როცა სპეციალისტები საქართველოს ეკონომიკური განვითარების უახლეს ისტორიაზე საუბრობენ, სწორედ ამ პერიოდიდან იწყებენ ათვლას.

ჩვენი რესპონდენტი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი **დავით იაკობიძე** *იმდროინდელი რეფორმების ერთერთი შემოქმედია. დღეს ის მთავრობაში აღარ არის, მაგრამ მიაჩნია, რომ ყველაზე აქტიურ და საინტერესო საქმიანობას სწორედ ახლა ეწევა, როცა ახალგაზრდობას ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის სირთულეებს აზიარებს.*

პროფესიონალი, ენერგიული, თავისუფალი, მახვილი გონებისა და თვალის პატრონი — ასეთად იცნობდნენ მას ყოველთვის და ასეთია ახლაც. მისი ლექციები ჩარჩოებსა და სტანდარტებს არ ექვემდებარება, რადგანაც ფიქრობს, რომ ეკონომიკაც ისეთივე შემოქმედებაა როგორიც, წერა და მასაც ისე უნდა მიუდგე, როგორც მხატვრული ტილოს შექმნისას უყურებ მოლბერტზე გაფენილ მასალას.

ის საინტერესო რესპონდენტია და საუბრისას არ შემოიფარგლება მხოლოდ ეკონომიკაზე და ფინანსებზე საუბრით... კარგად იცნობს წინაპართა ნაკვალევს, პატივს სცემს აზროვნების თავისუფლებას და საკუთარი ღირსების შეგრძნებას ადამიანში. დავით იაკობიძის აქამდე განვლილმა ცხოვრებამ თავისი ქვეყნის უახლეს ისტორიასთან ახლოს ჩაიარა, ამიტომაც მასთან საუბარი საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის ერთი კონკრეტული ეტაპის მიმოხილვას გვერდს ვერ აუვლიდა...



თემის რესპონდენტი
დავით იაკობიძე

მაია ტორაძე

— ბატონო დავით, ჩვენი თაობის ჟურნალისტებს თქვენ ახსოვხართ როგორც სახელმწიფო მოღვაწე და თქვენთვის დასმული კითხვებიც, ძირითადად, საქართველოს ეკონომიკას და ფინანსებს შეეხებოდა. იქნება ახლა ამოვავსოთ ეს სიცარიელე და თქვენი თავი უფრო ახლოს გაგვაცნოთ?

— იაკობიძეების გვარი ჯერ კიდევ მეფე თამარის დროიდან იხსენება და გელათიდან მოდის. ეს გვარი, ძირითადად, სამეურნეო საქმიანობით იყო თურმე დაკავებული. ზოგიერთი იაკობიძე სამეფო კარზეც ყოფილა თარჯიმნის, გადამწერის და სხვა ამგვარი საქმით დაკავებული. კაპიტალიზმის შემოსვლის დროს თბილისშიც გამოჩნდნენ, ისინი სხვადასხვა მუსიკალური ინსტრუმენტების ამწყობები ყოფილან.

ჩემი ოჯახი ჭიათურიდან არის. მამა, განათლებით პედაგოგი, პარტიული მუშაკი გახლდათ და სხვადასხვა ადგილზე უწევდა მუშაობა. ოჯახში პატიოსნების, შრომისმოყვარეობის, ეროვნული ინტერესებისადმი თავდადებისა და წინაპრების გზის პატივისცემის გარდა, არაფერი მისწავლია. დავიბადე საჩხერეში და გავიზარდე მესხეთ-ჯავახეთში. საშუალო განათლების მიღება სხვადასხვა ადგილზე მომიწია. საბოლოოდ სკოლა ჭიათურაში დავამთავრე.

— როგორც გვახსოვს, საბჭოთა პერიოდის ახალგაზრდობის არჩევანი, ძირითადად, ფილოლოგია, მედიცინა და იურისპრუდენცია იყო და ეს ტენდენცია უკანასკნელ პერიოდამდე ინერციით გრძელდებოდა. თქვენ თავიდანვე ეკონომისტობა გქონიათ გადაწყვეტილი. რამ განაპირობა ამ გადაწყვეტილების მიღება?

— სკოლის დამთავრებისას ისეთ წრეში მოვხვდი, რომ ჩემს გარშემო ყველას ეკონომისტობა უნდოდა. მეც ჩემი სურვილით მოვედი უნივერსიტეტში. აქ დამხვდნენ ჩემზე გაცილებით უფროსი ჯარგამოვლილი ბიჭები, რომლებიც ჭკვიანები და დაბრძენებულები ჩანდნენ. მაშინ მივხვდი, რომ მეტი უნდა მესწავლა, რომ კარგ ეკონომისტად ჩამოვყალიბებულიყავი. ჩემი მიზანი არ იყო უნივერსიტეტის დამთავრება და მერე ვაჭრობაში წასვლა, როგორც ამას ბევრი აკეთებდა, მინდოდა, დიდ ხანს, წლობით მესწავლა ეკონომიკის მეცნიერება. ასეც გავაკეთე. ვინც მიცნობს, დამეთანხმება, რომ თუ ვინმეს ახსენებდნენ მაშინ, როგორც პროფესიონალ ეკონომისტს, მეც მათ შორის ვიყავი.

— ყველაზე მეტად რომელი ლექტორი დაგამახსოვრდათ. ვინ მოახდინა გავლენა თქვენს პროფესიონალად ჩამოყალიბებაზე?

— ძნელია ამის ახსნა. თავისი პოზიციიდან ყველა ლექტორმა რაღაც შემძინა, მაგრამ სამ მათგანს მაინც გამოვარჩევდი: ვასილ ჩანტლაძეს, რომელიც ქართულ ენას, ქართულ კულტურას, ქართველობას გვასწავლიდა; გივი ჭანუყვაძეს, რომელიც შესანიშნავი პედაგოგი იყო და არჩილ ფანცხავას, რომელიც მარქსის „კაპიტალს“ გვასწავლიდა და სულ ცდილობდა ეჩვენებინა, სად იყო ამ ნაშრომში მეცნიერება და სად — იდეოლოგია. განსაკუთრებით მინდა გამოვხატო მადლიერება ბატონ ვალიკო მელქაძის მიმართ, რადგანაც თუ რამე გამოვიდა ჩემგან, მისი დამსახურებაა.

— ეკონომიკის, როგორც მეცნიერებისადმი ინტერესი როდის გაგიჩნდათ, სტუდენტობაში თუ უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ?

— როგორც გითხარით, ჩემი მიზანი იყო ეს მეცნიერება კარგად შემესწავლა. ამიტომაც სურვილი მქონდა ასპირანტურა დამემთავრებინა. მაშინ ილია ვეკუა ახალი ჩამოსული იყო თბილისში და მათემატიკის გაძლიერებული სწავლისთვის ნოვოსიბირსკში გამგზავნეს სტაჟირებაზე. არ მომეწონა ის უნივერსიტეტი — იქ ცხოვრებაში კომკავშირელი უნდა ყოფილიყავი და მეცნიერებაში — დისიდენტი. ამგვარი გაორებული ცხოვრება ჩემთვის მიუღებელი იყო და, ამიტომ გადავწყვიტე, მოსკოვში წავსულიყავი, სადაც კონსერვატული, ანუ ფუნდამენტალიზმისკენ მიდრეკილი სკოლა იყო — კარგად უნდა შეგესწავლა ამ მეცნიერებაში მოღვაწე კლასიკოსები.

მოსკოვში ჩავაბარე ასპირანტურაში და დავიცავი დისერტაცია თემაზე: „მინის ფასი სოციალიზმის დროს“. ადვილად არც იქ მიმიღწევია წარმატებისთვის. იქაურ მეცნიერებს თემა არ მოეწონათ — ეგ ვინაა, რომ მიწის ფასი იცოდესო .... ბევრი წვალება დამჭირდა, რომ საკმაოდ წონიანი აკადემიკოსებისთვის დამემტკიცებინა ცოდნა. მიხარია, რომ არასოდეს ვიყავი რაღაც ჩარჩოებში მოაზროვნე ეკონომისტი, მქონდა ჩემი მიდგომა ეკონომიკური საკითხებისადმი და შემეძლო მისი დასაბუთებაც.

— როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა საბჭოთა ეკონომიკა პოლიტიზირებული და რაში გამოიხატებოდა თავისუფალი ეკონომიკური აზროვნება?

— დღესაც მიდის კამათი — როგორი მეცნიერებაა ეკონომიკა — ნორმატიული თუ პოზიტიური. თავის დროზე მარშალი ამბობდა, რომ ესენი ერთმანეთისაგან მკაცრად არ უნდა გაიმიჯნოსო. ქართული ეკონომიკა ამოიზარდა გერმანული სკოლიდან — პირველი თბილისელი ლექტორები ზომბარტის და კნაპის მონაფეები იყვნენ და ამ საფუძველზე ვიზრდებოდით ჩვენც. დიპლომი კეინსზე დავწერე და მის კარგ მცოდნედ ვითვლებოდი. ამიტომ ევროპული განათლებისგან შორს არასოდეს ვიყავი.

დავიწყე საქმიანობა და უკვე ჩემი აზრი განმივითარდა — რა არის ეკონომიკური მეცნიერება, განსაკუთრებით ეკონომიკური თეორია, როგორ უნდა ემსახუროს ხალხს, რა შესაძლებლობაა, რომ ხალხის სამსახურში ჩადგეს. იმ ხალხისგან, რომლებიც ეკონომიკურ მეცნიერებას და იდეოლოგიას, ან მეცნიერებას და დავალების შესრულებას ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა, მუდმივად ხდებოდა თავისუფალი აზრის დისკრედიტაცია, მაგრამ ჩვენ იმ მეცნიერებს ვეყრდნობოდით, ვინც მეცნიერებაში მეცნიერებას ხედავდა, მაგალითად, სტანისლავ მენშიკოვი, რუსი მეცნიერი-ეკონომისტი, რომელსაც დიდი დაფასება ჰქონდა ევროპაში.

— ბატონო დავით, თქვენ საქართველოსთვის მძიმე პერიოდში მოგიწიათ მთავრობაში მოღვაწეობამ. ეს იყო საბჭოთა ქვეყანა, რომელიც უცებ, ერთი ხელის მოქნევით უნდა გადასულიყო კაპიტალიზმის რელსებზე. როგორ დაიწყეთ რეფორმები და რა ედო მას საფუძვლად? მხედველობაში მაქვს ის, რომ თქვენც საბჭოთა ეკონომიკური სკოლა გქონდათ გავლილი და დასავლურ ეკონომიკურ ღირებულებებთან მხოლოდ მაშინ იწყებდით შეხებას...

— ზუსტად ვიცოდი, რომ საჭირო იყო საქართველოში ერთი კვალიმეტრიული სისტემა შეცვლილიყო მეორე კვალიმეტრიული სისტემით. ამიტომ ჩემთვის სიძნელეს არ წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკაზე მუშაობა. კარგად ვიცნობდი საქართველოს ეკონომიკას, ვიცნობდი მის სუბიექტებს და ვიცოდი, როგორ გარდაქმნილიყო ადამიანის საბჭოთა აზროვნება თანამედროვე აზროვნებად.

კონკრეტულად მაშინ ჩემგან მოითხოვეს, მონაწილეობა მიმეღო საბაზრო ეკონომიკის ახალი ინსტიტუტების ფორმირებაში — ჩემი აქტიური მონაწილეობთ შეიქმნა ბირჟა, პირველი აქციონერული საზოგადოებები, პირველი კოოპერატივები. შეიძლება ითქვას, რომ სულ 5 კაცი ვიყავით, ვინც ვმუშაობდით და ვაკეთებდით საბაზრო ელემენტებს, რომლის ფონზეც ახალ ქართველს უნდა დაენახა, თუ რამდენად უკეთესია ეს ეკონომიკა საბჭოთა ეკონომიკაზე. თუმცა ყოველთვის ვაფრთხილებდი საზოგადოებას, რომ საბაზრო ეკონომიკა არის ჭირხლი, რომელიც ფანჯარას ედება და უყურებ — რა ფიგურასაც გინდა, იმას დაინახავ ამ ჭირხლში. ეს ძალიან რთული ეკონომიკაა. მას მოჰყვება ფასების ზრდა, შიმშილი, ადამიანების გარკვეული ნაწილის გაღარიბება და ა.შ. ის ადამიანები, რომლებიც ერთმნიშვნელოვნად აცხადებდნენ, რომ საბაზრო ეკონომიკა ყველასთვის კარგი იქნებოდა, მაშინ მეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ მერე, როცა თავადაც ბევრმა იწვნია საბაზრო ეკონომიკის მკაცრი ხელი, მიხვდნენ და მეუბნებოდნენ კიდეც — შენ იცოდი, რა მოხდებოდა.

— შეგიძლიათ გაიხსენოთ, რა იყო მთავარი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომელიც თქვენ გადადგით საქართველოს საბაზრო ეკონომიკაზე გადასასვლელად?

— სანამ ფინანსთა მინისტრად დავინიშნებოდი, წელიწადნახევარში საქართველომ ამ პოსტზე 7 მინისტრი გამოიცვალა, რადგანაც საქმე წინ არ მიდიოდა და მინისტრებს ადანაშაულებდნენ. იმ პერიოდში გამოვაქვეყნე წერილი, რომელშიც დეტალურად ვხსნიდი ყველა პრობლემას და ვასაბუთებდი, რომ საქართველოს ფინანსთა სისტემას კადრები არ ჰყავდა. წერილმა ჩემი კოლეგები გაანაწყენა — პროფესიონალები რატომ გაგვლანძღეო. არადა, კი არ გავლანძღე, უბრალოდ ვთქვი, რომ, რაც ამ სისტემაში კეთდებოდა, მხოლოდ რუსული ინსტრუქციების გავლენა იყო, დამოუკიდებელი აზრი არავის ჰქონდა.

1993 წლის 11 სექტემბერს, როცა ოთარ ფაცაციას მთავრობა ჩამოყალიბდა, მთავრობაში მიმიწვიეს. თითქმის 4 წელი ვიმუშავე. პირველი, რაშიც დავრწმუნდი, ის იყო, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტრო არ იყო ინსტიტუცია, ეს იყო დიდი იმპერიის პატარა აღმასრულებელი ერთეული. ამიტომ გამოვედი ამ ჩარჩოებიდან და დავიწყე ახალი ინსტიტუციის კეთება.

მეორე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს ბიუჯეტის შექმნა, რომელიც ჩხუბით, აყალმაყალით, მაგრამ მაინც დამტკიცდა პარლამენტის სხდომაზე. ჩვენ ბიუჯეტი განვმარტეთ, როგორც ქვეყნის ერთი წლის მთავარი საფინანსო გეგმა, როგორც ხალხის ფული, რომელსაც სჭირდებოდა დაცვა.

1995 წელს ამ ბიუჯეტმა და მისმა ფინანსურმა წესრიგმა მოგვცა შესაძლებლობა, რომ ლარი შემოგვეღო. თავის მხრივ, ლარმა დაიწყო საზოგადოების ფინანსური მოწესრიგება — დაინახეს, რომ ლარი ფასეულობაა და საქართველოში შეიძლება საკუთარი შრომით იცხოვრო. დაიწყო კათარზისი.

1996 წელს ამ რეფორმებს მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტსა და ბოსტონში საქართველოს სასწაული უწოდეს, რადგანაც ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი 1995-1996 წლებში ორნიშნა რიცხვით (13-14 პროცენტით) გამოიხატა. იმ ერთსულოვნებამ, რაც მაშინ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ქვეყნის ეკონომიკურ მმართველ გუნდს შორის არსებობდა, აღმავლობა გამოიწვია. სამწუხაროდ, ამის შემდეგ დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, რამაც ეკონომიკის ზრდაც შეაჩერა.

— გასაგებია, რომ თქვენ უფრო ახლოს იყავით ქვეყნის მმართველობასთან და ხედავდით, რა სირთულეები ახლდა ეკონომიკურ რეფორმას, მაგრამ საზოგადოება იმ წლებს წარმატებულს არ უწოდებს, რადგანაც ამ რეფორმის სიკეთეებმა დაბალ ფენამდე ვერ მიაღწია...

— მინდა გითხრათ, რომ რეფორმის დროს ნებისმიერ ქვეყანას უხდება რაღაცის დათმობა. საზოგადოების ეს განწყობა ერთგვარი ნოსტალგიის შედეგი უფრო იყო, ვიდრე წარუმატებელი რეფორმებისა. ასეთ დროს კაცი რეფორმაზე არ ფიქრობს. ის მიჩვეულია გარკვეულ ეკონომიკურ მდგომარეობას და როცა ხედავს, რომ ის მდგომარეობა აღარ აქვს, უჩნდება ნოსტალგია ძველი პერიოდის მიმართ.

სწორედ ეს ფსიქოლოგიური მომენტი გავითვალისწინეთ ჩვენ, როცა ლარი შემოვიღეთ. მაშინ დაისვა კითხვა — როგორი უნდა ყოფილიყო ლარის ღირებულება დოლართან მიმართებაში? სხვა ქვეყნების ეროვნული ვალუტა იყო 1:100-თან (სომხეთი) 1:50-თან (უკრაინა), ჩვენ დავწერეთ 1:1,3-თან. რატომ? იმიტომ რომ მაშინ აღმოჩნდებოდა, რომ პურის ფასი 40 თეთრი იქნებოდა, მეტროთი მგზავრობა 20 თეთრი და ა.შ. ამით ადამიანებს ნოსტალგია ეხსნებოდათ. ვფიქრობ, ჩვენმა ამ მიდგომამ გაამართლა.

— თქვენ წლების განმავლობაში იყავით პროფესორი თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტისა, რომელიც გასულ წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემოუერთდა. როგორ ფიქრობთ, რას მოიტანს ეს შეერთება, რას ნიშნავს უნივერსიტეტი თქვენთვის?

— მიყვარს ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტი, რადგანაც უნივერსიტეტელი ვარ. ჩვენ ის თაობა ვართ, რომელმაც უნივერსიტეტს 50 წლისთავი გადაუბადა და ამ უნივერსიტეტის ისტორია ზეპირად იცის. მომსწრე ვარ მისი სიდიადის და მინდა, რომ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი მსოფლიო ეკონომიკურ სასწავლებელთა ასეულში ვიხილო. ჯერჯერობით დასავლურ უმაღლეს სასწავლებლებს ჩამოვრჩებით და მგონია, რომ რეფორმა კი არა, ტრანსფორმაცია არის საჭირო. აქ უნდა გაგრძელდეს ილია ვეკუას და ნიკოლოზ მუსხელიშვილის ტრადიციები.

— წლებია, რაც სტუდენტებთან გაქვთ შეხება. თქვენი გადასახედიდან, როგორი ახალგაზრდობა მოდის?

— ბრწყინვალე, მაგრამ ერთი ნაკლი აქვთ, თუ დაავალებ — გაგიკეთებენ, დამოუკიდებლად კი არაფერს მოიძიებენ.

ვცდილობ, აკადემიური პროცესიდან არ გადავუხვიო. მიმაჩნია, რომ ეს დემოკრატიული პროცესი არ არის. ვასწავლი და ვაჩვევ აზროვნებას, რაც მგონია, რომ მათი წარმატების წინაპირობა იქნება.

ინსტიტუტი გაცოცხლდა

უნივერსიტეტის ისტორიის ერთ ფურცელზე სულ ორი წინადადებითაა მითითებული, რომ უნივერსიტეტში სწავლის დაწყების სანყის ეტაპზე პროფესორმა ალექსანდრე ნათიშვილმა ლექცია ანატომიაში ქართულად პირველად წაიკითხა. ლექციის მომზადებას თავისი პატარა ისტორია ჰქონია, რომელიც თსუ-ის ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ გვიამბო: უნივერსიტეტი ახალი გახსნილი იყო და ბატონი ალექსანდრე ანატომიაში ლექციის წასაკითხად ემზადებოდა. ერთი დღით ადრე მასთან სტუმრად მისულა ივანე ჯავახიშვილი, რომელსაც უკითხავს, რა ენაზე აპირებდა სტუდენტებისთვის ანატომიის ანბანის გაცნობას, რუსულადო — უპასუხა თურმე ბატონმა ალექსანდრემ, რადგანაც ქართულად ანატომიის ტერმინოლოგია ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი. „მე და შენ ახლა აქ იმიტომ ვართ, რომ დარჩენილ დროში ტერმინოლოგია დავადგინოთ და პირველი ლექცია ქართულად წაიკითხო. ასე იქნება ყოველი ლექციის წინ და ანატომიაში ქართული ტერმინოლოგიის პრობლემა აღარ იარსებებს“, — უთქვამს ივანე ჯავახიშვილს. მართლაც, ორი ბუმბერაზი მეცნიერი მთელი დღე და ღამე მუშაობდა თურმე ტერმინოლოგიის დადგენაზე. შედეგად — ალექსანდრე ნათიშვილმა ქართულად წაიკითხა პირველი ლექცია. ციკლის დასრულების შემდეგ კი უკვე არსებობდა ანატომიური ტერმინოლოგია, რის საფუძველზეც შეიქმნა ალექსანდრე ნათიშვილის ქართულენოვანი სახელმძღვანელო — „ადამიანის ნორმალური ანატომია“, რომელიც დღეს უკვე ქრესტომათიული იშვიათობაა, მაგრამ ანატომიის სწავლების მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი, სხვა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან ერთად, 2010 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შეუერთდა. ოპტიმიზაციის პროცესი ინსტიტუტისთვის მტკივნეული არ ყოფილა, რადგანაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამ სამეცნიერო კოლექტივისთვის უკვე კარგად ნაცადი პარტნიორი იყო როგორც სამეცნიერო კვლევებში, ასევე, სასწავლო პროცესში, რადგანაც თანამშრომელთა ერთი ნაწილი უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალია.

რა გზა გაიარა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტმა დღემდე და რა სამომავლო გეგმები აქვს მას უნივერსიტეტის შემადგენლობაში, ამ საკითხებზე გვესაუბრება ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი დიმიტრი კორძაია:

მაია ტორაძე

— ბატონო დიმიტრი, ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის მდიდარი სამეცნიერო ბიოგრაფია საყოველთაოდ ცნობილია. რა პერსპექტივები აქვს მას დღეს და როგორ გესახებათ ამ ინსტიტუტის მომავალი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შემადგენლობაში?

— დაგეთანხმებით, რომ ამ ინსტიტუტს მართლაც მდიდარი ისტორია აქვს. გარდა იმისა, რომ მისი დამაარსებელი გახლდათ ქართული სამედიცინო განათლების პატრიარქი, აკადემიკოსი ალექსანდრე ნათიშვილი, რომლის სახელსაც დღეს ატარებს, არ შეიძლება არ აღვნიშნო ასევე უდიდესი მეცნიერის, აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის დამსახურება ინსტიტუტის, ქართული მეცნიერების და, ზოგადად, მსოფლიო სამედიცინო სამეცნიერო საზოგადოების წინაშე. ქალბატონი ნინო თითქმის 50 წელი ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს და დღესაც ჩვეული რეჟიმით აგრძელებს სამეცნიერო მოღვაწეობას. ორიოდე სიტყვით გეტყვით იმასაც, რომ ამ ლეგენდარული ქალბატონის თაოსნობით ინსტიტუტმა არაერთ წარმატებას მიაღწია არა მხოლოდ საბჭოთა, არამედ მსოფლიო სამეცნიერო სივრცეში. აქ წლების განმავლობაში მიმდინარეობდა ექსპერიმენტული კვლევები, ცხოველებზე კეთდებოდა სხვადასხვა დაავადებათა და მდგომარეობათა მოდელები; წარმატებით მუშაობდა პათოლოგანატომიური და ადამიანის კლინიკური ანატომიის განყოფილებები. ამ ინსტიტუტში უამრავი დისერტაცია და მონოგრაფია დაიწერა, შეიქმნა ისეთი სახელმძღვანელოები და გამოცემები, რომლებიც მთელი დარგის განვითარებას უწყობდა ხელს. მაგალითად, „ანატომიური ნომენკლატურა“, „ანატომიური დასურათებული ნომენკლატურა“, „ჰისტოლოგიური ნომენკლატურა“ და სხვა. ეს ლიტერატურა ძალიან ეხმარებოდა მორფოლოგიური მეცნიერების განვითარებას, ქართულენოვანი ტერმინოლოგიის სრულყოფას, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობას.

საბჭოთა კავშირის პერიოდში არ ჩამოყალიბებულა მორფოლოგიის დარგის რაიმე საზოგადოება ან ბეჭდვითი ორგანო, რომელშიც ჩვენი ინსტიტუტის მეცნიერები არ ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ქალბატონი ნინოს დირექტორობის დროს დაინყო საბჭოთა სამეცნიერო სივრციდან გასვლა. იგი კოლეგებთან და თავის მოწაფეებთან ერთად 46 ქვეყანაში მონაწილეობდა სამეცნიერო კონფერენციებში. ამასთანავე, არ დაგვავიწყდეთ, რომ ეს იყო პერიოდი, როცა უცხოეთში გასვლა, ფაქტობრივად, შეუძლებელი იყო.

ქალბატონი ნინოს და მორფოლოგიის ინსტიტუტის დამსახურებაა, მაგალითად, ის, რომ მსოფლიოში სისხლძარღვთა პროტეზირებისთვის გამოყენებული მასალები შეიცვალა. სწორედ ნინო ჯავახიშვილმა დაასაბუთა მანამდე გამოყენებული მასალების სტრუქტურათა შეუსაბამობა ადამიანის ორგანიზმთან. ეს იყო ფურორი ამ დარგში, რომელსაც უცხოური გაზეთებიც კი გამოეხმაურნენ. ასევე, მორფოლოგიის ინსტიტუტში დაედო სათავე ტრანსპლანტაცია-რეპლანტაციის საკითხების კვლევას საქართველოში.

მიუხედავად ასეთი დიდი ისტორიისა, მე ამ ინსტიტუტის მხოლოდ მესამე დირექტორი ვარ და მოსვლის დღიდან ვცდილობ, დიდი მეცნიერების, ალექსანდრე ნათიშვილისა და ნინო ჯავახიშვილის დაწყებული საქმე ღირსეულად განვაგრძო. სწორედ ამ პასუხისმგებლობითაა განპირობებული ისიც, რომ საკმაოდ კონკრეტული გეგმები შევიმუშავეთ.

— რას ითვალისწინებს ეს გეგმები და რა ადგილი შეიძლება დაიკავოთ საუნივერსიტეტო სივრცეში?

— ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტს საუნივერსიტეტო სივრცეში ჯერ კიდევ მანამდე ეჭირა მნიშვნელოვანი ადგილი, სანამ მას ოფიციალურად შევუერთდებოდით.

2005 წელს, როდესაც ამირჩიეს ამ ინსტიტუტის დირექტორად, დამხვდა ძალიან სახელოვანი კოლექტივი, ლეგენდარული ხელმძღვანელი, მაგრამ სრულად ამორტიზებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მოგეხსენებათ, მატერიალური ბაზის განახლება დიდ ფინანსებთანაა დაკავშირებული, რადგანაც უცხოეთის ანალოგიურმა სამეცნიერო ცენტრებმა ჩვენი სტაგნაციის წლებში ძალიან წინ წაიწიეს. მიზნად დავისახეთ სამი მიმართულებით გაგვეგრძელებინა განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც თანდათანობით განგვევითარებინა. ეს სამი მიმართულება იყო: სასწავლო, კლინიკური და სამეცნიერო.

პირველ რიგში დავიწყეთ იმით, რომ ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაწილი ჩაერთო კლინიკურ პროექტებში. საკითხის შესწავლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საქართველოში ბევრ საავადმყოფოს არ ჰქონდა პათალოგანატომიური განყოფილება. ჩვენ მოვახერხეთ და მათთან გავაფორმეთ ხელშეკრულება, რომლის შედეგადაც რამდენიმე საქმე ერთად კეთდება: ერთი, რომ ექიმებსა და პაციენტებს ვუწევთ დახმარებას და ოპერაციულ მასალას მაღალკვალიფიციურ დონეზე ვიკვლევთ, მეორე — ამით ხელი შევუწყვეთ ჩვენი თანამშრომლების სერიოზული ყოველდღიური სამუშაოთი უზრუნველყოფას. ამ კვლევების შედეგების მეცნიერული ანალიზი კი ხელს უწყობს ინსტიტუტში შემოსული ოპერაციული მასალების ანალიზის საფუძველზე სამეცნიერო შრომების მომზადებას. უკანასკნელ წლებში ჩვენი ინსტიტუტის თანამშრომლებმა 10-მდე ნაშრომი გამოაქვეყნეს საერთაშორისო მიმოქცევის, ე.წ. „იმპაქტ-ფაქტორის“ მქონე ჟურნალებში.

ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანი იყო ის, რომ აუცილებლად უნდა ჩავრთულიყავით სასწავლო პროცესში, რადგანაც არ შეიძლებოდა ანატომიაში შესრულებული კვლევები და აქ მომუშავე მეცნიერების ცოდნა უშუალოდ არ მიწოდებოდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს. ამიტომაც, 2006 წელს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური კონკურსი გამოცხადდა, ჩვენი თანამშრომლების ერთმა ნაწილმა მიიღო მონაწილეობდა და თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი გახდა. ვფიქრობ, ეს იყო ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება.

აქვე ავამოქმედეთ რამდენიმე სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამა მედიკოსებისა და ბიოლოგებისთვისაც. შედეგად, ინსტიტუტი გაცოცხლდა და შესაძლებელი გახდა რთული ექსპერიმენტების დაწყება და განხორციელება.

როცა დღის წესრიგში დადგა ჩვენი ინსტიტუტის უნივერსიტეტთან შეერთების საკითხი, ჩვენმა კოლექტივმა ეს დადებით მოვლენად მიიჩნია, რადგანაც ამას რამდენიმე ობიექტური წინაპირობა უძღოდა: მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სამეცნიერო ინსტიტუტები სასწავლო დაწესებულებასთან ფუნქციონირებს, რადგანაც ცალკე არსებული მეცნიერება თავისთავად ნაკლებად ეფექტურია. ამდენად, უნივერსიტეტთან ინტეგრაციის პროცესს ჩვენი თანამშრომლები მოწონებით შეხვდნენ. მართალია, პირველ ეტაპზე ადმინისტრაციული მართვა რამდენადმე გართულდა, მაგრამ თუ შევადარებთ მოსალოდნელ დადებით და უარყოფით რეზულტატს, პირველი აშკარად გადაწონის. უკვე დაიწყო შენობის რეაბილიტაციის პროცესი — გადახურვა, რემონტი, რასაც ინსტიტუტი დამოუკიდებლად ვერ შეძლებდა. ამჟამად დაგეგმილია ჩვენს შენობაში მედიცინის ფაკულტეტის დეკანატის და რამდენიმე დეპარტამენტის განთავსება. ამას, ბუნებრივია, შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობაც მოჰყვება.

ჩვენთან უკვე მიმდინარეობს ლექციათა-სემინარები და პრაქტიკული სამუშაოები მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტთათვის. შენობა გაცოცხლდა, რასაც თავისთავად მოჰყვება სამეცნიერო მუშაობის გააქტიურება. მეტი ხალხით, მეტი მულტიპროფილური აპარატურით უფრო მასშტაბური კვლევების დაგეგმვა და განხორციელება შეიძლება...

— რა პროექტებზე მუშაობს დღეისათვის მორფოლოგიის ინსტიტუტი?

— მას შემდეგ, რაც ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა საგრანტო დაფინანსება დაიწყო, ჩვენ სამი სამეცნიერო გრანტი მოვიპოვეთ. ეს არც ბევრია და არც ცოტა, თუ გავითვალისწინებთ, რომ მორფოლოგიური კვლევების დაფინანსება, საკმაოდ პრობლემურია, მით უფრო, თუ არ გაქვს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორიები. ამიტომაც, როცა უცხოელი ექსპერტი შენს პროექტს აფასებს, ფაქტობრივად, მან ბოლომდე უნდა გაიგოს შენი „ნოუჰაუ“, ანუ უნდა მოიხიბლოს პრობლემური საკითხის გადაწყვეტისადმი შენი ორიგინალური მიდგომით და სამეცნიერო პერსპექტივით.

ასევე, მოვიპოვეთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კიბოს კვლევის საერთაშორისო სააგენტოს გრანტი. ეს კვლევა დაედო საფუძვლად საქართველოში ქალთა სკრინინგის პროგრამის ამოქმედებას. ამის შესახებ შესანიშნავი სტატია მომზადდა და დაიბეჭდა იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალში.

ვიყავით აშშ დაფინანსებით განხორციელებული იმ 4-წლიანი საგრანტო პროექტის მონაწილე (დაავადებათა კონტროლის ცენტრთან ერთად), რომელიც ეხებოდა „ჰელიკობაქტერ პილორის” კვლევას ადამიანში. ეს არის ისეთი ბაქტერია, რომელიც კუჭის ლორწოვანშია განთავსებული და გასტროენტეროლოგიური დაავადების მიზეზადაა აღიარებული.

თუ გახსოვთ, საბჭოთა პერიოდში საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების დღეგრძელთა ასაკის გამო დიდი ბუმი იყო ატეხილი. მაშინ გერონტოლოგიის საკითხებს მთელი მსოფლიოს მეცნიერები სწავლობდნენ და ჩვენს ინსტიტუტშიც შეიქმნა ანალოგიური განყოფილება. დღეს ამ განყოფილების პროფილს დავუმატეთ პალიატიური მზრუნველობაც (ეს არის ისეთი სამედიცინო-სოციალური მზრუნველობა, რომელიც ორიენტირებულია ქრონიკული განუკურნებელი სენით შეპყრობილი ან ხანდაზმული პირების არა მორჩენასა და გაახალგაზრდავებაზე, არამედ მისთვის სიცოცხლის ხარისხის მაქსიმალურად მიღწევადი დონის უზრუნველყოფაზე, კომფორტის შექმნაზე, ბოლომდე ღირსეულ სიცოცხლეზე. აქ ერთადაა ჩართული მედიცინა, სოციოლოგია და ფსიქოლოგია. 2001 წლიდან ვცდილობდი, რომ საქართველოში ეს მიმართულება განვითარებულიყო. დღეს გახლავართ პალიატიური მზრუნველობის ეროვნული პროგრამის კოორდინატორი და ამ დარგის ეროვნული ასოციაციის დამფუძნებელი). ამჟამად, მორფოლოგიის ინსტიტუტის გერონტოლოგიისა და პალიატიური მზრუნველობის განყოფილებას კიდევ ორი გრანტი აქვს მოგებული.

— თქვენი საუბრიდან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს — ფაქტობრივად, თქვენს ინსტიტუტს უნივერსიტეტის წიაღში თვითდამკვიდრებისთვის ზრუნვა არც სჭირდება, რადგანაც უკვე დამკვიდრებულნი ხართ...

— დიახ, უნივერსიტეტი უკვე ნაცნობი რეალობა იყო ჩვენთვის. ამიტომ არავის გასჭირვებია მასთან შეგუება. უკვე ჩანს რა დადებითი მოიტანა უნივერსიტეტთან ინტეგრაციამ და იდეის დონეზე ვხედავ, კიდევ რა შეიძლება მოიტანოს პერსპექტივაში. ჩვენ უნივერსიტეტის სულთან (ამ ორი სიტყვის ხიბლი ჩემი ბავშვობიდან, ჩემი მშობლებიდან მომყვება) მიახლოების საშუალება მოგვეცა, რაც პირადად ჩემთვის საამაყო და საპასუხისმგებლოა.

ქირურგიული ტექნოლოგიები და მენეჯმენტი

მეთერთმეტე გვერდიდან

ქნიკის სხვადასხვა მეთოდების გაცნობა.

„ქართულ-გერმანული საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ახალგაზრდა სპეციალისტებისა და რეზიდენტებისთვის. გერმანელი სპეციალისტების გამოცდილების გაზიარება ქირურგიაში უახლესი დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მეთოდების შესახებ გააღრმავებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას“, — განაცხადა კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის სამედიცინო ფაკულტეტის ქირურგიული მიმართულების სრულმა პროფესორმა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მერაბ კილაძემ.

კონფერენციაზე პროფესორ მერაბ კილაძის წარმოდგენილმა მოხსენებამ: „2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის სამედიცინო ტრავმები“ უცხოელი კოლეგების დიდი ინტერესი გამოიწვია, რადგან მათ ამ საკითხში მსგავსი გამოცდილება არ გააჩნიათ.

იგი თავის მოხსენებაში აღნიშნავს, რომ: „ომის პერიოდში, ღუდუშაურის ეროვნულმა სამედიცინო ცენტრმა 739 დაჭრილი მიიღო, აქედან 146-ს გაუკეთდა ოპერაცია. 96 იყო – ტრავმატოლოგიური, ხოლო 52 — ქირურგიული პროფილის. არ დაფიქსირებულა არც ერთი ოპერაციული და პოსტოპერაციული ლეტალური შემთხვევა, რაც ქართული სამედიცინო სკოლის დიდი გამარჯვებაა. გაკეთდა დასკვნები, რომ ამის წინაპირობა იყო სამედიცინო ცენტრის სწორი სტრუქტურული ტრანსფორმაცია ცივილურ სამხედრო ჰოსპიტლად, რომელსაც დაემატა აუცილებელი საჭირო აპარატურა და კვალიფიციური სამედიცინო პერსონალი. ეს იყო მძიმე და მსუბუქად დაჭრილი პაციენტების სწორი ტრიაჟი და სორტირება, დაჭრილების სწრაფი ევაკუაცია და ტრანსპორტირება, სასიცოცხლო ფუნქციების კორეგირება და სტაბილიზაცია სხვა სტაციონარებში შემდგომი გადაყვანისათვის, რაც ქართველმა მედიკოსებმა წარმატებით განახორციელეს“.

უცხოელმა კოლეგებმა მაღალი შეფასება მისცეს ქართველი ექიმების მოხსენებებს. აღინიშნა, რომ მათი მომზადების მაღალი დონისა და პროფესიონალიზმის წყალობით, სწორი და ხარისხიანი მკურნალობის მეთოდების გამოყენებით, რუსეთ-საქართველოს აგვისტოს ომის დროს დაჭრილ მეომრებს სიცოცხლე შეუნარჩუნდათ.

კონფერენციაზე დაიგეგმა სტუდენტების მონაწილეობა სასწავლო-პრაქტიკულ პროგრამებში. გერმანელი მედიკოსებისგან წამოვიდა ინიციატივა, რომ ქართველმა სტუდენტებმა სწავლების ერთი სემესტრი გერმანულ უნივერსიტეტში გაიარონ.

ახალი სახელმძღვანელო იურისტებისთვის

შურთხია გეროშვილი



სისხლის სამართლის, როგორც სამართლის ერთერთი დარგის ცნების ჩამოყალიბება კვლავ იურისტთა კვლევა-ძიების საგნად რჩება. იგი სამართლის ერთერთი ფუნდამენტური დარგია და ამდენად, განსაზღვრული ნორმების, ანუ ქცევის წესების ერთობლიობაა. სისხლის სამართალი, უპირველეს ყოვლისა, დანაშაულებრივი ხელყოფისაგან საზოგადოების ფუნდამენტური ღირებულების დაცვას ემსახურება. ამ დარგში ახალი კოლექტიური სახელმძღვანელო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრაზე ჯერ კიდევ 2004 წელს შეიქმნა, რომელიც სპეციალისტთა მიერ ხელმეორედ გადამუშავდა და გაუმჯობესებული სახით 2007 წელს გამოქვეყნდა.

ახლახან კი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა, დოქტორანტებმა, პრაქტიკოსმა იურისტებმა და იურიდიული მეცნიერების პრობლემებით დაინტერესებულმა მკითხველმა ახალი სახელმძღვანელო — „სისხლის სამართალი" მიიღეს, რომლის პრეზენტაცია თბილისის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა.

სახელმძღვანელოს ავტორმა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის თეორიის საპროფესოროს ხელმძღვანელმა გურამ ნაჭყებიამ სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობასა და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„საქართველო თავისი განვითარების ახალ ფაზაში შევიდა, ამიტომ საზოგადოების წინაშე ახლებურად დადგა საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიზაციისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებებს, ხოლო უკვე ჩადენილი დანაშაულის მიმართ — სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელებას. ყოველივე ეს სამართლებრივ რეფორმას მოითხოვს. ამ მხრივ საქართველოში გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა. შემუშავდა საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია, 2010 წელს ძალაში შევიდა საქართველოს სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რომელშიც ახლებურადაა გადაწყვეტილი მთელი რიგი ფუნდამენტური პროცესუალური საკითხები, დაწესებულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ამოქმედდა საქართველოს სასჯელაღსრულებითი სამართლის სფეროში პატიმრობის კოდექსიც. ცხადია, ეს არ გამორიცხავს სამართლებრივი რეფორმის შემდგომ გაღრმავებას, რაც, თავის მხრივ, იურიდიული განათლების საფუძვლიან ცოდნას გულისხმობს. ამისთვის კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სამეცნიერო ლიტერატურას, არამედ სასწავლო ლიტერატურის შექმნას და გამოცემას", — აღნიშნა სახელმძღვანელოზე საუბრისას გურამ ნაჭყებიამ.

მისი ინფორმაციით, აქამდე გამოცემულ სახელმძღვანელოებში საერთოდ არ არის, ან სუსტადაა განხილული სისხლის სამართლის თეორიის ზოგიერთი საკითხი, ამიტომ საჭირო გახდა თსუ-ის სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლების ძალისხმევით შექმნილიყო სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის ახალი, გადამუშავებული, უფრო სრულყოფილი სახელმძღვანელო, თუმცა, პროფესორი გურამ ნაჭყებია არ გამორიცხავს მომავალში კიდევ უფრო სრულყოფილი სახელმძღვანელოს, ან ლექციების კურსის შექმნას და გამოცემას.

სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში ყურადღება გამახვილებულია დანაშაულის განსაზღვრებაზე, სასჯელის პრობლემატიკა კი სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში იქნება გადმოცემული.

სახელმძღვანელოში რიგი ფუნდამენტური საკითხი, მაგალითად სისხლის სამართის საგანი, სისხლის სამართლის მეცნიერების ცნებათა სისტემა, ბრალის პრობლემა და ა.შ. დისკუსიის ფორმითაც არის გადმოცემული, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის უფრო აზროვნების ჩამოყალიბებას.

ახალი სახელმძღვანელოს — ,,სისხლის სამართალი" პრეზენტაციას იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები დაესწრნენ, რომლებმაც წიგნი დადებითად შეაფასეს, ხოლო ზოგიერთი საკითხის გარშემო საკმაოდ მწვავე დისკუსიაც გაიმართა. გურამ ნაჭყებიამ დამსწრე საზოგადოებას მადლობა გადაუხადა წიგნის შეფასებისთვის, განსაკუთრებით აღინიშნა თსუ-ის სისხლის სამართლის ასისტენტ პროფესორის ირაკლი დვალიძის როლი, რომელმაც ნაშრომი დეტალურად განიხილა და ავტორს შენიშვნები გაუზიარა.

„შრომის სამართლის" სტატიათა კრებულის პრეზენტაცია

ნატო ოგოლაძე

2006 წელს საქართველოში ახალი შრომის კოდექსი ამოქმედდა, თუმცა მას შემდეგ ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო კვლევა არ განხორციელებულა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შრომის სამართალი სავალდებულო დისციპლინაა. სწავლის პროცესში სტუდენტებს ლიტერატურის მოძიებასთან დაკავშირებითაც ხშირად ექმნებოდათ პრობლემები, რომლის მოსაგვარებლად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ორგანიზებით მომზადდა შრომით სამართალთან დაკავშირებული სტატიები, რომელიც ერთ კრებულში შევიდა.

„ვიმედოვნებ, რომ ამ წიგნით ყველა ის ადამიანი დაინტერესდება, რომელიც შრომის სამართლის სფეროში საქმიანობს. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იქნება მათი ჯანსაღი კრიტიკის მოსმენა. კრებულს დიდი დატვირთვა აქვს სასამართლო პრაქტიკისთვისაც. იმედია, მომავალში კიდევ უფრო საინტერესო ნაშრომებს შემოგთავაზებთ", — განაცხადა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ, კრებულის ერთერთმა ავტორმა ნუნუ კვანტალიანმა.

„შრომის სამართლის" სტატიათა კრებულში 9 ავტორის მიერ დაწერილი ნაშრომი შევიდა. ესენია: ბესარიონ ზოიძის „შრომის თავისუფლების არსი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში", ვახტანგ ზაალიშვილის „შრომითი ხელშეკრულების მოშლის ზოგიერთი მექანიზმი" (სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა), სოფიო ჩაჩავას „ვადიანი და უვადო შრომითი ხელშეკრულებების მოშლის მიმართ მოქმედი კანონმდებლობის სამოსამართლეო სამართლით უზრუნველყოფის რეკომენდაციები", ნუნუ კვანტალიანის „სასამართლო პრაქტიკა შრომით დავებზე", ზაქარია შველიძის „საქართველოს შრომითი კოდექსით გათვალისწინებული დასაქმებულის სამართლებრივი სტატუსის მახასიათებლები", გიორგი ამირანაშვილის „დისკრიმინაციის აკრძალვა შრომით ურთიერთობაში", ქეთევან ირემაშვილის „ჯანმრთელობის დაზღვევა, როგორც დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვის ერთერთი მექანიზმი", თათია კერესელიძის „შრომის ხელშეკრულების დადებამდე დამსაქმებლის მიერ კანდიდატისთვის დასმული დისკრიმინაციული შეკითხვის სამართლებრივი შედეგები" და ნატა სტურუას „ზიანის ანაზღაურება წინასახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევისას შრომის სამართალში". წიგნში „შრომის სამართალი", ასევე, შევიდა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ორი მაგისტრანტის ნაშრომი, რომლებიც რედაქტორებმა აარჩიეს.

„შრომის სამართლზე ძალიან ცოტა სტატიაა შექმნილი, თუმცა კი, ამ თემაზე სამეცნიერო ნაშრომების დაწერა აუცილებელია. ეს მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტებისთვის, ასევე, პრაქტიკოსი და თეორეტიკოსი იურისტებისთვისაც. მოგეხსენებათ, რომ კანონის ამოქმედებიდან არც ისე დიდი დროა გასული, შესაძლოა მასში გარკვეული ცვლილებები განხორციელდეს და ამიტომ ძალიან რთულია, ასეთ დროს, რაიმე სამეცნიერო ნაშრომისა თუ სახელმძღვანელოს დაწერა. სწორედ ამიტომ შევაჩერეთ არჩევანი სტატიათა კრებულის გამოცემაზე, რომელშიც შესულია საქართველოში შრომით სამართალთან დაკავშირებული ხარვეზები და პრობლემები", — გვითხრა წიგნის — „შრომის სამართლის" თანაავტორმა და იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტმა გიორგი ამირანაშვილმა.

„შრომის სამართლის" სტატიათა კრებულში ვერ მოხერხდა ყველა იმ პრობლემატიკის ასახვა, რომელიც დღეს ამ სფეროში არსებობს. სწორედ ამიტომ, გამოცემის რედაქტორების მიერ გადაწყდა წიგნის მეორე ნაწილის გამოქვეყნებაც, სადაც შრომით სამართალთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია იქნება მოცემული. აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2011 წლის ბოლოსთვის გამოიცემა ქართველი და იტალიელი იურისტების ნაშრომები იტალიისა და საქართველოს შრომით კოდექსებთან დაკავშირებითაც. ეს წიგნი თსუ-სა და იტალიის „შედარებითი შრომის სამართლის ასოციაციას" შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში დაიბეჭდება.

წიგნი, რომელიც უკეთ გვაცნობს რაჭას



რაჭის შესახებ დაწერილ წიგნებს მნიშვნელოვანი და საჭირო შენაძენი შეემატა. გამომცემლობა „უნივერსალმა" დასტამბა და გამოსცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პროფესორის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, ბატონ პაატა ცხადაიას და თანაავტორ, აწ გარდაცვლილი ქალბატონის, ვილენა ჯოჯუას წიგნი — „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი" ნაწილი III (I და II წიგნები მიეძღვნა ონის რაიონის გეოგრაფიულ სახელწოდებებს). წიგნის რედაქტორია პროფესორი ზურაბ ჭუმბურიძე.

წლების მანძილზე რაჭის ტოპონიმებს დიდი გულმოდგინებით, საქმისა და სამშობლოს მიწა-წყლისადმი უსაზღვრო სიყვარულით კრებდა, შეისწავლიდა და დასაბეჭდად ამზადებდა ბატონი პაატა. შემოიარა რაჭის ყველა სოფელი, შეხვდა სხვადასხვა ასაკის, გამოცდილებისა და პროფესიის ადამიანებს, შეაგროვა, ჩაიწერა, დაამუშავა და რამდენჯერმე გადაამოწმა თითოეული ტოპონიმი თუ მიკროტოპონიმი.

გაკეთდა საშვილიშვილო, ეროვნული საქმე. დრო-ჟამის დინებაში დაკარგვასა და გაუჩინარებას გადაურჩა ბევრი ადგილის სახელწოდება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ტოპონიმების მონაცემებს ფართოდ იყენებს სხვადასხვა მეცნიერება: ისტორიული გეოგრაფია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ეკონომიკა, ისტორია, ენათმეცნიერება, ფოლკლორისტიკა. ხშირად ტოპონიმები წერილობით ძეგლებზე უფრო ასაკოვანია, განსაკუთრებით, მთებისა და წყლების სახელები (ყველაზე ძველი და მყარი ერთეულები) შედარებით კარგად ინახავენ არქაიზმებს, რაც ხელს უწყობს კვლევას გარკვეულ ტერიტორიაზე ძველი ენის აღდგენასა და მისი გავრცელების არეალის შემოსაზღვრაში.

შემთხვევით არა, რომ საქართველოში ტოპონიმური მუშაობის დასაწყისი დიდი ვახუშტი ბაგრატიონის სახელთანაა დაკავშირებული. გადაჭარბებული არც ის იქნება თუ ვიტყვით, რომ ტოპონიმების შემკრებთა და შემსწავლელთა შრომა ისევე მნიშვნელოვანი ეროვნული საქმეა, როგორც საქართველოს დიდი ძნელბედობის ჟამს სულმნათი სულხან-საბა ორბელიანის მიერ ქართული სიტყვების შეკრება, გადარჩენა და „სიტყვის კონის" შედგენა, სპარსული და თურქული ენების მომძლავრების ჟამს.

პროფესორ პაატა ცხადაიას მიერ გამოცემული მესამე წიგნი — „რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი" მოიცავს ამბროლაურის რაიონის აღმოსავლეთ ნაწილის ტოპონიმის სალექსიკონო მასალას. მასში შესულია ქ. ამბროლაურისა და რაიონის 39 სოფლის ტოპონიმები და მიკროტოპონიმები, რომლებიც წარმოდგენილია საერთო ანბანის რიგზე.

ავტორი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ „სამწუხაროდ, ადგილის სახელწოდებათა (განსაკუთრებით მიკროტოპონიმთა) დიდი ნაწილი დროთა განმავლობაში ქრება, რასაც ხელს უწყობს ურბანიზაციული პროცესები. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიცალა მრავალი სოფელი, განსაკუთრებით, გზამიუვალი და რაიონისა თუ თემის ცენტრიდან მოშორებული. ამის გარდა, ჩვენმა მამა-პაპებმა, რომელთაც დაწვრილებით იცოდნენ მშობლიური მიწა-წყლის ადგილის სახელები (ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალაც) ცხოვრების წლები გალიეს და იმქვეყნიურ საუფლოში დამკვიდრდნენ, რითაც მათი ცოდნა, გამოცდილება, მათი ინფორმაციული დატვირთულობა ჩვენთვის მიუწვდომელი გახდა".

წიგნი შედგება ორი ნაწილისგან: პირველ ნაწილს ეწოდება „საკრებულოები, სოფლები, რესპონდენტები". მეორე ნაწილში ამ სოფლების ტოპონიმებია წარმოდგენილი.

რაჭის ტოპონიმთა შეკრება დამთავრებულია და როგორც ბატონმა პაატა ცხადაიამ განაცხადა, მომავალ წელს გამოიცემა „რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებათა" ბოლო, IV წიგნი, რომელშიც წარმოდგენილი იქნება დანარჩენი სოფლები.

წლეულს ბატონმა პაატამ ლეჩხუმში გააგრძელა ტოპონიმებზე მუშაობა. იგი ჩვენგან დიდ მადლობას იმსახურებს უანგარო და მამულიშვილური ღვაწლისთვის.

რობიზონ ჭელიძე

ისინი შემოდგომის ლეგენდებს ქმნიან

ნატო ოგოლაძე

თბილისის ხმაურს მოწყვეტილი მყუდრო სავანე... კახეთის შემოდგომისფრად შეღებილ ტყეში ჩაკარგული ლოპოტას ტბა... ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის 190 კონკურსანტიდან შერჩეული 15 საუკეთესო ავტორის ანთებული თვალები და ოდნავ დაძაბული, მაგრამ იმედიანი განწყობა... სწორედ აქ და ამ ვითარებაში, 2 ნოემბერს „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის მეორე იმპროვიზაციული ტური შედგა. ამ დროისთვის თემა — თუ რაზე მოუწევდათ შემოქმედ ახალგაზრდებს მეორე დღეს მოთხრობების დაწერა, ჯერ კიდევ უცნობი გახლდათ. ლიტერატურული კონკურსის ერთ-ერთი ორგანიზატორი კომპანია „ჯეოსელი“ მონაწილეებისთვის პატარა სიურპრიზს ამზადებდა — კონკურსანტებს თავად უნდა გამოეცნოთ თემის სახელწოდება, გამარჯვებულს კი პრიზი — „ჯეოქონექთი“ ელოდა...

„შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის მეორე ტურის დაწყების წინა საღამოს მონაწილეებს მუყაოს ფირფიტებზე გამოსახული ასოები დაურიგდათ, რომლის მეშვეობითაც უნდა აეწყოთ ლიტერატურული კონკურსის თემის დასახელება. კონკურსანტებს შორის შეჯიბრი ცოტა ხანს გაგრძელდა, დაწყებიდან სულ რამდენიმე წუთში თსუ-ის სტუდენტმა დავით ჩიხლაძემ მუყაოს ფირფიტებზე გამოსახული ასოებით „პეპლის ეფექტი“ ააწყო და გამარჯვების ნიშნად მიღებული საჩუქარი კონკურსანტ ნინო ტეფნაძეს უსახსოვრა.

„ჩვენ უკვე გავიგეთ, თუ რა თემაზე მოგვიწევს ხვალ მუშაობა. ერთერთმა ჩვენგანმა — დავით ჩიხლაძემ თემის სახელწოდება გამოიცნო და მიღებული საჩუქარი მე გადმომცა, რადგან თვითონ უკვე ჰქონდა „ჯეოქონექთი“. სათაური ძალიან საინტერესოა და უკვე მზად ვარ, დავიწყო მუშაობა“, — გვითხრა ნინო ტეფნაძემ ლეგენდარული კონკურსის დაწყების წინ.

სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის თემა — „პეპლის ეფექტი“ ჟიურის წევრებმა, თანამედროვე მწერლებმა: დათო ტურაშვილმა, დავით ქართველიშვილმა, თეონა დოლენჯაშვილმა, მაკა ლდოკონენმა და თამთა მელაშვილმა მოიფიქრეს. პეპლის ეფექტი თითქმის იგივეა, რაც ქაოსის თეორია. ეს არის ტერმინი, რომელიც ქაოსურ სისტემას აღნიშნავს, სადაც უმნიშვნელო მოვლენამ შეიძლება გამოიწვიოს დაუჯერებელი ეფექტი სხვა ადგილსა და სხვა დროს.

„ჩემი აზრით თემა ძალიან საინტერესოა. მასზე საკმაოდ ბევრი ვიფიქრეთ ჟიურის წევრებმა და ბოლოს „პეპლის ეფექტზე“ შევჩერდით. მიგვაჩნია, რომ ის საკმაოდ დიდ თვალსაწიერს ქმნის და ფანტაზიასაც საკმაოდ აძლიერებს. მეორე წელია ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდის“ ჟიურის წევრი ვარ და მინდა აღვნიშნო, რომ შარშანდელი წლისგან განსხვავებით, წელს მონაწილეებმა ეს თემა ძალიან დადებითად შეაფასეს. განსაკუთრებით მომწონს კონკურსანტები, ბევრი ახალი სახეა — ახალი ენერგია. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა კონკურსის ორგანიზატორებს, რადგან ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას უწყობენ ხელს. ვნახოთ, რა გზას დაადგებიან ისინი მომავალში და როგორ განავითარებენ თავის ნიჭსა და ტალანტს“, — აღნიშნა თეონა დოლენჯაშვილმა.

3 ნოემბრის დილას „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის კონკურსანტებმა „პეპლის ეფექტის“ თემაზე მოთხრობების დასაწერად მუშაობა დაიწყეს. მუზების ზეიმი ლოპოტას ტბაზე 8 საათის განმავლობაში გაგრძელდა. ჟიურის კი წინ საინტერესო პროცესი ელოდა — 15 ახალგაზრდა შემოქმედის მიერ შექმნილი სხვადასხვა სიუჟეტისა და პერსონაჟების გაცნობა.

„თემა „პეპლის ეფექტი“ ძალიან საინტერესოა. ლოპოტას ტბაზე შესანიშნავი გარემოა და ეს ძალიან დამეხმარა მუშაობის დროს. ცხოვრებაში არაფერი არ ხდება შემთხვევით, ყველაფერი მიზეზ-შედეგობრივია. ჩემი მოთხრობაც ამაზე ავაგე — ტერორიზმზეა...“ — გაგვანდო საკუთარი სიუჟეტის არსი კონკურსანტმა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტმა სალომე შენგელიამ.

„კონკურსის „შემოდგომის ლეგენდის“ შესახებ ინტერნეტიდან გავიგე. ყოველთვის მაინტერესებდა ასეთი სახის კონკურსები, რადგან წყდები აქტიურ გარემოს, თიშავ ტელეფონს, ხარ ბუნებაში და იწყებ წერას.



აქ მონაწილეობის მიღება საუკეთესო საშუალებაა გამოსცადო საკუთარი თავი, მოისმინო პროფესიონალი ადამიანების შეფასება, გაიცნო საინტერესო ხალხი. სიმართლე გითხრათ, თემა არ მომეწონა, მაგრამ სიუჟეტი მოვიფიქრე და ვცდილობ საინტერესოდ დავწერო“, — აღნიშნა შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტმა გიორგი ბაიდაურმა.

ჟიურის წევრებმა სტუდენტების მოთხრობების წაკითხვა იმავე დღეს დაიწყეს. მათი მოლოდინი, რომ „პეპლის ეფექტის“ თემაზე „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის კონკურსანტები საინტერესო მოთხრობებს შექმნიდნენ, გამართლდა. ამ დროისთვის უკვე შერჩეულია საუკეთესო შვიდეული, რომელიც კრებულში შევა. ჟიურის თითოეულ წევრს ჰყავს თავისი ფავორიტიც, თუმცა რომელი კონკურსანტები გახდებიან პირველი სამი ადგილის მფლობელები, ჯერ კიდევ მსჯელობის საგანია.

მე-16 გვერდზე

მოკლედ

„ჩემო თბილისო“

თამარ დადიანი

9 ნოემბერს თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტისა და სტუდენტური თვითმმართველობის განათლებისა და მეცნიერების დეპარტამენტის ორგანიზებით გაიმართა სტუდენტური კონფერენცია თემაზე: „ჩემო თბილისო, ისტორიას მე რას დაგიწერ“.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დარეჯან თვალთავაძე, პროფესორები: თედო დუნდუა და მარიამ ჩხარტიშვილი, ქალაქ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ჯაბა სამუშია და სხვ.

სტუდენტებმა მოხსენებები წაიკითხეს ქალაქის ისტორიისა და განვითარების შესახებ, ისაუბრეს დედაქალაქის ურბანიზაციის ტემპებსა და დონეებზე, მოსახლეობის კულტურულ და ეთნიკურ მრავალფეროვნებაზე, ასევე XIX საუკუნის ქალაქურ ჩაცმულობასა და ხელოვნების სხვა დარგებზე.

კონფერენციის დახურვის შემდეგ დაჯილდოვდნენ გამარჯვებული მომხსენებლები. პირველი ადგილი მოიპოვეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების III კურსის სტუდენტებმა: მარიამ გამხარაშვილმა, დავით სიდამონიძემ, ნატალია დავლიანიძემ თემისათვის — „თბილისის საქალაქო გარემოს ფორმირება — ურბანიზაციის ტემპები და დონეები“ (ხელმძღვანელი იოსებ სალუქვაძე), მეორე ადგილი დაიკავა ისტორიის მიმართულების II კურსის სტუდენტმა მარიამ ნუცუბიძემ — „ზოგიერთი საკითხი თბილისის ზარაფხანასთან დაკავშირებით ფეოდალურ ხანაში“ (ხელმძღვანელი თედო დუნდუა), ხოლო მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა ისტორიის მიმართულების IV კურსის სტუდენტს გურამ ლეგაშვილს — „არაბთა საქართველოზე ლაშქრობის პირველი ეტაპი“ (ხელმძღვანელი მიხეილ ბახტაძე).

ანონსი

საერთაშორისო ტურნირი ათლეტიზმში

3 დეკემბერს, თბილისში, საერთაშორისო ტურნირი ტარდება ათლეტიზმში სახელწოდებით: „საქართველოს ღია ჩემპიონატი შტანგის აჭიმვასა და ამოწევაში“. საქართველოს გუნდებთან ერთად, მონაწილეობას იღებენ დიდი ბრიტანეთის, ირანის, ერაყის, თურქეთის, ინდოეთის, უკრაინის, განას, გვატემალას, ბრაზილიის სხვა გუნდები. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი მიწვეულია სრული შემადგენლობით — 15 ათლეტი შტანგის აჭიმვაში, 15 ათლეტი შტანგის ამოწევში.

„ტურნირზე თსუ-ის გუნდი დამოუკიდებლად იასპარეზებს. გუნდში სამი მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი ვართ. თავდაუზოგავად ვემზადებით, სტაბილურად ვვარჯიშობთ თსუ-ის მაღლივი კორპუსის სპორტულ დარბაზში, რომელიც კარგად არის მოწყობილი. თსუ-ის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილის მხარდაჭერას ველოდებით და ადმინისტრაციისგანაც თანადგომის იმედი გვაქვს. ვფიქრობთ, ინგლისის უძლიერეს გუნდს დავამარცხებთ.

წელს, დაფინანსების გამო, WNPF მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობა ვერ მივიღეთ, იქ საქართველოს შსს გუნდი გაემგზავრება, რომელიც, ძირითადად, ჩვენი გუნდის ყოფილი სპორტსმენებით არის დაკომპლექტებული. მინდა, მთელი გუნდის სახელით მათ წარმატება ვუსურვო“, — განაცხადა თსუ-ის გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ჭავჭანიძემ.

მოამზადა **თამარ დადიანმა**

80 წლის ვეტერანი კალათბურთელი უნივერსიტეტში დღემდე ახსოვთ

„უნივერსიტეტის სპორტული ცხოვრების მემატიანე“ — ასე მოიხსენიებენ დღესაც ამ ადამიანს... მის სახელთან ასოცირდება პირველ ქართველ კალათბურთელ ქალთა წარმატებები. უნივერსიტეტში მას ყველა იცნობდა და პატივს სცემდა. „ჩვენი ლამარა“ — ასე ეძახდნენ მას სპორტსმენები, ლექტორები, სტუდენტები...

სპორტის დამსახურებული ოსტატი ლამარა გენგაშვილი *უკვე 80 წლისაა, წარსულს სიამოვნებით იხსენებს, განსაკუთრებით კი უნივერსიტეტში გატარებულ წლებს.*

შურთხია ბეროშვილი

სკოლა სართიჭალაში დაამთავრა, ობლობაში და სიღარიბეში გაიზარდა. სწავლობდა უნივერსიტეტის ფილოსოფია-ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. ლექტორებს აოცებდა მისი ნიჭი და უნარი, განსაკუთრებით ფაკულტეტის დეკანს, მერაბ ნათაძეს უყვარდა, რომელიც ხშირად ეუბნებოდა რჩეულ მოსწავლეს — შთამბეჭდავი და უკიდეგანო მეხსიერება გაქვსო და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა. ამიტომ ლამარა გენგაშვილს აზრადაც არ გაუვლია, რომ ოდესმე ხელში ბურთს დაიჭერდა.

„სკოლაშიც და უნივერსიტეტშიც გამორჩეული მოსწავლე და სტუდენტი ვიყავი, ძალიან მომწონდა ჩემი პროფესია, მაგრამ ერთ დღეს ყველაფერი შეიცვალა. უნივერსიტეტის კალათბურთის გუნდის მწვრთნელებმა ევგენი აბაიშვილმა და შალვა დიასამიძემ მთხოვეს გუნდში მეთამაშა. იმ პერიოდში კალათბურთის ქალთა გუნდი საქართველოს უცვლელი ჩემპიონი იყო. თავდაპირველად მხოლოდ იმიტომ შემარჩიეს, რომ მაღალი ვიყავი, ბურთი ხელში არასდროს მჭერია და არც თამაში მინდოდა, მაგრამ უარი ვერ ვთქვი. შემდგომში ჩემი მასწავლებელი საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ალექსანდრე მესხი გახლდათ“, — იხსენებს ქალბატონი ლამარა.

განსაკუთრებული პატივისცემით და სითბოთი უნივერსიტეტის იმჟამინდელ რექტორზე ნიკო კეცხოველზე საუბრობს. „ბატონი ნიკო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სპორტის განვითარებას, მისი მხრიდან ყველანაირი ხელშეწყობა გვქონდა. ლენინგრადის ჩემპიონატი რომ ტარდებოდა, თავად გაგვაცილა. თუმცა ამავე დროს მკაცრად ითხოვდა, რომ სპორტსმენებს კარგად გვესწავლა, სხვა შემთხვევაში გუნდში თამაშის უფლება არა გვქონდა“.

ქალბატონი ლამარა 1953 წელს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების გუნდში მიიწვეს. მისი მონაწილეობით გუნდმა მრავალ წარმატებას მიაღწია. იგი უნივერსიტეტის ნაკრების გუნდის კაპიტანი იყო. მისი მონაწილეობით უნივერსიტეტის გუნდი 9-ჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

1964 წლიდან იგი გუნდს ტოვებს, მაგრამ უნივერსიტეტს — არა. იგი დიდხანს მუშაობდა უნივერსიტეტში ქალთა ნაკრების მწვრთნელად და სპორტის განყოფილების კათედრის გამგედ. უნივერსიტეტში ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მან მრავალი თაობა აღზარდა.

„უნივერსიტეტში ყველას ვუყვარდი და პატივს მცემდნენ. 1970 წელს ბინაც მომცეს. ძალიან გამიჭირდა უნივერსიტეტის დატოვება — ერთი დიდი ოჯახივით ვიყავით. იმდროინდელი მეგობრობა დღესაც გრძელდება. ახლახან ვეტერანი სპორტსმენების ინიციატივით 80 წლის იუბილეც გადამიხადეს. განსაკუთრებით ბატონი როინ მეტრეველის სტუმრობამ გამახარა, რომელმაც დიდი სითბოთი და სიყვარულით ისაუბრა ჩემს დამსახურებებზე. „ბიჭებმა“ ცოტა ფულიც შემიგროვეს, საჩუქრებიც მივიღე... ბედნიერი ვარ, რომ ჯერ კიდევ უნივერსიტეტში კვლავაც ახსოვთ ჩემი მოკრძალებული მოღვაწეობა“, — ამბობს ქალბატონი ლამარა.

ვეტერანი კალათბურთელი თავს ისევ მხნედ გრძნობს. გული მხოლოდ იმაზე სწყდება, რომ ოჯახი არ შექმნა, ახლა მისი ყველაზე დიდი სიხარული პატარა ძმისშვილიშვილია. თავისუფალ დროს უმეტესად კითხულობს, მოგონებებით ცხოვრობს და ამბობს, რომ ყველა ბედნიერი დღე, რომელიც წარსულში დარჩა, უნივერსიტეტს უკავშირდება.

ისინი შემოდგომის ლეგენდებს ქმნიან

მეთხუთმეტე გვერდიდან

„ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ კარგი პროექტია, აქ ახალგაზრდა ავტორების შრომა ფასდება. ჩემთვის მნიშვნელოვანია, თუ როგორ წარიმართება თანამედროვე ლიტერატურული პროცესები და სტუდენტების შემოქმედების გაცნობა, გარკვეულწილად, საშუალებას მაძლევს, ვიცოდე — რა ტენდენციებია მოსალოდნელი მომავალში. უკვე გავეცანი „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის მონაწილეების მოთხრობებს. ყველა ნაშრომი შეუძლებელია კარგი ყოფილიყო, მაგრამ თითქმის უმეტესობა ძალიან საინტერესოა, რაც დადებითი შედეგია. უკვე ჩემი ფავორიტი მყავს და ვფიქრობ, ჟიურის წევრებს არ გაგვიჭირდება გამარჯვებულების გამოვლენა“, — განაცხადა დათო ტურაშვილმა.

„სტუდენტებმა, მართლაც, კარგად გაართვეს თავი მოცემულ დავალებას. რამდენიმე ტექსტი იმდენად მომეწონა, რომ დილით გავიღვიძე და კვლავ გადავავლე თვალი, მათში საინტერესო ნიუანსებია. მიუხედავად იმისა, რომ დამწყები ავტორები არიან, მათ მაინც პროფესიონალებივით გაართვეს თავი დავალებას. ჟიურის წევრებს შორის, რა თქმა უნდა, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა. მონაწილეებსაც ვუთხარი, რომ არ შეიძლება თქვენი მოთხრობები ყველას ერთნაირად მოეწონოს. როდესაც ტექსტი ყველას მოსწონს, ეს უფრო დასაფიქრებელია, ვიდრე ის, რომ ამის შესახებ მსჯელობენ და კამათი იმართება. ჯერჯერობით 7 კარგ მოთხრობაზე შევთანხმდით. მიხარია, რომ 15 ნაშრომიდან 7 კრებულში შევა. მყავს ჩემი ფავორიტიც, რომლის ნაშრომი დამამახსოვრდა ორიგინალური სიუჟეტით, ტექსტის სტრუქტურით, ხატოვანი გამოთქმებით. მისი ენა უკვე გამორჩეულია. თუ ფრაზებად გაგყვება მთელი დღე რაღაც ნაწყვეტები, ეს უკვე ნიშნავს, რომ მან ისეთი რაღაც დაწერა, რითაც „ანკესი“ გადმოაგდო“, — აღნიშნა მაკა ლდოკონენმა.

აღსანიშნავია, რომ წელს სტუდენტური ლიტერატურული კონკურსის მასშტაბები გაიზარდა. კონკურსში მონაწილეობის მიღება თსუ-ის გარდა, საქართველოს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსაც შეეძლოთ. კონკურსის მეორე ტურში გასული 15 საუკეთესო ავტორიდან 10 მათგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, 2 — ილიაუნის, 2 — შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის, 1 — კი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გახლავთ.

თბილისის ხმაურს მოწყვეტილი მყუდრო სავანე... კახეთის შემოდგომისფრად შეღებილ ტყეში ჩაკარგული ლოპოტას ტბა... ლიტერატურული კონკურსის „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის 190 კონკურსანტიდან შერჩეული 15 საუკეთესო ავტორის ანთებული თვალები და ოდნავ დაძაბული, მაგრამ იმედიანი განწყობა... სწორედ აქ და ამ ვითარებაში, 2 ნოემბერს „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის მეორე იმპროვიზაციული ტური შედგა.

„ის ფაქტი, რომ მესამედ ტარდება კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ და მასში მონაწილეობის მსურველთა რიცხვიც საკმაოდ დიდია, პროექტის წარმატებაზე მიგვანიშნებს. ახალგაზრდების მოთხოვნიდან გამომდინარე მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ კონკურსის მასშტაბები გაზრდილიყო და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებსაც ჰქონოდათ მასში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. ძალიან სასიამოვნოა, რომ „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის მეორე ტური კახეთში გაიმართა, რადგან შემოდგომაზე ყველაზე უფრო ლამაზი და მუზის მომგვრელი ადგილია. შარშან ძალიან საინტერესო მოთხრობები დაწერეს სტუდენტებმა და, ვფიქრობ, წელსაც ასეთივე კარგი შედეგი იქნება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„თავიდან, როდესაც ამ პროექტზე ფიქრი დავიწყეთ, გვეგონა, რომ იქნებოდა უფრო მოკრძალებული ღონისძიება და ლიტერატურული კონკურსი მხოლოდ თსუ-ის სტუდენტებისთვის გაიმართებოდა. წელს მივხვდით, რომ „შემოდგომის ლეგენდის“ მიმართ ინტერესი ძალიან გაიზარდა და სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებიც ჩავრთეთ. ეს კონკურსი უკვე გახდა ტრადიციული და ყველასათვის საყვარელი, გვყავს არაჩვეულებრივი ახალგაზრდები, რომლებიც დიდი სიამოვნებით მონაწილეობენ მასში. ვფიქრობ, „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის მეორე ტურის ჩასატარებლად ადგილიც კარგი შევარჩიეთ. კახეთი, ლოპოტა, შემოდგომა ზუსტად შეეფერება ჩვენს კონკურსს“, — აღნიშნა კომპანია „ჯეოსელის“ პიარ სამსახურის მენეჯერმა ირმა ცქიტიშვილმა.

სტუდენტურ ლიტერატურულ კონკურსში „შემოდგომის ლეგენდა 2011“-ის გამარჯვებულებს ფულად პრემიას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გადასცემს. I ადგილის მფლობელი 1000 ლარს, II ადგილის — 700 ლარს, ხოლო III ადგილზე გასული კონკურსანტი 500 ლარის ოდენობის ფულად ჯილდოს მიიღებს. გამარჯვებული მონაწილეები კომპანია „ჯეოსელის“ და სასტუმრო „ლოპოტას“ სპეციალური პრიზებითაც დაჯილდოვდებიან. მათი ვინაობა კი სულ რამდენიმე დღეში გაირკვევა.

„შემოდგომის ლეგენდა“ წელს უკვე მესამედ გაიმართა. კონკურსი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კომპანია „ჯეოსელის“ ერთობლივი პროექტია. 2009 წელს ლიტერატურული კონკურსი იყალთოში, შარშან კი ყვარლის ტბაზე გაიმართა.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ლიკა პეტრიაშვილი**
კომპიუტ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ა
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62